ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

თემური აბესაძე

დასაქმების პრობლემები და მათი დაძლევის გზები საქართველოში

სამაგისტრო პროგრამა - ეკონომიკა

ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მურმან ცარციძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2020

ანოტაცია

დასაქმება მრავალმხრივი სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიაა, რომელიც ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლების თვალსაზრისით შრომით საქმიანობაში ადამიანთა მონაწილეობასთან ასოცირდება. ფაქტობრივად, დასაქმების სტრუქტურა წარმოდგენას გვიქმნის ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონესა და მის ცალკეულ დარგებში მიმდინარე ცვლილებებზე. თანამედროვე განვითარებული სახელმწიფოებიც კი უმუშევრობისა და ეფექტიანი დასაქმების კომპლექსური პრობლემის წინაშე დგანან.

დასაქმების საკითხი საქართველოშიც აქტუალურია და მოვლენას განსაკუთრებულ მასშტაბურობას ქართული საზოგადოების სპეციფიკური თავისებურებები და მოთხოვნებიც სძენს. წინამდებარე ნაშრომის მიზანია საქართველოში დასაქმების მდგომარეობის სიღრმისეული ანალიზი, ეფექტიანი დასაქმების ხელისშემშლელი მიზეზების მეცნიერული კვლევა და პრობლემების აღმოფხვრის ოპტიმალური გზების ძიება.

ნაშრომის სტრუქტურა შედგება სამი ძირითადი თავისაგან. პირველ თავში შესწავლილია დასაქმების, როგორც მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური კატეგორიის არსი და მისი ძირითადი ფორმები, განხილულია დასაქმებულის სტატუსის განსაზღვრის მეთოდოლოგიური საფუძვლები საქართველოში და შეფასების მაჩვენებელთა სისტემა.

მეორე თავში აღწერილია დასაქმების სფეროში არსებული მდგომარეობა საქართველოში პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის საწყის და შრომის ბაზრის ფორმირების მიმდინარე ეტაპებზე. ასევე გაანალიზებულია დასაქმების თავისებურებები, პრობლემები და მისი გამომწვევი ძირითადი მიზეზები ჩვენს ქვეყანაში.

მესამე თავში შეფასებულია შრომისა და დასაქმების თანამედროვე პოლიტიკა საქართველოში. დასაბუთებულია დასაქმების აქტიური პოლიტიკის მნიშვნელობა და მისი გატარების აუცილებლობა ქვეყნისათვის. ასევე, ჩამოყალიბებულია უმუშევრობის დაძლევისა და ეფექტიანი დასაქმების ხელშემწყობი სავარაუდო მიმართულებები.

Annotation

Employment is a multifaceted socio-economic category associated with the participation of people in labor activities in terms of raising then welfare of the country. The issue of employment is also relevant in Georgia and the specific features and requirements of the Georgian society add to the special scale of the event. The aim of this paper is to conduct an in-depth analysis of the employment situation in Goergia and also to find optimal ways ro eliminate problems.

The structure of the paper consists of three main chapters. The first chapter examines the essence of employment as an important macroeconomic category and its main forms, discusses the methodological bases for determining the status of employees in Georgia and the system of evaluation indicators.

The second chapter describes the current situation in the field of employment in Georgia at the initial stages of post-communist transformation and the current situation in the field of employment in Georgia at the initial stages of post-communist transformation and the current stages of labor market formation. It also analyzes the problems of employment and the main causes of it in our country.

The third chapter evaluates the modern policy of labor and employment in Georgia, The importance of an active employment policy and estimated directions for overcoming effective employment.

შინაარსი

შესავალი 5

თავი - I. დასაქმება, როგორც მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური კატეგორია, მისი როლი და მნიშვნელობა თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში 8

1.1 დასაქმება, როგორც მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური კატეგორია 8

1.2.დასაქმების ძირითადი ფორმები და მისი სტატუსის განსაზღვრის მეთოდოლოგიური საფუძვლები საქართველოში 12

1.3 დასაქმების ეფექტიანობა და მისი შეფასების მაჩვენებელთა სისტემა 17

თავი - II. დასაქმების მდგომარეობა და მისი მაკროეკონომიკური შეფასება საქართველოში 22

2.1 დასაქმების სფეროში არსებული მდგომარეობის მიმოხილვა საქართველოში პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის საწყის და შრომის ბაზრის ფორმირების მიმდინარე ეტაპებზე 22

2.2 დასაქმების თავისებურებები, პრობლემები და მისი გამომწვევი ძირითადი მიზეზები საქართველოში 33

თავი - III. დასაქმების სფეროში არსებული პრობლემების დაძლევის ძირითადი მიმართულებები საქართველოში 43

3.1. შრომისა და დასაქმების თანამედროვე პოლიტიკა საქართველოში 44

3.2. დასაქმების აქტიური პოლიტიკა და მისი გატარების აუცილებლობა საქართველოში 51

3.3. უმუშევრობის დაძლევისა და მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფის მიმართულებები საქართველოში 59

დასკვნა 69

დანართები 72

გამოყენებული ლიტერატურა: 78

შესავალი

მსოფლიოს ნებისმიერი სახელმწიფოსათვის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისა და სიღარიბის შემცირების ძირითად საფუძველს სწრაფი ეკონომიკური ზრდა და მისი მაღალი ტემპების მიღწევა წარმოადგენს. შედეგად, ქვეყანა მეტი რაოდენობისა და უკეთესი ხარისხის საქონელს, სამუშაოსა და მომსახურებას აწარმოებს. ეკონომიკური პროცესებისა და მოვლენების ეპიცენტრში დგას ადამიანი, მისი სამუშაო ძალა, შრომითი და ინტელექტუალური პოტენციალი. ეკონომიკური ზრდისა და განვი-თარებისათვის აუცილებელია სწორედ ამ მნიშვნელოვანი ფაქტორის რეალიზაცია, რომელიც უნდა განხორციელდეს ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლებისათვის აუცილე-ბელ საქმიანობაში ადამიანთა ჩართულობით, ანუ ეფექტიანი დასაქმებით, როდესაც ისინი იღებენ შესაბამის, ადექვატურ ,,ღირსეულ" ანაზღაურებას. შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების დაბალი დონე საზოგადოებაში შემოსავლის ნაკლები გენერირებისა და, შესაბამისად, ნაკლები ხარჯვის წინაპირობაა. ეს მკვეთრად შეამცირებს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებსაც. როდესაც მუშაობის მსურველები ვერ ახერხებენ დასაქმებას, იზრდება ჩამორჩენა მთლიანი შიდა პროდუქტიდან - იკარგება საქონლისა და მომსახურების პოტენციური წარმოება. დასაქმების კატეგორიას არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური დატვირთვაც აქვს. აქედან გამომდინარე, დასაქმების სფეროში სოციალური განვითარებისათვის აუცილებელია დასაქმებისა და უმუშევრო-ბის დონის ანალიზი, რაც წარმოაჩენს თუ რა მდგომარეობაა ქვეყანაში შრომის ბაზარზე.

სამწუხაროა, რომ ისეთი მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობისა და დიადი ისტორიის მქონე ქვეყანა, როგორიც საქართველოა, დღესდღეობით ღარიბ ქვეყანათა რიგს მიეკუთვნება. უკანასკნელ წლებში საქართველოს ეკონომიკამ შეინარჩუნა მდგრადობა, სტაბილური იყო მშპ-ის რეალური ზრდა და წლიდან წლამდე მზარდია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა. მიუხედავად ამისა, მოსახლეობა კვლავ ებრძვის სიღარიბის მწვავე პრობლემას, სოციალურ უთანასწორობას, უმუშევრობას. ჩვენს ქვეყანაში შრომითი საქმიანობის თითქმის ყველა

სფერო სრულყოფას საჭიროებს - 2015-2019 წლებში მოსახლეობის მეხუთედი აბსოლუტურ სიღარიბეში ცხოვრობდა[1], შეიმჩნევა რიგი ხარვეზები დასაქმებისა და უმუშევრობის სტრუქტურაში, არასაკმარისად განვითარებულია შრომის ბაზარი. საქართველოში დასაქმებას, როგორც მწვავე მოვლენას განსაკუთრებულ მასშტაბურობას ქართული საზოგადოების სპეციფიკური თავისებურებები და მოთხოვნებიც სძენს. ყოველივე ზემოაღნიშნულს ქვეყანაში დასაქმების პრობლემის **აქტუალობის** საკმაოდ მაღალ ხარი-სხამდე მივყავართ. ფაქტობრივად, დასაქმების ხასიათი, მისი შინაარსი, სტრუქტურა განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეს, მის ცალკეულ დარგებში მიმდინარე ცვლილებებს და საბოლოო ჯამში აისახება საზოგადოებრივი საქმიანობის სოციალურ, ეკონომიკურ, დემოგრაფიულ, ეთნიკურ და ეკოლოგიურ გარემოზე.

იმ მდგომარეობიდან გამომდინარე, რომელიც საქართველოში შეიქმნა უკანასკნელ 30 წელიწადში ჩამოყალიბებული პოლიტიკურ-ეკონომიკური წესრიგის გამო და რადგანაც მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმება ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის გარდაუვალ პირობას წარმოადგენს, შეგვიძლია დასაქმებასთან დაკავშირებული პრობლემების კვლევა სასარგებლო საქმიანობად ჩავთვალოთ. **სამაგისტრო ნაშრომის მიზანია,** გაანალიზდეს დასაქმების თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში; წინა პლანზე წამოიწიოს პრობლემები, ბარიერები, ხარვეზები და თავისებურებები, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში ყალიბდებოდა ჩვენს ქვეყანაში და ხელს უშლის მოდერნიზებული შრომის ბაზრის ჩამოყალიბებას, ეფექტიან დასაქმებას; განისაზღვროს აღნიშნული სირთულეების აღმოფხვრის სავარაუდო გზები.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომში დასმულია და გადაწყვეტილია შემდეგი **ძირითადი ამოცანები:**

- ✓ განხილულია დასაქმების, როგორც მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური კატეგორიის არსი და მისი ძირითადი ფორმები;
- ✓ შესწავლილია დასაქმებულის სტატუსის განსაზღვრის მეთოდოლოგიური საფუძვლები საქართველოში და მისი შეფასების მაჩვენებელთა სისტემა;

[1] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done.

- ✓ მიმოხილულია დასაქმების სფეროში არსებული მდგომარეობა საქართველოში პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის საწყის და შრომის ბაზრის ფორმირების მიმდინარე ეტაპებზე;
- ✓ განხორციელებულია დასაქმების თავისებურებების, პრობლემებისა და მისი გამომწვევი ძირითადი მიზეზების ანალიზი;
- ✓ განხილულია შრომისა და დასაქმების თანამედროვე პოლიტიკა საქართველოში;
- ✓ გაანალიზებულია დასაქმების აქტიური პოლიტიკის მნიშვნელობა და დასაბუთებულია მისი გატარების აუცილებლობა ქვეყნისათვის;
- ✓ შემუშავებულია უმუშევრობის დაძლევისა და ეფექტიანი დასაქმების ხელშემწყობი სავარაუდო მიმართულებები.

კვლევის საგანი და ობიექტი: კვლევის საგანია საქართველოს შრომის ბაზრის ფუნქციონირების მიმდინარე ეტაპზე დასაქმების სტრუქტურაში არსებული პრობლემები და გამოწვევები, ხოლო კვლევის ობიექტია - შრომის ბაზარი, დასაქმებისა და საზოგადოების სოციალურ-შრომითი ურთიერთობების სფერო მთლიანობაში.

კვლევის ინფორმაციული ბაზა, მეთოდი და მეთოდოლოგია. გამოკვლევის ინფორმაციული ბაზა არის სხვადასხვე მეცნიერთა მიერ დასაქმების პრობლემაზე შექმნილი ნაშრომები (ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). კვლევის პროცესში კი გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის მეთოდები. მათგან გამოვყოფთ დაკვირვების, ანალიზის, შედარებისა და სტატისტიკური ანალიზის მეთოდებს.

პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობა. საქართველოს დასაქმების სტრუქტურაში და, ზოგადად, ქართულ შრომის ბაზარზე აღმოცენებულ აქტუალურ პრობლემებს არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა. მათგან მნიშვნელოვანია: პროფ. მ. ტუხაშვილის, მ. ცარციძის, მ. შელიას, ნ. ლაცაბიძის, მ. თორიას, ც. ანთაძის, მ, ლობჟანიძის, ნ. ჭელიძის, თ. ზუბიაშვილისა და სხვათა შრომები, რომლებიც ეხება შრომის ბაზრისა და დასაქმების სფეროს ამა თუ იმ ასპექტს და თემატურად ერთმანეთს ავსებენ. აღნიშნულის მიუხედავად, მიზანშეწონილია შრომისა და დასაქმების სფეროს სისტემური, კომპლექსური კვლევის განხორციელება, რასაც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ეხება.

თავი - I. დასაქმება, როგორც მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური კატეგორია, მისი როლი და მნიშვნელობა თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში

1.1 დასაქმება, როგორც მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური კატეგორია

საქართველოში, ისევე როგორც დასავლეთის სახელმწიფოებში, ეკონომიკური ურთიერთობების საფუძველია საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკა. ჩვენს ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკური სისტემის ფორმირება კომუნისტური მმართველობის მბრძანებლური ეკონომიკის ნგრევის შემდეგ, მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო. თითქმის ოცდაათი წელი გავიდა და, მიუხედავად ამისა, დღემდე ვერ ჩამოყალიბდა სრულყოფილი საბაზრო ეკონომიკა, განუვითარებელია ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურა, კვლავ მიზნად რჩება გრძელვადიანი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისათვის მყარი საფუძვლების შექმნა, საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობისა და სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრისათვის ბრძოლა.

სახელმწიფოს ეკონომიკური ზრდისა და განვითარების დაჩქარებისათვის აუცილებელია მაკროეკონომიკური სტაბილურობა, რაც გააზრებული, თანმიმდევრული მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარებით მიიღწევა. მაკროეკონო-მიკური პოლიტიკა გულისხმობს მთავრობის ან პოლიტიკის გამტარებლების გადაწყვეტილებებს ეკონომიკური საქმიანობისა და მოსახლეობის კეთილდღეობის დონის გასაუმჯობესებლად. გადაწყვეტილებები ემსახურება გრძელვადიანი მიზნების მიღწევას: მდგრადი ეკონომიკური ზრდა და განვითარება, სტაბილური ფასები, სრული დასაქმება, სტაბილური გაცვლითი კურსი და სხვ. დასახული მიზნებიდან ზოგიერთი წინააღმდეგობრივია და ყველა მთავრობას უნდა ჰქონდეს ინსტრუმენტთა გარკვეული მასივი, რომლის დახმარებით თითოეული ამოცანა წარმატებით გადაიჭრება, რადგან ზემოხსენებული მაკროეკონომიკური მიზნები არ შეიძლება მოგვარდეს ერთმანეთისგან იზოლირებულად. *,,გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მაკროეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების შერჩევა დასმული მიზნების ადექვატური უნდა იყოს,*

თუმცა იდეოლოგია მიზნების ფორმირების მიმართ გაცილებით უფრო აგრესიულია“ [**ნ. ხადური, 2018 : 49**].

დასაქმების მაღალი დონის მიღწევა სახელმწიფოს მაკროეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. დასაქმების შესაძლებლობების გაფართოება მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპისა და, მაშასადამე, მოსახლეობის კეთილდღეობის თვისებრივად უკეთეს მდგომარეობაში გადასვლის საწინდარია. დასაქმება რთული ეკონომიკური მოვლენაა. ეკონომიკური შინაარსით დასაქმება განიხილება, *,,როგორც მოსახლეობის ფუნქციონალური მახასიათებელი, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებრივი შრომის პროცესში მოსახლეობის ჩაბმის ხარისხს და საქმიანობის კონკრეტული სახეებისა და ფორმების მიხედვით შრომისუნარიანი მოსახლეობის განაწილების საბოლოო შეფასება“*[2], თუმცა, არ შემოიფარგლება მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკური ასპექტებით. ის შინაარსობრივად აისახება საზოგადოებრივი საქმიანობის სოციალურ, ეკონომიკურ დემოგრაფიულ გარემოზე. აქედან გამომდინარე, დასაქმების დონე, პროცესის თავისებურებები, პრობლემები, ხელისშემშლელი ძირითადი მიზეზები, ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფის ღონისძიებები - ყოველივე საბოლოო ჯამში გვიქმნის მკაფიო წარმოდგენას და იძლევა დასკვნების გაკეთების საშუალებას ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

გრძელვადიან პერიოდში საზოგადოება მიისწრაფვის სრული დასაქმებისაკენ, რაც მაკროეკონომიკური სტაბილურობის გარეშე წარმოუდგენელია. *,,ისტორიული გამოცდილება მოწმობს, რომ ძირითადი ეკონომიკური მიზნების - სრული დასაქმების ფასების სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის ნორმალური ტემპების მიღწევა პრაქტიკულად შეუძლებელია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების გარეშე“* [**მ. ჩიქობავა, 2018: 41-42**]. სრული დასაქმებისა და, ზოგადად, დასაქმების მაღალი დონის შესანარჩუნებლად შრომის ბაზრის [3] ეფექტიანი ფუნქციონირება სასიცოცხლოდ

---

[2] შრომის ეკონომიკა. სახელმძღვანელო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაკროეკონომიკის კათედრა, 2016: https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/shromis%20ec..pdf;

[3] შრომის ბაზარი-საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი ელემენტი. საზოგადოებრივ-შრომითი ურთიერთობების ორგანიზებული მექანიზმი, სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სამუშაო ძალის კვლავწარმოებას, გაცვლასა და გამოყენებას. შრომის ბაზრის შესახებ დეტალურად შემდეგ პარაგრაფში ვისაუბრებთ

მნიშვნელოვანია და საჭიროებს სახელმწიფო მხარდაჭრას. რადგან შრომაზე მოთხოვნა (მშრომელ ადამიანებზე მოთხოვნა), ძირითადად, საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის შედეგია და მასზე გავლენას ახდენს თუ რამდენს მოიხმარენ ოჯახები და საწარმოები, სახელმწიფო პოლიტიკა აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს (მაგალითად, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა). თუ შრომის ბაზარი სახელმწიფოს მხრიდან წახალისებისა და ზედამხედველობის გარეშე იფუნქციონირებს, სამუშაოს მაძიებელ-თათვის დასაქმების თანაბარი შესაძლებლობები აღარ შეიქმნება. ეს დააზარალებს შრომისუნარიანი მოსახლეობის დაბალკონკურენტუნარიან ფენას.

შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირება წარმოუდგენელია შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის[4] განვითარების გარეშე. მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა არა იძულებით, არამედ თავისუფლად არჩეული, სრულფასოვანი დასაქმების შესაძლებ-ლობაა. ჯერ ერთი, ინფრასტრუქტურის დაფინანსება ეფექტიანი დასაქმების[5] ზრდის გარანტია. *„ეფექტიან ფასაქმებაზე მოქმედებს შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განუვითარებლობაც“* [მ. ცარციძე..., 2017:585]. იქმნება ახალი სამუშაო ადგილები, შემოსავლები. *„...რაც მეტია ეს შემოსავალი, მით უფრო მრავალფეროვანია ხარჯების სტრუქტურაც, კერძოდ ის იწყება ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით და ეტაპობრივად გადადის გართობისა და დასაქმების ინდუსტრიაზე, ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობაზე, ტექნიკის შეძენაზე, უკეთეს საცხოვრებელ პირობებსა თუ, ზოგადად, ცხოვრების სტილზე და ა.შ.“* [პაპავა ვ.., 2020:7-8]. გარდა ამისა, განუვითარე-ბელი ინფრასტრუქტურა სიღარიბეს კიდევ უფრო ამწვავებს, წარმოშობს არალეგალურ მიგრაციას და ზრდის უმუშევრობას. უმუშევრობა სტრესისა და სოციალური პრობლემების დიდი მიზეზია და ადექვატურად აისახება მაკროეკონომიკურ დანაკარგებზე:

ა) ეკონომიკაში ხარჯვის შემცირება, რაც ნელი ეკონომიკური ზრდის სტიმულია;

---

[4] შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც, საზოგადოების სოციალურ-შრომით ურთიერთობის მარეგულირებელი ინსტიტუტების სისტემა, რომელიც ცდილობს დააბალანსოს შრომის ბაზრის კონიუნქტურა და აღმოფხვრას სტრუქტურული დისბალანსი.

[5] საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეფექტიანი დასაქმება წარმოადგენს ისეთ დასაქმებას, რომელიც უზრუნველყოფს ღირსეულ შემოსავალს, საზოგადოების თითოეული წევრის ჯანმრთელობას, საგანმანათლებლო და პროფესიონალური დონის ზრდას და იგი მიიღწევა საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის საყოველთაო ზრდის საფუძველზე

ბ)დაბალი შემოსავალი და სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის შემცირება. გარდა, ამისა მთავრობას უწევს სახსრების მოძიება, სესხება, რათა უმუშევრები დაეყრდნონ სოციალურ შეღავათებსა და მატერიალურ დახმარებას. ეს კი აუარესებს საბიუჯეტო პოზიციას;

გ)დანაშაულის, ვანდალიზმისა და ეკონომიკური უთანასწორობის სტიმულირება. ადამიანები არიან დემორალიზებულნი, გრძნობენ მიზნის ნაკლებობასა და უქვეითდებათ თვითშეფასება.

საბოლოოდ შეიძლება აღინიშნოს, რომ დასაქმება ეს არის, რთული სოციალურ-ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, დემოგრაფიული მოვლენა, რომელიც მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების დონესა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის ხარისხზე.

1.2 დასაქმების ძირითადი ფორმები და მისი სტატუსის განსაზღვრის მეთოდოლოგიური საფუძვლები საქართველოში

21-ე საუკუნეში კაცობრიობა ახალი გამოწვევის - ცოდნასა და ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ეკონომიკის წინაშე დგას. შესაბამისად, დღესდღეობით ფიზიკური საქმიანობის ეფექტიანობის ხარისხი, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია გონებრივ ძალისხმევაზე. ცოდნის ეკონომიკის საზოგადოებაში კვლავ დაფასებულია შრომითი საქმიანობა, განსაკუთრებული ღირებულების მატარებელია ადამიანთა სოციალურ-შრომითი ურთიერთკავშირის პროცესში აღმოცენებული ეკონომიკური, სამართლებრივი, კულტურული, მორალური, ფსიქოლოგიური ასპექტები. აქედან გამომდინარე, პროგრესზე ორიენტირებულ სახელმწიფოში, აუცილებელია, ფუნქციონი-რებდეს ცივილიზებული, ორგანიზებული მექანიზმი, რომელიც იზრუნებს შრომითი პოტენციალის მაქსიმალურად ათვისებაზე; ხელს შეუწყობს ადამიანისეული კაპიტალის განვითარებისა და შრომითი ურთიერთობების რეპროდუქციის სამომავლო, გრძელვა-დიან პროცესს; სამართლებრივად დაარეგულირებს მშრომელთა ქცევის ნორმებს, დაიცავს მათ უფლებებს და ა.შ. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ზემოხსენებული სცენარის წარმატებით განხორციელების გარანტია ცივილიზებული შრომის ბაზარი.

,,შრომის ბაზარი საზოგადოებრივი ურთიერთობების, სოციალური (მათ შორის იურიდიული) ნორმებისა და ინსტიტუტების სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს მოთხოვნა-მიწოდების კანონის საფუძველზე სამუშაო ძალის კვლავწარმოებას, განაწილებას, გაცვლასა და გამოყენებას.“ [**ცარციძე მ. 2019:45**]. ის შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც სამუშაო ძალის [6] მყიდველებისა და გამყიდველების ურთიერთობის დინამიკურად განვითარებადი სისტემა, რომლის საბოლოო მიზანია მოდერნიზებული საბაზრო ინფრასტრუქტურის გამოყენებით ეკონომიკურად მიზანშე-წონილი სამუშაო ადგილების დაკომპლექტება, თითოეული დასაქმებულისა და დამსაქმებლის ინტერესების შეთანაწყობა. აღნიშნული სისტემის წარმატებით

[6] სამუშაო ძალა - ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა, უმუშევართა და დასაქმებულთა მთლიანი რიცხოვნობა;

ფუნქციონირება დამოკიდებულია რეგიონის მაკროეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობაზე, *„..ვინაიდან სწორედ შრომის ბაზარზე აისახება ყოველგვარი ეკონომიკური რეფორმის შედეგები“* [**ტუხაშვილი მ.., 2012:16**]. განუვითარებელი შრომის ბაზარი კატასტროფულად ამცირებს ქვეყანაში შრომის მწარმოებლურობას.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში დასაქმების ცნებამ მრავალმხრივი და მეტად შინაარსობრივი სახე მიიღო. დასაქმება ჩამოყალიბდა, როგორც რთული მოვლენა თავისი ეკონომიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური, დემოგრაფიული, სამართლებრივი ასპექტებით და მისი დარეგულირება სოციალიზმისათვის დამახასიათებელი ცენტრალიზებული მიდგომით ან რაიმე მარტივი, უნივერსალური მექანიზმით გამორიცხულია. საქართველოს შრომის კოდექსის თანახმად, ოფიციალურად დასაქმებულად ითვლება ფიზიკური პირი, თუ მას დამსაქმებელთან[7] დადებული აქვს შრომითი ხელშეკრულება და ასრულებს ამ ხელშეკრულებითვე დადგენილ სამუშაოს.[8]

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) შემოთავაზებული მეთოდოლოგიით, რომელსაც იყენებს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დასაქმებული (როგორც დაქირავებით დასაქმებული, ასევე თვითდასაქმებული) არის *„15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განამვლობაში მუშაობდა (სულ მცირე ერთი საათით მაინც) შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შემოსავლის, მოგების და ა.შ) მიღების მიზნით, ეხმარებოდა უსასყიდლოდ შინამეურნეობის სხვა წევრებს, ან რაიმე მიზეზით არ იმყოფებოდა სამუშაოზე, თუმცა ფორმალურად ირიცხებოდა მომუშავედ“.* [9] აქედან გამომდინარე, საერთაშორისოდ აპრობირებული მეთოდოლოგიის თანახმად, მშრომელს დამსაქმებელთან შესაძლოა არ ჰქონდეს გაფორმებული ოფიციალური ხელშეკრულება, მაგრამ იმის გამო, რომ მიიღო გარკვეული ანაზღაურება იგი უნდა ჩაითვალოს დასაქმებულად (ამ სისტემით, სოფლის მეურნეობაში ანაზღაურების გარეშე მომუშავე პირიც დასაქმებულია; აგრეთვე

---

[7] საქართველოს შრომის კოდექსი, კარი I, თავი I, მუხლი 3. საქართველოს შრომის კოდექსის თანახმად, დამსაქმებელი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, ანდა პირთა გაერთიანება, რომლისთვისაც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე სრულდება გარკვეული სამუშაო, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=13;

[8] იქვე, კარი I, თავი I, მუხლი 3.

[9] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, https://www.geostat.ge/media/20612/samushao-dzalis-gamokvleva-%28geo%29.pdf, გვ. 1.

რეპეტიტორები, კერძო ტაქსის მეპატრონეები[10]). ჩვენი აზრით, საქართველოსათვის, მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნისათვის, სადაც დღითიდღე მწვავდება სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და მოსახლეობის 20.0% აბსოლუტურ სიღარიბეში [geostat.ge] ცხოვრობს, აღნიშნული მეთოდოლოგია სიტუაციის დამახინჯებულ, ხელოვნურად შელამაზებულ სურათს წარმოგვიდგენს. თავის მხრივ, ქვეყნის სამუშაო ძალის შესახებ არაზუსტი ინფორმაციის საფუძველზე გატარებული ღონისძიებები არაქმედითია და ამცირებს შრომის ბაზრის დინამიურობას, მოქნილობას. მიგვაჩნია, რომ ქვეყანაში სოფლის მეურნეობაში უსასყიდლოდ ან მიზერული ანაზღაურების სანაც-ვლოდ მომუშავე ადამიანისათვის დასაქმებულის სტატუსის მინიჭება კატეგორიულად ეწინააღმდეგება საღ აზრს და წარმოადგენს რეალობის არაობიექტურად აღქმას, მიუხედავად იმისა, შსო იყენებს თუ არა. საერთაშორისო მეთოდოლოგიის ამ და სხვა თავისებურებებზე დაწვრილებით შემდგომ პარაგრაფებში ვისაუბრებთ.

დასაქმების ფენომენი, უპირველესად, შემოსავალთან, ეკონომიკურ განვითარებასთან და, მაშასადამე, გაზრდილ კეთილდღეობასთან ასოცირდება. მისი ძირითადი სახეებია **სრული** და **არასრული** დასაქმება. არასწორი ინტერპრეტირების თავიდან ასარიდებლად, წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ სრული დასაქმება არ გულისხმობს შრომისუნარიანი მოსახლეობის საყოველთაო დასაქმებას. 1996 წელს ჟენევაში, რიგით 83-ე საერთაშორისო შრომით კონფერენციაზე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ სრული დასაქმების მდგომარეობა განისაზღვრა, როგორც *„დასაქმების დონე, როდესაც ყველა, ვისთვისაც ხელმისაწვდომია, ვისაც შეუძლია და აქტიურად ეძებს სამუშაოს, მოიპოვებს მას.“* [11] უნდა აღინიშნოს, რომ საბაზრო ეკონომიკის დამახასიათებელი დინამიური ხასიათიდან და მუდმივად ცვალებადი მოთხოვნებიდან გამომდინარე, სრული დასაქმების მიღწევა საზოგადოებაში, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე ადამიანებისათვის პერსონალური საჭიროებიდან ან აუცილებლობიდან გამომდინარე არასაკმარისია მიმდინარე ანაზღაურება; ანდა ვეღარ

---

[10] იქვე, გვ. 3

[11] შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია. 83-ე სერთაშორისო შრომითი კონფერენცია, ხელმისაწვდომია: https://www.ilo.org/global/about-the-ilo/newsroom/news/WCMS_008063/lang--en/index.htm

ხედავენ კარიერული და პიროვნული განვითარების პერსპექტივას. ორივე შემთხვევაში ისინი ტოვებენ სამსახურს. ზოგჯერ საწარმო იძულებულია გაათავისუფლოს დასაქმებულთა გარკვეული კატეგორია, რადგან სამუშაო ადგილები საჭიროებს სრულყოფასა და მოდერნიზებას, ხოლო მათი კომპეტენცია ვერ აკმაყოფლებს ახალ მოთხოვნებს. მიმდინარეობს შრომის უნივერსალიზაციისა და ინტელექტუალიზაციის პროცესი. ახალი უნარების ათვისება და კომპეტენტური კადრების მოძიება კი დროს მოითხოვს (მაღალი უმუშევრობის პირობებშიც კი არსებობს ვაკანტური სამუშაო ადგილები). თითოეული პოტენციური დასაქმებული ცდილობს იპოვოს პროდუქტიუ-ლი სამუშაო ადგილი, სადაც მაქსიმალურად გამოავლენს შემოქმედებითობას, მიაღწევს შრომის მწარმოებლურობის მაღალ დონეს და მიიღებს ღირსეულ ანაზღაურებას. ანუ იქნება არა უბრალოდ დასაქმებული, არამედ მისი საქმიანობა ჩაითვლება ეკონომიკურად მიზანშეწონილად. აქედან გამომდინარე, თუ კონკრეტულ მომენტში ეკონომიკურად მიზანშეწონილი ადგილები სრულყოფილად შევსებულია შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის სამუშაო ძალით, გვაქვს სრული დასაქმება. ქვეყანაში არსებული თითოეული სამუშაო ადგილი კი შეუძლებელია ჩაითვალოს ეკონომიკურად მიზანშეწონილად, რადგან მუდამ იცვლება ეკონომიკური საქმიანობის პირობები და, შესაბამისად, ცვალებადია მიდგომებიც. მიუხედავად ამისა, საზოგადოება დროის ნებისმიერ მომენტში უნდა მიისწრაფოდეს სრული დასაქმებისაკენ, რადგან *„ეკონომიკური ზრდა წარმოუდგენელია ეფექტიანობისა და სრული დასაქმების გარეშე“* [**ნ. ხადური, 2016:36**]. ამისათვის კი აუცილებელია ხელსაყრელი და სტაბილური მაკროეკონომიკური მდგომარეობა.

დასაქმების მეორე ძირითადი სახეა **არასრული** დასაქმება. არასრული დასაქმების პირობებში შრომის მიწოდება აღემატება შრომაზე მოთხოვნას, თუმცა აღნიშნული არ უნდა გავაიგივოთ ტოტალურ უმუშევრობასთან. არასრული დასაქმება ეკონომიკური განვითარების ისეთი მდგომარეობაა, როდესაც სამუშაო ძალის გარკვეული ნაწილი მუშაობს, მაგრამ, ვაკანტური ადგილებიც არასაკმარისია, დაბალშემოსავლიანია, არ არის კარიერულ განვითარებაზე ორიენტირებული და არ შეესაბამება მშრომელთა მაღალ სტანდარტებს.

ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოიყოფა **რაციონალური, ეფექტიანი, ნაწილობრივი, ეპიზოდური, მეორადი, არატიპური დასაქმების ფორმები.**

რაციონალური დასაქმება ძირითადად გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვისაა დამახასიათებელი, როდესაც უახლოეს წარსულში ადგილი ჰქონდა სტაგნაციას, ეკონომიკურ დაქვეითებას, წარმოების შეჩერებას. ეს არის შექმნილი არასახარბიელო ეკონომიკური გარემოს ადექვატური, სოციალურად მისაღები და ოპტიმალური დასაქმების დონე ეფექტიანობისა და სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით.

გარდამავალ პერიოდში წარმოიქმნა და გავრცელდა **ნაწილობრივი** და **ეპიზოდური** დასაქმების ფორმებიც. ვიტყვით, რომ მშრომელი ნაწილობრივ დასაქმებულია, თუ მუშაობს კვირაში მაქსიმუმ სამ სამუშაო დღეს. ხოლო თუ სამუშაო დღეები დამსაქმებლის მოცემული საჭიროებიდან გამომდინარე განისაზღვრება, რასაც არ ახასიათებს კანონზომიერება და პერიოდულობა, სახეზეა ეპიზოდური დასაქმება.

ეფექტიანობა გულისხმობს კარგი საქმის კეთებას. შესაბამისად, **ეფექტიანია დასაქმება** თუ მშრომელთა კომპეტენცია და კვალიფიკაცია მაქსიმალურად მიესადაგება შრომის ბაზრის საჭიროებებს; იზრდება ქვეყანაში შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლურობა და დასაქმებულებს ერიცხებათ ღირსეული ანაზღაურება.

განსაკუთრებით საინტერესო და საყურადღებოა **მეორადი** დასაქმების ფორმა, რომელიც უმეტესად ეკონომიკური განვითარების დაბალი ტემპის მქონე, განვითარებადი ქვეყნის მოსახლეობისთვისაა ნიშანდობლივი. მეორადი დასაქმებულები არიან ადამიანები, რომლებიც მონაწილეობენ შრომით საქმიანობაში, მაგრამ ობიექტური მიზეზების გამო უწევთ რამდენიმე ადგილზე მუშაობა (მაგალითად ,,ღარიბი დასაქმებულები“, რომელთა შემოსავალი საარსებო მინიმუმზე ნაკლებია).

შედარებით მოქნილია დასაქმების **არატიპური** ფორმები: **შინ მუშაობა, ნაწილობრივი** და **დროებითი** დასაქმება. მათი საზოგადოებაში დამკვიდრება დამოკიდებულია საქმიანობის სფეროზე, სამუშაო ძალის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურასა და საქმიანი კონიუნქტურის მდგომარეობაზე. არის შემთხვევები, როდესაც წლის კონკრეტულ პერიოდში პროდუქციაზე მზარდი მოთხოვნის გამო კომპანიას სურს წარმოების მოცულობის ზრდა, ან შვებულებაში მყოფი

დასაქმებულების დროებითი ჩანაცვლება. ამ შემთხვევაში მიმართავენ ზემოხსენებულ არატიპურ დასაქმების ერთ-ერთ ფორმას - **დროებით** დასაქმებას, რაც ითვალისწინებს შრომითი ხელშეკრულების გაფორმებას და საქმიანობაში მშრომელის დროებით (1 დღიდან რამდენიმე თვემდე) ჩართვას.

1.3 დასაქმების ეფექტიანობა და მისი შეფასების მაჩვენებელთა სისტემა

წინა პარაგრაფებში შემოვიტანეთ დასაქმების ცნება და იგი დავახასიათეთ, როგორც მრავალწახნაგოვანი, ღრმაშინაარსიანი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა და მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური კატეგორია. დასაქმების მოვლენის სირთულიდან და თანამედროვე საბაზრო პროცესების დინამიური ხასიათიდან გამომდინარე, რაოდენობრიობა მუდამ ცვალებადია. ის დამოკიდებულია დროის კონკრეტულ პერიოდსა და სივრცეში ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის, მთლიანი საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის დონეებზე, მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაზე, მიგრაციაზე, ემიგრაციაზე და ა.შ. ე.ი. დასაქმების ანალიზისათვის, თვისებრივ შინაარსთან ერთად, აუცილებელია, გარკვეულ მაჩვენებელთა სისტემა, რომლითაც პრობლემის სიმწვავეს რაოდენობრივად შევაფასებთ.

საერთაშორისო პრაქტიკაში იყენებენ დასაქმების დონის მაჩვენებელს. იგი გამოითვლება, როგორც ქვეყანაში დასაქმებული ადამიანების რაოდენობის შეფარდება 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლების რიცხოვნობასთან, გამოსახული პროცენტებში:

$$\text{დასაქმების დონე (\%)} = \frac{\text{დასაქმებულთა რაოდენობა}}{\text{15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა}} * 100\%$$

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის შეფასებით, საქართველოში 2019 წელს დასაქმების დონე 55.7% დაფიქსირდა.[12]

ცხადია, დასაქმებისა და სიღარიბის მოვლენების სიღრმისეული ანალიზისათვის ზემოხსენებული ერთადერთი მაჩვენებლის აბსოლუტიზირება დაუშვებელია და რიცხობრივი ანალიზი აუცილებელია არა მხოლოდ საერთო ეროვნული კუთხით, არამედ სტრუქტურულ ჭრილში. უმნიშვნელოვანესია დასაქმებულთა განაწილების

[12] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. https://www.geostat.ge/.

მიმოხილვა ასაკობრივი ჯგუფების, რეგიონების, ქალაქ-სოფლის, სქესის, ეკონომიკური საქმიანობათა, საკუთრების ფორმების მიხედვით; დასაქმებულთა მთლიან რაოდენობაში დაქირავებით მომუშავეთა და თვითდასაქმებულთა პროცენტული წილი; შრომის ანაზღაურებაში სხვაობა რეგიონების, ქალაქ-სოფლების, სქესის მიხედვით და ა.შ. თითოეულ სოციალურ-დემოგრაფიულ ჯგუფს დასაქმების მისთვის დამახასიათებელი, სპეციფიკური თავისებურებები ახასიათებს.

ქვეყანაში დასაქმების მდგომარეობის დასახასიათებლად, გარკვეულწილად, გამოიყენება უმუშევრობის დონის პროცენტული მაჩვენებელიც. შესაბამისად, იგი ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს. მსჯელობის შემდგომი განვითარებისათვის შემოვიტანოთ უმუშევრის, ეკონომიკურად აქტიური და ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის ცნებები.

შსო-ის შემოთავაზებული მეთოდოლოგიით, რომელსაც, როგორც წინა პარაგრაფში აღვნიშნეთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიც იყენებს, მოქალაქე ითვლება **უმუშევრად**, თუ ის 15 წლის ან მეტი ასაკის პირია და გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის მანძილზე არ მუშაობდა ერთი საათითაც კი, მაგრამ ეძებდა სამუშაოს ბოლო 4 კვირაში და მზადაა დაიწყოს მუშაობა შემდეგი 2 კვირის განმავლობაში.[13]

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა) მოსახლეობის ის კატეგორიაა, რომელთა ასაკი მეტია 15 წელზე და მზად არიან დამსაქმებლებს შესთავაზონ საკუთარი შრომა საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად.[14]

უმუშევრობის დონე კი გამოითვლება, როგორც უმუშევართა რაოდენობის ფარდობა სამუშაო ძალის რიცხოვნობასთან, გამოსახული პროცენტებში:

$$\text{უმუშევრობის დონე} = \frac{\text{უმუშევართა რაოდენობა}}{\text{სამუშაო ძალა}} * 100\%$$

უმუშევრობის დონე საქართველოში 2018-2019 წლებში შესაბამისად 12.7 და 11.6% დაფიქსირდა [**geostat.ge**]. ვეთანხმებით სხვადასხვა ქართველ მეცნიერთა, მკვლევართა, პროფესორთა მოსაზრებებს [**მ. ტუხაშვილი.., 2012:8-9**]; [**ნ. პაიჭაძე, 2016:10**]; [**მ. ტუღუში, 2013:33**] და მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული რაოდენობრივი შეფასებების

[13] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სამუშაო ძალის გამოკვლევა, გვ. 2, ხელმისაწვდომია: https://www.geostat.ge/media/20612/samushao-dzalis-gamokvleva-%28geo%29.pdf;
[14] იქვე, გვ. 1

პრინციპები და, ზოგადად, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შემოთავაზებული მეთოდოლო-გია გადასახედია. კერძოდ, აღნიშნული მეთოდოლოგიით გაანგარიშებული დასაქმებისა და უმუშევრობის დონეები, ჩვენი აზრით, სრულყოფილად ვერ ასახავს ქართულ რეალობას. მაშინ, როცა დასაქმებულთა რაოდენობა იზრდება, უმუშევრობა უნდა შემცირდეს, ან საპირისპიროდ. შსო-ის შეფასებით, უმუშევრობის დონე შესაძლებელია ფიქციურად შემცირდეს, ხოლო დასაქმების დონე ფიქციურად გაიზარდოს, ანდა ორივე შემცირდეს, ან ორივე გაიზარდოს.

საქართველოში დასაქმებულთა 50%-ზე მეტი თვითდასაქმებულია, ხოლო, თავის მხრივ თვითდასაქმებულთა 80%-ზე მეტი სოფლის მეურნეობის სფეროშია თავმოყრილი (დარგში, სადაც 2018 წელს საქმიანობათა სახეების მიხედვით ერთ-ერთი დაბალი საშუალო თვიური ნომინალური ხელფასია; რომელზეც, წინასწარი მონაცემებით 2019 წლის მთლიანი გამოშვების 6.3% და მთლიანი შიდა პროდუქტის 7.2% მოდის [**geostat.ge**]). ისინი მუშაობენ მიზერული ანაზღაურების სანაცვლოდ, ან უსასყიდლოდ, მაგრამ მაინც დასაქმებულად აღირიცხებიან. ეს კი იწვევს დასაქმების დონის ხელოვნურად გაბერვას. რაც შეეხება უმუშევრობას, განმარტებიდან გამომდინარე, უმუშევარია ადამიანი, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როცა აქტიურად ეძებდა სამუშაოს უკანასკნელ 4 კვირაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, იმედდაკარგული პოტენციური დასაქმებულები გადაინა-ცვლებენ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობიდან ეკონომიკურად არააქტიური ადამიანების კატეგორიაში. საქართველოში უმუშევართა საკმაოდ დიდი ნაწილი სწორედ ხელჩაქნეული, იმედდაკარგული მუშახელია. ფაქტობრივად, ისინი აღრიცხვის ფარგლებს გარეთ რჩებიან - მათი გადინებით მცირდება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა (უმუშევართა და დასაქმებულთა ჯამი), შესაბამისად უმუშევრობის დონის ნიშნულიც დაბალია. გაანგარიშების მიმართულება ისეთია, რომ უმუშევრობის დონის ცვლილება დასაქმების დონის მაჩვენებელზე არ აისახება. მაგალითად, 2018 წელს 2015

წელთან შედარებით დასაქმებისა[15] და უმუშევრობის[16] დონეები ორივე შემცირდა: დასაქმება 1.6%-ით, უმუშევრობა 3.839%-ით. აქედან გამომდინარე, 2015-2018 წლებში უმუშევრობის დონის შემცირება დასაქმების მაჩვენებელზე არათუ დადებითად აისახა, საპირისპიროდ, დასაქმების დონეც შემცირდა. უმუშევრობისა და დასაქმების დონეების შეფასების შსო-ის პრინციპიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ზემოხსენებულ პერიოდში ეკონომიკურად აქტიური მოსახ-ლეობის ნაწილმა გადაინაცვლა ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის ნაკადში.

რეალობის სუბიექტურად ამსახველი რაოდენობრივი მაჩვენებლები აფერხებს უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობას. დასაქმების მდგომარეობის შეფასების მიზნით გამოიყენება სხვა რამდენიმე მაჩვენებელი: ა)მოსახლეობის პროფესიული შრომით დასაქმების დონე; ბ)ეროვნულ მეურნეობაში შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების დონე; გ)საზოგადოების შრომითი რესურსების განაწილების პროპორციები საზოგადოებრივად სასარგებო საქმიანობაში მათი მონაწილეობის ხასიათის მიხედვით; დ)მომუშავეთა განაწილების რაციონალური სტრუქტურა ეროვნული მეურნეობის სექტორებისა და დასაქმებს სახეების მიხედვით; ე)მომუშავეთა პროფესიულ-კვალიფიციური სტრუქტურა; ვ)შემოსავლებისა და შრომის ანაზღაურების დონე [**მ. ცარციძე, 2019:10-11**].

მოსახლეობის პროფესიული შრომით დასაქმების დონე გვიჩვენებს ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის რამდენი პროცენტია ჩართული სოციალურ-შრომით საქმიანობაში. კოეფიციენტის მნიშვნელობა დამოკიდებულია დასაქმებულთა დინამიკასა და დემოგრაფიულ მაჩვენებლებზე (ქვეყნის მოსახლეობის შობადობა, სიკვდილიანობა, ბუნებრივი მატება).

$$\text{პროფესიული შრომით დასაქმების დონე} = \frac{\text{პროფესიული შრომით დასაქმებულთა რაოდენობა}}{\text{ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობა}} * 100\ \%$$

[15] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის პუბლიკაცია ,,დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში 2018 წელი“, 2019, https://www.geostat.ge/media/23681/dasaqmeba-da-umushevroba-cliuri-2018-%28geo%29.pdf;

[16] https://data.worldbank.org/indicator/SL.UEM.TOTL.NE.ZS?end=2018&locations=GE&start=2009.

ეროვნულ მერნეობაში შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების მაჩვენებელი საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ, ერთი მხრივ, ეროვნული მეურნეობაში მშრომელებზე მოთხოვნა, მეორე მხრივ - თავად დასაქმებულების მოთხოვნა სამუშაო ადგილებზე. იგი გამოითვლება, როგორც პროფესიული შრომით დასაქმებულთა რიცხოვნობის შეფარდება შრომითი რესურსებთან, გამოსახული პროცენტებში.

განსაკუთრებით საინტერესოა და საქართველოს მაგალითზე დასაქმების სფეროში არსებული პრობლემები სააშკარაოზე გამოაქვს შემდეგ ორ მაჩვენებელს: პირველი - საზოგადოების შრომითი რესურსების განაწლების პროპორციები საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში მათი მონაწილეობის ხასიათის მიხედვით; მეორე - მომუშავეთა განაწილების რაციონალური სტრუქტურა ეროვნული მეორნეობის სექტორისა და დასაქმების სახეების მიხედვით. ისინი აფასებენ საერთო საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის როგორი ხარისხის პირობებში პოულობს სამსახურს მოსახლეობა და რამდენად რაციონალურადაა განაწილებული სხვადასხვა საქმიანობაში დასაქმებულთა შრომითი პოტენციალი. საქართველოში 2017-2019 წლებში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის დაახლოებით 40% სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაშია თავმოყრილი (და როგორც აღვნიშნეთ, მათგან 80%-ზე მეტი თვითდასაქმებულია). მიუხედავად იმისა, რომ უახლოეს მომავალში ვარაუდობენ მზარდ მოთხოვნას ენერგეტიკის, სამთო-მოპოვებითი და დამამუშავებელი მრეწველობის დარგებში [17], მრეწველობის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა მხოლოდ და მხოლოდ 10%-ია. ამასთან საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, რეგიონული სტრუქტურის მიხედვით, 2019 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 51.7%[18] მხოლოდ დედაქალაქზე მოდის. ერთ-ერთი დაბალი ნიშნულია დაფიქსირებული შრომის საშუალო ანაზღაურების მხრივ იქ, სადაც დასაქმებულთა კონცენტრაცია ყველაზე მაღალია (სოფლის მეურნეობის სექტორში 2018 წელს საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 701.0

[17] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ანგარიში -,,საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2018“, გვ. 24. http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=UserReport&ID=60cd9ef8-0b17-444d-b227-507136d3d4a2

[18] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ტერიტორიული ერთეულების მიერ შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტი საქმიანობის სახეების მიხედვით. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp

ლარი იყო [**geostat.ge**]). საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში ეკონომიკური საქმიანობის დარგების მიხედვით შრომითი პოტენციალი არარაციონალურადაა გადანაწილებული და მთელ ქვეყანაში დაბალია შრომის მწარმოებლურობა.

მომუშავეთა პროფესიულ-კვალიფიკაციური სტრუქტურის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ შრომაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის სტრუქტურული შეუსაბამობით გამოწვეულ შრომის ბაზრის კონიუნქტურის ცვალებადობას.

თავი - II. დასაქმების მდგომარეობა და მისი მაკროეკონომიკური შეფასება საქართველოში

2.1 დასაქმების სფეროში არსებული მდგომარეობის მიმოხილვა საქართველოში პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის საწყის და შრომის ბაზრის ფორმირების მიმდინარე ეტაპებზე

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში დაიწყო მეტად რთული და მრავალწახნაგოვანი პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია [**რ. ასათიანი, 2009:27**]. სამოქალაქო დაპირისპირებების, საომარი მოქმედებების, სამუშაო ძალის მიგრაციის მაღალი მაჩვენებლების, უმუშევრობის კატასტროფული ზრდის, ეკონომიკური ვარდნის, ჰიპერინფლაციის, მძიმე კრიმინოგენული ვითარებისა და სხვა ნეგატიური ფაქტორების ფონზე, ქვეყანამ დამოუკიდებლად დაიწყო საბაზრო ეკონომიკის მშენებლობა. ისტო-რიულ გამოცდილებაში აღნიშნული ეკონომიკური სისტემის არსებობა ფიქსირდებოდა, თუმცა არ არსებობდა ორიენტირისკენ სავალი გზა - მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მეცნიერულად დასაბუთებული თეორია.

საქართველოში სახელმწიფოებრივი შეგნებით მდიდარი, თუმცა სახელმწიფოებრივი აზროვნებით ახალგაზრდა ხელისუფლების წარმომადგენლების

საშინაო და საგარეო პოლიტიკური ქმედებების ერთობლიობა არაეფექტიანი აღმოჩნდა. საბაზრო ეკონო-მიკაზე გადასვლის ორიენტირად ქვეყანამ ,,შოკური თერაპიის" მოდელი აირჩია (განხორციელება დაიწყო 1992 წლის თებერვლიდან). რეალურად საქართველოში მივიღეთ ,,შოკური თერაპიის" ,,ბალცეროვიჩისეული გეგმის" რუსულ ,,სარკეში" ანარეკლის დამახინჯებული, ბრმად კოპირებული ვარიანტი. [**ვ. პაპავა, 2015:44**]. ,,შოკური თერაპია" იმ პერიოდში ძირშივე არასწორი იყო და, რა თქმა უნდა, ვერ გაამართლა - ქვეყანას არ ჰქონდა პროცესის წარმატებით დასრულებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინდიკატორები: ეროვნული ვალუტა, ფულად-საკრედიტო სისტემა, 1995 წლამდე არ იყო დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტი. ,,შოკურმა თერაპიამ" დააკმაყოფილა სახელწოდების პირველი ტერმინი - ,,შოკი", თუმცა შოკმა ვერ მიიღო კუთვნილი ,,თერაპია" და კიდევ უფრო შეანელა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი. *,,..ტრანსფორმაციული პროცესი წლების განმავლობაში გაგრძელდა. შედეგად მივიღეთ დეფორმირებული ეკონომიკა, რომელიც მრავალი ნიშნის მიხედვით ვერ პასუხობს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს"* [**რ. აბესაძე, 2009:18**].

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, „მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემისაგან" განსხვავებით, ეკონომიკური განვითარების დინამიკას განსაზღვრავს საბაზრო მექანიზმი და არა სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული გარკვეული მგეგმავი ორგანიზაცია. შრომითი სფეროს ორგანიზებისათვის და ინდივიდთა შორის ეფექტიანი ურთიერთკავშირის ჩამოყალიბებისათვის საბაზრო ეკონომიკას სჭირდება ნოყიერი ნიადაგი, ქვაკუთხედი - ცივილიზებული შრომის ბაზარი. *,,..შრომის ბაზარი განხილული უნდა იქნეს, როგორც საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა, ვინაიდან სწორედ მასზე აისახება ყოველგვარი ეკონომიკური რეფორმის შედეგები."* [**მ. ტუხაშვილი.., 2012:16**] დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, საბაზრო ეკონომიკის ადექვატური, მოდერნიზებული შრომის ბაზრის მშენებლობის პერიოდი 30 წელს მოიცავს და კვლავ ფორმირების სტადიაშია. მიუხედავად ამისა, მაინც გამოიკვეთა სამუშაო ძალის კვლავწარმოების, გაცვლისა და გამოყენების სპეციფიკური ტენდენციები და თანმხლები პრობლემები.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყის ეტაპზე ქართული შრომის ბაზარი არ ხასიათდებოდა მოქნილობით. არათუ სრულყოფილად, არამედ საერთოდ ვერ რეაგირებდა ეკონომიკური განვითარების დინამიკაზე. ძველი ინსტიტუციების ორგანიზაციული გარდაქმნა, ან ახლით ჩანაცვლება საწარმოებისათვის ავტომატურად ნიშნავდა უცნობი ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებას. პარტნიორების გარეშე დარჩენილ ქვეყანაში, კერძო სექტორს დამოუკიდებლად, ხელისუფლების დაუხმარებლად უნდა გაეძლო კონკურენციისათვის. მწვავე პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა, უმეტესად პარალიზებულმა, შემცირებულმა გამოშვებამ, სამუშაო ადგილების დეფიციტმა და სამუშაო ძალის შეზღუდულმა მობილურობამ, მიზერულმა შრომის ანაზღაურებამ, ახალი ინსტიტუციების შესაბამისი კვალიფიციური კადრების არარსებობამ, ემიგრაციის დიდმა მასშტაბმა, მოსახლეობის მნიშვნელოვნად შემცირებამ მიგვიყვანა უმუშევრობის უზარმაზარ ტალღამდე. *„1990 წელს საქართველოში დასაქმებამ 100% შეადგინა. 1991 წელს ოფიციალურად უმუშევარი იყო მხოლოდ 3500 კაცი, 1992 წელს უმუშევრობის დონე 32-ჯერ გაიზარდა და 113 000 კაცი შეადგინა, 1993 წელს - 180 000 კაცი“* [**ნ. ხადური.., 2016:4**]. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, 1990-1995 წლებში ქვეყანაში უმუშევრობის დონის მაქსიმალური მნიშვნელობა 7.5%-იც კი არ დაფიქსირდა [**ceidata.com, geostat.ge**] [19] . პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზე დასაქმების დინამიკაზე ზოგად წარმოდგენას იძლევა შემდეგი მონაცემები **(იხ. ცხრილი 2.1-1).**

ცხრილი 2.1-1

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა საქართველოში (ათასი კაცი)[20]

წელი	**1990**	**1995**	**2000**	**2003**	**2005**	**2008**
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა -სულ	2763,3	1780,9	1858.0	2050,4	2023,9	1917,8
დასაქმებულები	2763,3	1730,1	1748,8	1814,5	1744,6	1601,9
დაქირავებულები	2502,6	802,1	684,5	618,5	600,5	572,6

[19] Georgia Unemployment Rate, https://www.ceicdata.com/en/indicator/georgia/unemployment-rate;

[20] **აბესაძე რ.,** უმუშევრობა და მისი მიზეზები საქართველოში, საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური, ბეჭდურ-ელექტრონული ჟურნალი ,,ეკონომისტი“, 2009, N5, გვ. 11 (ცხრილები გაანგარიშებულია ავტორის მიერ სტატისტიკური კრებულების-„საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2008“ და „საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2009“ მიხედვით), ხელმისაწვდომია: http://www.pgie.tsu.ge/contentimage/5-_2009.pdf.

თვითდასაქმებულები	260,7	928,0	1064,3	1195,2	1143,3	1028,5
უმუშევრები	127,2	118,2	235,6	235,9	279,3	315,8
პროცენტობით						
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა - სულ	100	100	100	100	100	100
დასაქმებულები	100	97,1	94,5	88,5	86,2	83,5
დაქირავებულები	90.6	45,0	37,0	30,2	29,7	29,8
თვითდასაქმებულები	9.4	52,1	57,5	58,3	56,5	53,6
უმუშევრობის დონე	-	2,9%	5,5%	11,5%	13,8%	16,5%

2.1-1 ცხრილიდან მკაფიოდ ჩანს რომ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის შემოთავაზებული სტატისტიკური კრებულის ინფორმაციის მიხედვით, 1990 წელს საქართველოში დასაქმებული იყო ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 100%. ამავე წელს, თვითდასაქმებულთა წილი ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში 9.4%-ია. აღნიშნული მაჩვენებელი 1995 წლისათვის უკვე მკვეთრად გაზრდილია და 52.1% შეადგინა. ცხრილიდან ასევე ვასკვნით, რომ 1990-2000 წლებში ქვეყანაში უმუშევრობის დონე საკმაოდ დაბალია (World Bank და ILO განსხვავებულ სურათს გვიხატავს. საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებზე დაყრდნობით, 1995 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე 7.6% იყო, 1996 და 1997 წელს - 11.5%, 1998 წელს - 14.53%, 1999 წელს - 13.8%, 2000 წელს - 10.82% [**data.worldbank.org**[21]]). ვითვალისწინებთ რა XX საუკუნის ბოლოს ჩვენს ქვეყანაში განვითარებულ არაორდინარულ ნეგატიურ მოვლენებს (რომლებიც ფუნდამენტურია ქვეყნის რეგრესისა და ეკონომიკური დაქვეითების პროცესში), ვეთანხმებით აღნიშნულ პრობლემაზე მომუშავე სპეციალისტების, ექსპერტების ანალიზს და მიგვაჩნია, რომ პირველ ცხრილში მოყვანილი ოფიციალური სტატისტიკა არაჯანსაღია - დასაქმებასთან დაკავშირებული მონაცემები, სამწუხაროდ, არ არის სარწმუნო და უმუშევრობის რეალური დონე 1991 – 2000 წლებში გაცილებით მეტი იყო; ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დასაქმების მაღალი მაჩვენებელი მოჩვენებითია და სურათი ხელოვნურად მიღებულია *,,..ფაქტობრივი მონაცემების დამახინჯებითა და ფარული უმუშევრობის არსებობით*

[21] შრომის საერთაშორისო ორიგანიზაციისა და მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა, უმუშევრობის დონე საქართველოში. ხელმისაწვდომია: https://data.worldbank.org/indicator/SL.UEM.TOTL.ZS?locations=GE.

(საწარმოები არსებობდა, მაგრამ არ მუშაობდა და ხელფასებს არ გასცემდა, იქ დასაქმებულები კი უმუშევრად არ ითვლებოდნენ).“ [**რ. აბესაძე, 2009:11**].

საქართველოში 1992 წელს დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 1528 მანეთი დაფიქსირდა, 1993 წელს - 27 950 კუპონი, 1994 წელს - 6151.6 ათასი კუპონი, ხოლო 1995 წელს 13.5 ლარი [**geostat.ge**]. *,,ეს ციფრები ცხადია არ მეტყველებენ რეალურ უმუშევრობაზე, რადგან შრომის ანაზღაურება იმ წლებში იყო მიზერული და მოსახლეობა ძირითადად დანაზოგების მეშვეობით ცხოვრობდა.“* [**ხადური ნ, 2016:134**]. სამუშაო ადგილების დეფიციტმა, დაბალმა ანაზღაურებამ და გაუსაძლისმა ყოფამ დამოუკიდებლობის მოპოვების დასაწყისიდანვე, ბუნებრივია, შრომითი მიგრაციის პრობლემაც წამოჭრა. *,,რიგ ქვეყნებში რომ არა ემიგრაციის დიდი ტალღა, უმუშევრობის მასშტაბები კიდევ მეტი იქნებოდა; საანალიზო პერიოდში, რვა პოსტსაბჭოურ ქვეყანაში მნიშვნელოვნად შემცირდა მოსახლეობის რიცხოვნობა, მათ შორის, სამწუხაროდ, ყველაზე მეტად - საქართველოში“* [**სილაგაძე ა.., 2020:176**]. შესაბამისად, მატებისა და კლების მიმართულებით 1990-2000 წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ქვეყნის ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ.

ცხრილი 2.1-2.

სამუშაო ძალა (ათასი კაცი), მშპ (მლრდ აშშ დოლარი) და უმუშევრობის დონე (%) საქართველოში 1990-2000 წლები[22],

წელი	1990	1991	1992	1993	**1994**	1995	1996	1997	**1998**	1999	2000
სამუშაო ძალა (ათასი კაცი)	2,407	2,445	2,488	2,539	**2,540**	2,456	2,344	2,252	2,195	2,149	2,048
მშპ მიმდინარე	7,754	6,358	3,69	2,701	**2,514**	2,694	3,095	3,511	3,613	2,8	3,057

[22]ცხრილი აგებულია მსოფლიო ბანკის (World Bank), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა (OECD) და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მონაცემთა ბაზებზე დაყრდნობით.ხელმისაწვდომია:
https://data.worldbank.org/indicator/SL.TLF.TOTL.IN?end=2000&locations=GE&start=1990&view=chart,
https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.CD?locations=GE,
https://data.worldbank.org/indicator/SL.UEM.TOTL.ZS?end=2000&locations=GE&start=1991

ფასებში (მლრდ აშშ დოლარი)											
უმუშევრობის დონე, %		2.7%	5.4%	5.4%	8.4%	7.6%	11.5%	11.5%	**14.5%**	13.8%	10.8%

როგორც 2.1-2 ცხრილიდან ჩანს, ILO-ს მონაცემთა ბაზის მიხედვით, 1990-1995 წლებში ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა 2 400 000 კაცზე მეტი იყო. 1990-2000 წლებში სამუშაო ძალის მაქსიმალური რაოდენობა ქვეყანაში დაფიქსირდა 1994 წელს - 2 540 841 ადამიანი. 1996 წლიდან 2000 წლამდე კლების ტენდენცია შეიმჩნევა. მაგალითად, 2000 წელს 1994 წელთან შედარებით, ქვეყანაში ეკონომიკურად აქტიური ადამიანების რაოდენობა შემცირდა 19.4%-ით. 1993-1994 წლებში ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი 1990 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 65-67%-ით შემცირდა და უმუშევრობა განსაკუთრებით მწვავე სწორედ ამ მასშტაბური სტაგნაციის პერიოდში უნდა ყოფილიყო (1994 წელს დაფიქსირდა დამოუკიდებელი საქართველოს უახლეს ისტორიაში ყველაზე მცირე მშპ - მიმდინარე ფასებში 2.514 მილიარდი აშშ დოლარი). თუმცა, საინტერესოა, რომ ILO-ს მონაცემთა ბაზით, უმუშევრობის დონე ზემოხსენებულ პერიოდში მხოლოდ და მხოლოდ 5.4% და 8.4% იყო; ხოლო ყველაზე მაღალი დონე 1990-2000 წლებში 1998 წელს დაფიქსირდა - 14.53%. მიუხედავად იმისა, რომ ცხრილ 2.1-2-ში მოყვანილი ციფრების ანალიზი საინტერესოა, მიგვაჩნია, რომ სრულყოფილად არც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული მონაცემები წარმოაჩენს საქართველოში პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის საწყისი პერიოდის შრომის ბაზრის ასპექტებს.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის საწყის წლებში ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლამ არათუ გააუმჯობესა შრომითი ცხოვრების ხარისხი, არამედ საშიშროების წინაშე დააყენა ადამიანის ბიოლოგიური ცხოვრება. როგორც ხელისუფლებამ, ასევე საზოგადოებამ, სწრაფად ვერ გააანალიზა რეალობა და დღევანდელი გადმოსახედიდან, მოსალოდნელიც კი იყო რეფორმების გზაზე ეკონომიკაში შეცდომების დაშვება. დამატებით, შინაომებმა და მძიმე კრიმინოგენულმა ვითარებამ საბაზრო ეკონომიკაზე

გადასვლის პროცესი რამდენიმე წლით დაამუხრუჭა. *„ადგილი ჰქონდა სტაგფლაციას, რასაც თან ახლდა ფართომასშტაბიანი ციკლური უმუშევრობა, რომელსაც შეიძლება ტრასფორმაციული სტაგფლაციური ციკლური უმუშევრობა ვუწოდოთ.."* [**რ. აბესაძე, 2009:14**]. ჩამოუყალიბებელი, არაკოორდინირებული, სუსტი შრომის ბაზრის მექანიზმისა და მისი განუვითარებელი ინფრასტრუქტურის ფონზე ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა ვერ ახერხებდა სტაბილურ დასაქმებას, გაიზარდა ემიგრანტთა რაოდენობა და, შესაბამისად, შემცირდა ქვეყნის კონკურენტუნარიანობა.

სახელმწიფოებრივი მშენებლობისა და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების შექმნის სიმბოლო გახდა 1995 წლის ოქტომბრიდან მიმოქცევაში გასული ახალი ქართული ეროვ-ნული კანონიერი ვალუტა-,,ლარი". ქვეყანამ კვლავ დაამყარა საერთაშორისო ეკონომი-კური ურთიერთობები, ჩამოყალიბდა საბაზრო ქცევები, საბაზრო ინსტიტუტების შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა. 1996-1997 წლებში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ჩარევით, ინფლაციის ზომიერი დონის ფარგლებში ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპებიც კი დაფიქსირდა [**ვ. პაპავა, 2015:73**]. მდგომარეობა გამოსწორების გზას დაადგა, თუმცა 1998 წლიდან ნელი პროგრესი კვლავ შეიცვალა დაღმასვლით: განახლდა სოცია-ლური პრობლემები, შეფერხდა ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელი რეფორმები. გაუარესებული ვითარებიდან გამოსვლის ძვრები 2004 წლიდან შეინიშნება, როდესაც აღმოიფხვრა საბიუჯეტო და ენერგეტიკული კრიზისი [**აბესაძე რ, 2009:19**], დაიწყო ბაზრის ლიბერალიზაცია გადასახადებისა და ნებართვების შემცირებით [**დადგენილება N400, 2014:7**], მაგრამ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა, მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე ისევ შეაფერხა ქვეყნის განვითარების კურსი (ომიდან 1 წლის შემდეგ დაფიქსირდა ქვეყნის მშპ-ის 3.65%-იანი რეალური კლება [23] და დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე - 20.71%[24]).

2009 წლიდან ქართული სოციალურ-ეკონომიკური სისტემა გადადის პოსტ-კრიზისული გაჯანსაღებისა და ზრდის ციკლში[25]. უკანასკნელ 20 წელთან შედარებით,

[23] https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG?end=2018&locations=GE&start=2001

[24] https://data.worldbank.org/indicator/SL.UEM.TOTL.ZS?locations=GE

[25] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2018, www.lmis.gov.ge

2009-2020 წლებში საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და უსაფრთხოების ხარისხი თვისებრივად ამაღლებულია. მსჯელობას ადასტურებს აღნიშნულ პერიოდში ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) ანალიზიც. 2013-2019 წლებში ქვეყანაში განხორციელდა 1 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი ღირებულების პირდაპირი უცხოური ინვესტიცია (2017 წელს მაქსიმალური - 1962.6 მლნ აშშ დოლარი ღირებულების პუი დაფიქსირდა [**geostat.ge**]), რაც მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და ეკონომიკური გახსნილობის გარეშე გამორიცხულია. გარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებისა, ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობისა და კეთილდღეობის დონის ხარისხზე არსებით წარმოდგენას იძლევა მოსახლეობის დასაქმების სტრუქტურა და დასაქმების დონე [**მ. ცარციძე, 2019:83**].

მეტად საინტერესოა, რომ ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 2009-2019 წლებში საქართველოში უმუშევრობის უფრო მაღალი დონე დაფიქსირდა, ვიდრე XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე, ეკონომიკური დაქვეითების პერიოდში. *„...ბოლო პერიოდში ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის შედარებით სტაბილურ ტემპებს, ბიზნესგარემოს რეფორმირებასა და ინვესტიციების მოცულობის გადიდებას, მოსახლეობის ცალკეული სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით დასაქმების დონესა და დინამიკაზე შესამჩნევი გავლენა არ მოუხდენია“* [**მ. ცარციძე, 2019:16**]. მდგრადი ეკონომიკის, ხელსაყრელი მაკროეკონომიკური გარემოსა და უკანასკნელ პერიოდში მზარდი ინვესტიციების ფონზე, საქართველოში სიღარიბისა და უმუშევრობის ბოლოდროინდელი მაჩვენებლები, ჩვენი აზრით, შეუფერებლად მაღალია **(იხ.დიაგრამა 2.1-1).** 2009-2019 წლებში საქართველოში მშპ-ის ყველაზე მცირე რეალური ზრდა 2009 წელს დაფიქსირდა - 3.7%-იანი კლება (რაც, როგორც აღინიშნა, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომმა და მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა გამოიწვია), მაქსიმალური კი 2011 წელს - 7.4%. 2017-2019 წლებში ეკონომიკური ზრდა სტაბილურია და 5%-ის ფარგლებში მერყეობს.

დიაგრამა 2.1-1

საქართველო, უმუშევრობის დონე, მშპ-ის რეალური ზრდა (%) და პუი-ის წილი მშპ-ში 2009-2019 წლებში [26]



წყარო: imf.org, data.worldbank.org

ამასთან, 2014-2017 წლებში პუი-ს წილი მშპ-ის 10%-ს აღემატებოდა. 2009 წლიდან უმუშევრობის დონე სტაბილურად მცირდება, თუმცა, შემცირების ტემპი არადამაკმაყოფილებელია. მაგალითად, 2009-2013 წლებში, ხუთწლიან პერიოდში უმუშევრობის დონე ქვეყანაში 19.4%-ზე მეტი იყო. მდგომარეობა საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ დაბალია ეკონომიკური ინკლუზიურობის ხარისხი და უკანასკნელი 10 წლის სტაბილური ეკონომიკური ზრდა განაპირობა პროდუქტიულობისა და კაპიტალის დონის ზრდამ [**დადგენილება N662, 2019:3**] და არა პროცესში მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ჩართულობამ. შესაბამისად, უმუშევრობა და სიღარიბე კვლავ მწვავე პრობლემაა და საქართველოში დასაქმება დამოუკიდებლობის აღდგენიდან 20-30 წლის შემდეგ ისევ რჩება მნიშვნელოვან გამოწვევად.

[26] გრაფიკი აგებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF), მსოფლიო ბანკის (World Bank) და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მონაცემთა ბაზებზე დაყრდნობით. https://www.imf.org/external/ datamapper/NGDP_RPCH@WEO/GEO?zoom=GEO&highlight=GEO, https://data.worldbank.org/indicator/SL.UEM.TOTL.ZS?locations=GE, https://data.worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.WD.GD.ZS?end=2018&locations=GE&start=2009

World Bank-ისა ILO-ს მონაცემებით საქართველოში 2009-2019 წლებში სამუშაო ძალის რიცხოვნობა ორ მილიონ ადამიანზე მეტია. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მაქსიმალური რაოდენობა 2015 წელს დაფიქსირდა - 2 090 740 ადამიანი. 2015 წლიდან შეიმჩნევა კლება. 2019 წელს 2015 წელთან შედარებით, სამუშაო ძალა შემცირდა 2.83%-ით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის შეფასებით, საქართველოში 2012-2019 წლებში აღირიცხებოდა 1 643 000-ზე მეტი დასაქმებული. უმუშევართა რაოდენობას კი 2012-2019 წლებში კლების ტენდენცია აქვს. ამავე პერიოდში, დასაქმებულთა მაქსიმალური რიცხვი 2015 წელს დაფიქსირდა - 1 733.8 ათასი, ხოლო უმუშევართა მაქსიმალური რაოდენობა 2012 წელს - 345.1 ათასი კაცი. უმუშევართა რიცხოვნობა 2019 წელს 2012 წელთან შედარებით შემცირდა 36%-ით **(იხ. დანართი N1)**.

უმნიშვნელოვანესი და მეტად საყურადღებოა უმუშევრობის სტრუქტურის ანალიზი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. აღნიშნული წარმოდგენილია **2.1-2** დიაგრამაზე, 2018 და 2019 წლის ოფიციალური მონაცემების საფუძველზე.

2018-2019 წლებში ყველაზე მწვავედ უმუშევრობის პრობლემას ახალგაზრდების მოწყვლადი სოციალური ჯგუფები განიცდიან: 2019 წელს გასულ წელთან შედარებით ქვეყნის 15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფის უმუშევრობის დონე გაიზარდა 3.1%-ით და 29.7% შეადგინა; 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში მართალია 0.3%-ით შემცირდა, თუმცა უმუშევრობის ნიშნული კვლავ საგანგაშოა - 30.5%. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წელს 2018 წელთან შედარებით 25 წლის ზემოთ თითქმის ყველა ასაკობრივ ჯგუფში შეიმჩნევა უმუშევრობის შემცირების ტენდენცია (გარდა 50-54 წლის ჯგუფისა, სადაც უმუშევრობის დონე 0.5%-ით გაიზარდა); განსაკუთრებით კი 30-34 წლის ასაკობრივ ჯგუფში, სადაც 2019 წელს 2%-იანი კლება დაფიქსირდა.

დიაგრამა 2.1-2

საქართველო, უმუშევრობის დონე ასაკის მიხედვით[27], 2018-2019 წლები, %

[27] გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები და ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ,,შრომის ბაზრის ანალიზი 2019“



წყარო: geostat.ge

2009-2018 წლებში საქართველოში სამუშაო ძალის აქტიურობის დონე (ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი შრომისუნარიან მოსახლეობაში) 61%-ზე მეტია **(იხ. დანართი N2)** მაქსიმალური მნიშვნელობა დაფიქსირდა 2015 წელს - 66.8%. დასაქმების დონე განხილულ პერიოდში 51%-ს აღემატებოდა (ამავე წლებში დასაქმების მაქსიმალური დონე კვლავ 2015 წელს იყო - 57.4%). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2018 წლის მონაცემებით, ეკონომიკურ აქტიურობაში გენდერული სხვაობა 18.3% დაფიქსირდა მამაკაცების სასარგებლოდ - ეკონომიკურად აქტიური იყო კაცების 73.6% და ქალების 55.3% [**დადგენილება N662, 2019:15**]. 2016-2018 წლებში, წინა წელთან შედარებით მცირდება როგორც აქტიურობის, ისე დასაქმების დონეები; მაგალითად 2018 წელს 2017 წელთან შედარებით დასაქმებისა და აქტიურობის დონეები შემცირდა შესაბამისად 0.9 და 1.9%-ით.

საქართველოს დასაქმების სტრუქტურაში ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა თვითდასაქმების მაღალი კოეფიციენტი. 1995 წლიდან დღემდე, დასაქმებულთა მთლიანი რიცხოვნობის 51%-ზე მეტი თვითდასაქმებულია (2004 წელს რეკორდული წილი დაფიქსირდა - 66.23% [**data.worldbank.org**]). თუმცა, 2009-2019 წლებში ფიქსირდება შემცირების ტენდენცია. *„...აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თვითდასაქმებულთა დიდი*

წილი სოფლის მეურნეობის სექტორზე მოდის , რომელიც დაბალი პროდუქტიულობით გამოირჩევა.“[28]

მოულოდნელი არ არის სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორში დასაქმების ბოლო წლებში არსებული დინამიკა, რადგან კვლავ გრძელდება დამკვიდრებული ტენდენცია. საკუთრების ფორმების მიხედვით 2009-2019 წლებში საქართველოში დასაქმებულები ძირითადად კერძო სექტორში არიან განაწილებულნი. 2019 წელს დაფიქსირებული 1690.2 ათასი დასაქმებულიდან 82.27% არასახელმწიფო სექტორშია.

საქართველოში სექტორების მიხედვით დასაქმების სტრუქტურა არაერთგვროვანია და დასაქმებულთა კონცენტრაცია სექტორთა შორის არათანაბარია **(იხ. დანართი N3)**. უკანასკნელ წლებში დასაქმების მხრივ წამყვანი პოზიცია უჭირავს სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობას. 2017, 2018 და 2019 წლებში სოფლის მეურნეობაში მუშაობს დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის შესაბამისად 43.12% (735.9 ათასი ადამიანი), 38.9% (659 ათასი ადამიანი) და 38.13% (644.6 ათასი ადამიანი). 2019 წელს 2017 წელთან შედარებით სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა 91.3 კაცით შემცირდა, თუმცა, აღნიშნულს გარდამტეხი ცვლილება დასაქმების სტრუქტურაში არ შეუტანია. 2019 წელს, მთლიან დასაქმებაში სოფლის მეურნეობის შემდეგ მაღალი მაჩვენებელია აგრეთვე განათლების (9.1%), მრეწველობის (8.2%), მშენებლობის (6%), საბითუმო და საცალო ვაჭრობის (11.7%) სფეროებში (ამ უკანასკნელში, 2019 წელს 2017 წელთან შედარებით დასაქმებულთა რაოდენობა 14.8%-ით გაიზარდა).

2.2 დასაქმების თავისებურებები, პრობლემები და მისი გამომწვევი ძირითადი მიზეზები საქართველოში

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმებისა და შრომითი სფეროს ორგანიზაციის ხარისხზე ზოგად წარმოდგენას გვიქმნის ქვეყნის სოციალურ-შრომითი ურთიერთობების სფერო - შრომის ბაზარი [**მ. ტუხაშვილი.., 2012**]. შესაბამისად, საქართველოში დასაქმების ხელისშემშლელი ასპექტების ძიება, ცხადია,

[28] შრომის ბაზრის ანალიზი 2019, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, გვ.12, www.lmis.gov.ge

ქართული შრომის ბაზრის ანალიზით უნდა დავიწყოთ, რომლის ფორმირებაც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მიმდინარეობს.

შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის კვლავწარმოების, გაცვლისა და გამოყენების პროცესი ზედამოკიდებულია რეგიონის სტაბილურ პოლიტიკურ და მაკროეკონომიკურ გარემოზე. მე-20 საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში საქართველოში შექმნილი მდგომარეობა კი ზემოხსენებულ წინაპირობებთან კონტრასტულია - ჯანსაღი საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების მცდელობა მძიმე კრიმინოგენული ვითარების, შიდა კონფლიქტების, სეპარატიზმისა და სოციალური კრიზისის პროცესში დაიწყო. ყოფილი საბჭოთა კავშირის არც ერთ ქვეყანას არ განუხორციელებია პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია მსგავსი არაორდინარული მოვლენებისა და მატერიალური ზარალის (1 მლრდ ლარზე მეტი) ფონზე [**რ. ასათიანი, 2009:33**]. საომარი მოქმედებებითა და არეულობებით გამოწვეული უბედურება დააგვირგვინა პარალიზებულმა ეკონომიკამ - ტექნოლოგიურად განუვითარებელმა საწარმოებმა, წარმოების ტემპების უკიდურესად შემცირებამ, გასაღების ბაზრებისა და სტრატეგიული პარტნიორების არარსებობამ, სასაქონლო დეფიციტმა, გამოუცდელობითა და ცოდნის არასაკმარისი მარაგით შეშინებული მეწარმეების ემიგრაციამ [**რ. ასათიანი, 2009**]. საუბედუროდ, საფუძვლიანად ჩამოიშალა ქვეყნის ეკონომიკის იმდროინდელი წამყვანი დარგები - მრეწველობა და მსუბუქი მრეწველობა (დასაქმებულთა დიდი წილით მრეწველობის სფერო არც უახლოეს პერიოდში გამოირჩევა. მაგალითად, საქართველოში 2019 წელს დასაქმებული ადამიანებს მხოლოდ 8.2% მუშაობს სამრეწველო დარგში [**geostat.ge**]), სოფლის მეურნეობა. *„..თითქმის მთლიანად განადგურდა მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების ისეთი დარგები, როგორიცაა: საკუთრივ მანქანათმშენებლობა, ელექტროტექნიკური მრეწველობა, ჩარხთმშენებელი და ინსტრუმენტალური მრეწველობა, ხელსაწყოთმშენებლობა, საავტომობილო მრეწველობა, სასოფლო-სამეურნეო, მათ შორის სატრაქტორო მანქანათმშენებლობა და სხვ.“* [**ნ. პაიჭაძე, 2016:21**]. მიუხედავად ამისა, იმხანად ხელისუფლების მხრიდან არ გატარებულა ციკლური უმუშევრობის შემცირებისა და შრომის ბაზრის სტიმულირების არც ერთი ქმედითი ღონისძიება. სამუშაო ადგილები კი არ იქმნებოდა, საპირისპიროდ, - ეკონომიკის ჩამოშლისა და სტიქიური შრომის ბაზრის პირობებში კატასტროფულად შემცირდა.

რეალურად, საქართველოში პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის საწყის პერიოდში საზოგადოების სოციალურ-შრომითი სფერო არა უბრალოდ ,,მოსაწესრიგებელი", არამედ ,,ჩამოსაყალიბებელი" გახლდათ. მდგომარეობა დამატებით დაამძიმა გაუარესებულმა დემოგრაფიულმა პროცესებმა (1989-2000 წლებში საქართველოს მოსახლეობა 1 მილიონი ადამიანით შემცირდა[29]).

შრომის ბაზრის განუვითარებელმა ინფრასტრუქტურამ და უპერსპექტივო, დეფორმირებულმა სამუშაო ძალამ ვერ შექმნა ნოყიერი ნიადაგი გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისათვის. შრომის ბაზარი ძირშივე არაპროგრესულად განვითარდა და, ბუნებრივია, მის თანამედროვე, დასავლურ სტანდარტამდე დღესაც წლები გვაშორებს. ბიკვადრატული განტოლების ამოხსნა შეუძლებელია, როცა ერთუცნობიანი განტოლების გადაჭრის გზაც ბუნდოვანია. ვეთანხმებით აღნიშნულ პრობლემაზე მომუშავე პროფესორების - რამაზ აბესაძისა [2009:11] და როზეტა ასათიანის [2009:21] შრომებში გამოთქმულ მოსაზრებებს და ვთვლით, რომ დღევანდელი მწვავე უმუშევრობის პრობლემა ახალი წარმოქმნილი არ არის. ის შიდასისტემურია და, უპირველეს ყოვლისა, 90-იანი წლების ქრონიკული უმუშევრობისა და ეკონომიკური კოლაფსის შედეგია.

საინტერესოა, რომ ოფიციალურად საქართველოში უმუშევრობის დონე ბოლო წლებში უფრო მაღალია, ვიდრე ეკონომიკური დაქვეითებისა და სტაგნაციის ზემოხსენებულ პერიოდში იყო. ILO-ს შეფასებით[30], 1990-1995 წლებში უმუშევრობის დონის მაქსიმალური ნიშნული 8.4% დაფიქსირდა. 2009-2020 წლებში კი 14-დან 20%-მდე მერყეობს. ჯერ ერთი, თუ დღესდღეობით უმუშევრობის პრობლემა უფრო მწვავეა, ვიდრე 25-30 წლის წინათ პარალიზებული ეკონომიკის პირობებში იყო, ეს ამყარებს ჩვენ მიერ წინა აბზაცში გაშლილ მსჯელობას და ცალსახად მიუთითებს ქვეყანაში ეკონომიკის, სოციალური და შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარების ჯერ კიდევ დაბალ დონეზე. მეორე მხრივ, შეიძლება აღინიშნოს, რომ ოფიციალური ციფრების პრიზმიდან შრომის ბაზრის მდგომარეობის ამსახველი სურათი შელამაზებულია. *,,...უმუშევრობით გამოწვეული ეკონომიკური და სოციალური*

[29] (GeoStat, 2013a: 18) The State of Migration in Georgia, Report developed in the framework of the EU-funded Enhancing Georgia's Migration Management (ENIGMMA) project

[30] https://data.worldbank.org/indicator/SL.UEM.TOTL.ZS?locations=GE

პრობლემები საქართვე-ლოს მოსახლეობისათვის ბევრად უფრო მტკივნეულია, ვიდრე ოფიციალური სტატის-ტიკური მონაცემებიდან ჩანს...“ [**მ. ტუხაშვილი.., 2012:8**]. მაგალითად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის შემოთავაზებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2018-2019 წლებში საქართველოში უმუშევრობის დონე შესაბამისად 12.7 და 11.6% დაფიქსირდა (არსებული შელამაზებული ციფრების ფარგლებშიც კი სიტუაცია კრიტი-კას იმსახურებს), ხოლო ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული მაჩვენებელი საქართველოში რეალურად 32-36%-მდეა [**M. Tsartsidze, 2018:90**], რაც ცხადია საგანგაშო ნიშნულია.

უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ქვეყნის მშპ-ის რეალური ზრდა 4-5%-ის ფარგლებში მერყეობდა. ეკონომიკური ზრდის ტემპი სტაბილურია, თუმცა ეკონომი-კური განვითარების დონე არასაკმარისია. საქართველოში მშრომელთა არასათანადო კვალიფიკაციის გამო მცირდება მოთხოვნა სამუშაო ძალაზე, რაც ერთი მხრივ აუარესებს შრომის ბაზრის კონიუნქტურას, მეორე მხრივ მივყავართ მოთხოვნა-მიწოდებას შორის სტრუქტურულ დისბალანსთან (ამას ადასტურებს 2015 წელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მსოფლიო ბანკის განხორციელებული ქართული შრომის ბაზრის კვლევაც. ანალიზმა გვიჩვენა, რომ მთავარი პრობლემა შრომაზე მოთხოვნა-მიწოდებაში სტრუქტურული სხვაობაა [**დადგენილება N167, 2016:3**]). ადამიანისეული კაპიტალის განვითარების ხარისხი ვერ აკმაყოფილებს შრომის ბაზრის თანამედროვე საჭიროებებს. სამუშაო ძალაზე შემცირებული მოთხოვნა მოკლევადიან პერიოდში ზღუდავს დასაქმების შესაძლებლობებს, მცირდება დასაქმების პერსპექტივა. ქრონიკული უმუშევრობა, უძრაობა კიდევ უფრო აშორებს იმედგაცრუებული ადამიანების კომპეტენციას ბაზრის თანამედროვე სტანდარტებისგან. გრძელვადიან პერიოდში კი მუშახელის გამოუყენებელი პოტენციალი კრიტიკულად აფერხებს ეკონომიკურ განვითარებას, იზრდება მშპ-ის პოტენციური დონიდან ჩამორჩენა. საქართველოში დასაქმების ხელისშემშლელი ბარიერები ცოდნის მიღებისა და ადამიანისეული კაპიტალის ინტელექტუალური განვითარების პროცესშიც - განათლებაშიც უნდა ვეძებოთ.

დასაქმების პრობლემების მასშტაბურობა გარკვეულწილად უკანასკნელ პერიოდში ქართულ საზოგადოებაში აღმოცენებულმა შეხედულებებმაც განაპირობა. ამ

შემთხვევაში საუბარი გვაქვს გარკვეულ სტერეოტიპზე უმაღლესი განათლების პროფესიულთან შედარებით უპირატესობის შესახებ. პროფესიული და აკადემიური განათლება არ აღიქმება, როგორც კარიერული განვითარების ორი თანასწორი მიმართულება. ახალგაზრდები უპირატესობას ანიჭებენ უმაღლეს განათლებას, თუმცა, სწავლის დასრულების შემდეგ მათი პროფესია შრომის ბაზარზე არ არის მოთხოვნადი, ან საკუთარი კვალიფიკაციით სრულყოფილად ვერ აკმაყოფილებენ დამსაქმებელთა საჭიროებებს[31]. ოფიციალური მონაცემების თანახმად, პრობლემა ყველაზე ნეგატიურად თავს სწორედ 15-19 და 20-24 წლის მოწყვლად სოციალურ ჯგუფებში იჩენს (აღნიშნულ კატეგორიაში უმუშევრობის დონე 25-დან 30%-მდეა) [**geostat.ge**]. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების - მირიან ტუხაშვილისა და იური ანანიაშვილის მიერ უმუშევრობისა და მიგრაციის პრობლემებზე ჩატარებული კვლევის 2012 წლის ანგარიშის თანახმად, *,,უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა მასობრივი უმუშევრობა საქართველოს შრომის ბაზარზე კანონზომიერებად გადაიქცა.“* [**მ. ტუხაშვილი.., 2012: 38**]. ამავე კვლევის ფარგლებში გამოკითხულ უმუშევართა 54.5%-ს უმაღლესი განათლება აქვს. ფაქტია, დამკვიდრებული კანონზომიერება გრძელდება: *,,2017 წლის მონაცემებით, უმაღლესი განათლების მქონე პირების 15.5% უმუშევარია[32], ან არასათანადოდ არის დასაქმებული. პროფესიული განათლების 2017 წლის კურსდამთავრებულთა 60% დასაქმებულია.“* [**დადგენილება N662, 2019:13**]. განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის შეფასებით კი საქართველოში უმაღლესი განათლების მქონე პირებს შორის საკუთარი პროფესიით დასაქმებულთა წილი მხოლოდ 24%-ია [**M.Tsartsidze, 2018:89**]. პროფესიული განათლების არაპოპულარობამ და არამდგრადმა უმაღლესი განათლების სისტემამ ქართულ საზოგადოებაში ჩამოაყალიბა ე.წ. ,,დიპლომიანი უმუშევრების“ კატეგორია. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ პერიოდში არაერთი რეფორმა განხორციელდა, როგორც ჩანს, აღნიშნული არ არის საკმარისი და აკადემიური

[31]საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2019, www.lmis.gov.ge

[32] ETF გამოთვლა საქსტატის მონაცემების საფუძველზე, www.etf.europa.eu/en/publications-and-resources/publications/youth-transition-work-georgia, 2017

განათლების მექანიზმი თანამედროვე შრომის ბაზრის შესაბამისი უნარების ჩამოყალიბებაში ნაკლებად ეფექტიანია [**გ. მაჩაბელი, 2019**].

არასრულყოფილი განათლებითა და კვალიფიკაციის შეუსაბამობით გამოწვეული უმუშევრობა პრობლემის ერთი უკიდურესობაა. საქართველოს მოსახლეობაში მოიძებნებიან ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც არ აქვთ კონკრეტული პროფილის პროფესია, გამოირჩევიან სამუშაო მზაობის ნაკლებობითა და არა თუ ეკონომიკურად მიზანშეწონილ, არამედ ვერანაირ სამსახურს ვერ პოულობენ. მსგავსი ტენდენციის ჩამოყალიბების მიზეზი დამატებით შესაძლებელია იყოს მთავრობის მხრიდან არასაკმარისად სტიმულირებული შრომის ბაზარი, რადგან ხელისუფლების არადამაკმაყოფილებელი დაინტერესება ზრდის დამსაქმებელთა მხრიდან მოწყვლადი სოციალური ჯგუფებისადმი უყურადღებობას. შესაბამისად, დასაქმების შესაძლებლობები აღარ ფართოვდება. აგრეთვე, საინფორმაციო სისტემის განუვითარებლობის გამო მოსახლეობის გარკვეულ ფენას მწირი ინფორმაცია აქვს გამოცხადებულ ვაკანსიებზე. მათთვის უცნობია შრომის ბაზრის სერვისები, რაც, ცხადია, ხელს უწყობს ფრიქციული უმუშევრობის ზრდას [**ნ. პაიჭაძე, 2016:22**]. უკანასკნელ წლებში საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიიდან დევნილთა, შრომისა, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ცდილობს განავითაროს ელექტრონული სივრცე worknet.gov.ge და დაეხმაროს დასაქმების მსურველებს მათთვის საინტერესო სფეროს მოძიებაში. მსგავსი პლატფორმის არსებობა მისასალმებელია, თუმცა რეალობის გათვალისწინებით, აღნიშნული სრულიად არასაკმარისია.

პრობლემები იკვეთება ანაზღაურებისა და შრომის პირობების ორგანიზების მხრივ. შეიმჩნევა ხელფასებს შორის მკვეთრი დისბალანსი საქმიანობის სახეების, რეგიონებისა და სქესის მიხედვით. თავს იჩენს არაეფექტიანი დასაქმების, ე.წ. ,,ღარიბი დასაქმებულების“ პრობლემა.

ოფიციალური მონაცემების მიხედვით, აშკარაა, რომ რეგიონებში მკვეთრია განსხვავება შრომის ნაყოფიერებაში და სამუშაო ძალის ფასი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში განსხვავებულია. მაგალითად, 2018 წელს იმერეთში დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი, ქვეყანაში საშუალო წლიური ხელფასის (1068.3 ლარის)

64.66%-ს შეადგენდა; გურიაში 56.21%-ს, კახეთში 58.73%-ს, სამცხე-ჯავახეთში 59.96%-ს, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ყველაზე ნაკლებს - 46.33%-ს [**geostat.ge**]. *,,დამატებით, რეგიონების მიხედვით დიდია სხვაობა მშპ-ისა და ჰუი-ის განაწილების მხრივ"*[33]. მსგავსი არათანაბარი დიფერენცირება ცხადია აფერხებს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ამცირებს დასაქმების შესაძლებლობებს და მიუთითებს ეკონომიკის დაბალანსების აუცილებლობაზე.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში გამოქვეყნებულ თითოეულ სამთავრობო პროგრამასა თუ განვითარების სტრატეგიაში შავით თეთრზე წერია და ხაზგასმულია, რომ სწრაფი ეკონომიკური ზრდა ზედამოკიდებულია ადამიანისეული კაპიტალის ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარების პროცესზე - განათლებაზე. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, 2018 წელს საქმიანობის სახეების მიხედვით ყველაზე დაბალი საშუალო თვიური ანაზღაურება სწორედ განათლების სფეროში დაფიქსირდა (596.4 ლარი). განათლების დაფინანსების დაბალი დონე ამცირებს მასწავლებლების მოტივაციას, რაც თავის მხრივ ნეგატიურად აისახება შრომითი ურთიერთობების რეპროდუქციის სამომავლო პროცესზე. განათლების შემდეგ ყველაზე მცირე ხელფასებია სოფლის მეურნეობის სექტორში - საშუალოდ 701,0 ლარი [**geostat.ge**].

გასაკვირი არ არის, რომ ანაზღაურებაში უთანასწორობა გენდერულ მაჩვენებლებშიც შეიმჩნევა. გენდერული სახელფასო სხვაობა 2018 წელს საკმაოდ მაღალი - 35.77% დაფიქსირდა, მამაკაცების სასარგებლოდ. *,,ქალები კონცენტრირებულნი არიან შედარებით დაბალშემოსავლიან სექტორებში და, ამასთან, ადგილი აქვს ვერტიკალურ სეგრეგაციას."* [**დადგენილება N662, 2019:16**]. საქართველოში დასაქმებული ქალების მიერ აუნაზღაურებელ შრომაზე (საოჯახო საქმიანობაში) დახარჯული დრო კვირაში 42 საათია, უმუშევარი ქალების - 47 საათი[34]. საბოლოოდ, ორივე მხარე ზარალდება: ქალები რომლებიც წლების განმავლობაში ეწევიან აუნაზღაურებელ შრომას, თუმცა არ მუშაობენ, იდევნებიან შრომის ბაზრიდან. ფაქტობრივად, რეპროდუქციულ ასაკში ისინი არ მონაწილეობენ ქვეყნის ეკონომიკური

[33] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2019, გვ. 9, lmis.gov.ge

[34]გაეროს ქალთა ორგანიზაცია (2018). ქალთა ეკონომიკური არააქტიურობა და არაფორმალურ სექტორში ჩართულობა საქართველოში. https://georgia.unwomen.org/en/digital-library/publications/2018/12/womens-economic-inactivity-and-engagement-in-the-informal-sector-in-georgia;

განვითარების პროცესში; ხოლო ეკონომიკურად აქტიური ქალების იმ კატეგორიას, რომლებიც კიდეც მუშაობენ და აუნაზღაურებელ შრომასაც ეწევიან, ხისტი რეჟიმისა და დროის სიმცირის გამო არ აქვს კომპეტენციის ამაღლების საშუალება. ფაქტობრივად, ქალებისათვის დასაქმება, კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებში მონაწილეობა და პარალელურად შინ აუნაზღაურებელი შრომის გაწევა, საქართველოში ,,შეუძლებელი ტრილემაა". ჯერჯერობით არ არსებობს ქმედითი მექანიზმი, რაც ზემოაღნიშნულს დაასტაბილურებს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ყოველთვიური საშუალო ნომინალური ხელფასის ზრდად და იმედისმომცემ ტენდენციას გვთავაზობს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოსახლეობის 20% აბსოლუტურ სიღარიბეში ცხოვრობს. კვლავ არსებობენ ,,ღარიბი დასაქმებულებები". მათ მაგალითზე ყველაზე ნათლად ჩანს შრომის ანაზღაურების დიფერენციაციაში არსებული პრობლემები. რიგ შემთხვევაში ადამიანები მუშაობენ შრომის კოდექსით დადგენილ დროზე მეტს და ერიცხებათ საარსებო მინიმუმზე დაბალი ხელფასი. გაუარესებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, სტაბილური დასაქმების არარსებობა და მიზერული ანაზღაურება ოჯახის წევრებს უბიძგებს ზეგანაკვეთურად მუშაობისაკენ, მეორადი დასაქმებისაკენ ან თვითდასაქმებისაკენ.

საქართველოს დასაქმების სტრუქტურაში თვითდასაქმებულთა მაღალი წილი წლების განმავლობაში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. World Bank-ისა და ILO-ს მონაცემთა ბაზის მიხედვით[35], 1991 წლიდან 2019 წლის ჩათვლით საქართველოში დასაქმებულთა 51%-ზე მეტს თვითდასაქმებულები შეადგენდნენ. სიტუაციას მეტად აუარესებს თვითდასაქმებულთა სექტორული გადანაწილება - მათი უმეტესობა თავმოყრილია სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის დარგში. როგორც აღვნიშნეთ, 2018-2019 წლებში სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო შესაბამისად 656.0 და 644.6 ათასი ადამიანი [**geostat.ge**]. მათგან 80%-ზე მეტი თვითდასაქმებულია. მიუხედავად ბოლო პერიოდში სოფლის მეურნეობის სფეროში ჩადებული სერიოზული რაოდენობის ფინანსური რესურსისა, წინასწარი მონაცემების მიხედვით, 2019 წელს საქართველოში

[35] https://data.worldbank.org/indicator/SL.EMP.SELF.ZS?end=2019&locations=GE&start=1991.

მთლიანი გამოშვების სტრუქტურაში აღნიშნული დარგის წილი მიზერულია - 6.3%[36]. როდესაც ქვეყანაში 30 წელია დასაქმებულთა შორის თვითდასაქმებულთა წილი ჭარბობს, ამასთან ერთად, თვითდასაქმებულებშიც კი უმეტესობა სოფლის მეურნეობაში საქმიანობს (სფეროში, რომელზეც ბოლო წლებში ქვეყნის მთლიანი გამოშვების 10%-იც კი არ მოდის), ეს ეკონომიკის განვითარების დაბალ დონეზე მიუთითებს. ფაქტია, დარგში სერიოზული ეკონომიკური ვარდნა დაფიქსირდა. ზემოაღწერილი მდგომარეობა არა ეკონომიკურ ზრდას, არამედ დიდი ხნის მანძილზე სიღარიბეში ცხოვრებას მოასწავებს. მიგვაჩნია, რომ თვითდასაქმების დიდი მასშტაბი დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობების შედეგია და ქვეყანაში ვერ ჩაითვლება პრიორიტეტულად ისეთი მიმართულება, რომელიც სხვა ალტერნატივების არარსებობის გამო ადამიანებს აიძულებს სოფლის მეურნეობაში (დარგში, რომელზეც ქვეყნის მშპ-ის 8%-იც კი არ მოდის) არა ხელფასისათვის, არამედ მიზერული ანაზღაურებისათვის ოჯახების დამხმარედ იმუშავონ. დამატებით, ეს გარკვეულწილად ხელს გვიშლის ობიექტურად შევაფასოთ სახელმწიფოში უმუშევრობის, დასაქმებისა და სიღარიბის დონე იმ მეთოდოლოგიით, რომელსაც დღესდღეობით საქართველოში იყენებენ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური სამუშაო ძალის, დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლების კვლევისას ეყრდნობა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) შემოთავაზებულ მეთოდოლოგიას. საქართველოში დასაქმებულად (დაქირავებული ან თვითდასაქმებული) ითვლება *„15 წლისა და მეტი ასაკის პირი, რომელიც გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში მინიმუმ 1 საათით მუშაობდა ნებისმიერი სახის შემოსავლის მიღების მიზნით (ხელფასი, ნატურალური შემოსავალი, მოგების და ა.შ.), ეხმარებოდა შინამეურნეობის სხვა წევრებს უსასყიდლოდ, ან ფორმალურად მომუშავედ ირიცხებოდა, მაგრამ არ მუშაობდა.“*[37] ფაქტობრივად, შსო-ს შეფასებით, დასაქმებულად ითვლება თითოეული პირი, რომელსაც შესაძლებელია არ ჰქონდეს გაფორმებული ოფიციალური ხელშეკრულება, მაგრამ ორიენტირებული იყოს ნებისმიერი სახის შემოსავლის

[36] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp

[37] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სამუშაო ძალის გამოკვლევა. ხელმისაწვდომია: https://www.geostat.ge/media/20612/samushao-dzalis-gamokvleva-%28geo%29.pdf

მიღებაზე. მაგალითად, თუ მან თვეში 5 საათი 25 ლარად იმუშავა და მიიღო 125 ლარის შემოსავალი, დასაქმებულია. საქართველოში დასაქმებულთა 51% თვითდასაქმებულია და მათგან აბსოლუტური უმრავლესობა სოფელში მუშაობს, სადაც 2018 წელს საქმიანობის სხვა სახეებთან შედარებით ერთ-ერთი ყველაზე დაბალი იყო შრომის ანაზღაურება. საარსებო მინიმუმი საქართველოში 2017 წლიდან დღემდე თვეში 166.3 ლარიდან 200 ლარამდე მერყეობს [geostat.ge]. როდესაც ქვეყანაში მოსახლეობის 20% აბსოლუტურ სიღარიბეში ცხოვრობს და ოფიციალური აღრიცხვის სისტემა ადამიანების მრავალრიცხოვან სოციალურ ჯგუფს, რომელთა თვიური შემოსავალი საარსებო მინიმუმზე ნაკლებია, დასაქმებულად მიიჩნევს, ჩვენი აზრით, მიუთითებს გაანგარიშების მეთოდოლოგიურ ხარვეზზე.

დამატებით, ანგარიშგასაწევია, შემდეგი მიდგომის ანალიზი: საქართველოში უმუშევრობის დონე გამოითვლება უმუშევართა რაოდენობის შეფარდებით ქვეყნის ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობის რიცხოვნობასთან, გამოსახული პროცენტებში; დასაქმების დონე - დასაქმებულთა რაოდენობის შეფარდებით 15 წლისა და მეტი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობასთან, ასევე გამოსახული პროცენტებში. შსო-ის მეთოდოლოგიით, უმუშევრად პირი მხოლოდ და მხოლოდ მაშინ ჩაითვლება, თუ ის აქტიურად ეძებდა სამსახურს გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში. საქართველოში კი ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის უმეტესი ნაწილი იმედდაკარგული მუშახელია - მათ სამუშაოს ძებნაზე ხელი ჩაიქნიეს; ოფიციალურად ითვლებიან როგორც არააქტიურნი, თუმცა, რეალურად უმუშევრები არიან. როდესაც იზრდება იმედდაკარგული პოტენციური დასაქმებულების რაოდენობა და კადრები ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის კატეგორიიდან გადიან, უმუშევრობის დონის გამომსახველი რიცხვი მცირდება. თანაც, აპრობირებული გამოთვლით შესაძლებელია დასაქმების დონე გაიზარდოს, მაგრამ უმუშევრობის დონე ქვეყანაში არ შემცირდეს და საპირისპიროდ. ეს უახლოეს პერიოდში საქართველოს მაგალითზეც დადასტურდა: 2012 წელს დასაქმებისა[38] და უმუშევრობის[39] დონეები ორივე გაიზარდა, შესაბამისად 1.1

[38] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის პუბლიკაცია ,,დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში 2018 წელი", 2019, https://www.geostat.ge/media/23681/dasaqmeba-da-umushevroba-cliuri-2018-%28geo%29.pdf

[39] https://data.worldbank.org/indicator/SL.UEM.TOTL.NE.ZS?end=2018&locations=GE&start=2009

და 0.021%-ით; ასევე, 2018 წელს 2015 წელთან შედარებით დასაქმებისა და უმუშევრობის დონეები ორივე შემცირდა, შესაბამისად 1.6 და 3.839%-ით. ჩვენი აზრით, მართებულია პროფესორების - ნუგზარ პაიჭაძისა [**2016:10**] და მირიან ტუღუშის [**2013:33**] მსჯელობა და მიგვაჩნია, რომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შემოთავაზებულ მეთოდო-ლოგიას გააჩნია გაანგარიშების თავისებურებები: თვითდასაქმებულთა დამსახურებით დასაქმების დონე ხელოვნურად იმატებს, იმედდაკარგული მუშახელის უგულებელყო-ფით კი უმუშევრობის დონე ხელოვნურად იკლებს. ეს ხელს გვიშლის დასაქმების პრობლემის ობიექტურად შეფასებაში და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებაში.

შრომის ბაზრის კონიუნქტურის ხშირი ცვლილების მიზეზები არა მხოლოდ არაკომპეტენტური სამუშაო ძალის მიწოდებაში, არამედ დამსაქმებლებშიც უნდა ვეძებოთ. სტრუქტურული უმუშევრობის ერთ-ერთ მიზეზად შესაძლებელია კომპანიების მხრიდან წლების განმავლობაში შრომის ბაზრის შესწავლისადმი ინტერესის ნაკლებობაც დავასახელოთ. ამასთან, სერიოზული ფინანსური დანახარჯების გამო, ზოგიერთი საწარმო უარს ამბობს ტექნოლოგიის მოდერნიზებაზე, სამუშაო პირობების ტექნიკურ სრულყოფაზე, საფრთხეების მინიმიზაციისა და რისკების შეფასების ღონისძიებებზე. *,,საწარმოებში არსებული დაბალი ორგანიზაციული კულტურა“* [**ტუხაშვილი.., 2012:77**], არასრულყოფილი მენეჯმენტი, *,,შრომის უსაფრთხოების საკითხში სწავლებისა და ინსტრუქტაჟის ჩაუტარებლობა“*[40], შრომის პირობებისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაუცველობა ადექვატურად აისახა სამუშაო ადგილზე დაშავებულთა და დაღუპულთა რაოდენობაზე **(იხ. დანართი N4).**

თავი - III. დასაქმების სფეროში არსებული პრობლემების დაძლევის ძირითადი მიმართულებები საქართველოში

[40] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის 2015-2017 წლების საქმიანობის შემაჯამებელი დოკუმენტი, https://www.moh.gov.ge/uploads/files/2019/Failebi/27.06.2019-11.pdf

3.1. შრომისა და დასაქმების თანამედროვე პოლიტიკა საქართველოში

დღესდღეობით მსოფლიოში ბევრია ისეთი ქვეყანა, რომელიც ერთი შეხედვით ,,დიდი“ და ძლიერია წარუმატებლობისათვის, თუმცა, უფრო მეტია იმ ქვეყანათა რიცხვი, რომლებიც საკმაოდ ,,პატარაა“ და ჯერ კიდევ შორსაა წარმატებისაგან. საქართველო, როგორც მცირე ღია ეკონომიკის ქვეყანა, ვალდებულია აქტიურად ჩაერთოს რეგიონსა და გლობალურ ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენებში, დასძლიოს გლობალიზაციის შედეგად წამოჭრილი ამოცანები, რათა საკუთარი ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიო ეკონომიკაში. ამ ყველაფრის ქვაკუთხედი, უპირველეს ყოვლისა, ევროკავშირში ინტეგრაციაა. ქვეყნის უმთავრესი მიზანია, გახდეს ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი. აქედან გამომდინარე, მთავრობა ცდილობს ეფექტიანად შეასრულოს „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“, გადადგას თანმიმდევრული ნაბიჯები, შექმნას ძლიერი დემოკრატია, ჩამოაყალიბოს ეკონომიკური და სოციალური განვითარებისაკენ მიმართული სახელმწიფო ინსტიტუტები.

ბოლო წლებში რეგიონში მომხდარი შოკების მიუხედავად, ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ფაქტია, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპი სტაბილურია. უკანასკნელი ათწლეულის მიმოხილვიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკონომიკური პოლიტიკა და მაკროეკონომიკური სტაბილურობისაკენ გადადგმული ნაბიჯები მეტ-ნაკლებად ეფექტიანი აღმოჩნდა, რადგან ეკონომიკამ შეინარჩუნა მდგრადობა. ვითარება გაუმჯობესდა, თუმცა, საზოგადოებამ ვერ მიიღო სასურველი შედეგები და ოფიციალურ დოკუმენტებში გაცხადებული მიზნები სრულყოფილად არ შესრულდა (განსაკუთრებით სიღარიბის შემცირებისა და ეფექტიანი დასაქმების ზრდის მიმართულებით). აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აგრძელებს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისათვის მყარი საფუძვლის შექმნას. საორიენტაციოდ საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა რამდენიმე დადგენილება: 2014 წლის 17 ივნისის N400 დადგენილება ,,საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ,,საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“; 2016 წლის 4 აპრილის დადგენილება N167 ,,შრომის ბაზრის

აქტიური პოლიტიკის სტრატეგიისა და მისი განხორციელების 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“; 2019 წლის 30 დეკემბრის N662 დადგენილება ,,საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე“.

სტრატეგიებში გაანალიზებულია უკანასკნელ წლებში საქართველოში შრომაზე მოთხოვნისა და შრომის მიწოდების არსებული დისბალანსის მიზეზები და წარმოდგენილია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელისშემშლელ ასპექტებთან ბრძოლის მიმართულებები. სტრატეგიათა საერთო ხედვაა დასაქმების არსებული სისტემის სრულყოფა, შრომის ბაზრის სტრუქტურული და ინსტიტუციური განვითარება. გამოყოფილია მთავარი პრობლემები, რომელთა გადაჭრა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სოციალური თანასწორობისა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, მდგრადი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. შემუშავებულია შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი სამუშაო ძალის განვითარე-ბისათვის აუცილებელი მიმართულებები, რეკომენდაციები. დასაბუთებულია, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი დასაქმების აქტიური პოლიტიკის გატარება, ყურადღება გამახვილებულია ეფექტიან დასაქმებაზე.

სახელმწიფოს სურს დასაქმების პროცესში მეტი ბენეფიციარის ჩართვა. სტრატეგიათა ძირითადი სამიზნე ჯგუფებია: უმუშევარი მოსახლეობა, ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა, ქალები, სხვადასხვა სოციალური მოწყვლადი ჯგუფი: ახალგაზრდები, დაბალკვალიფიციური კადრები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები, ღარიბი მოსახლეობა, ემიგრანტები და ქვეყანაში დაბრუნებული მიგრანტები. ხაზგასმულია, რომ მთავრობა უღარიბეს ფენას ხელს შეუწყობს შრომის რეაქტივაციაში, შრომის ბაზარზე მონაწილეობაში. გათვალისწინებულია ეკონომიკური შესაძლებლობების ინკლუზიური ხელმისაწვდომობა, რადგან სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა უმთავრესად ორიენტირებულია ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზე.

მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის საბოლოო შედეგი უმუშევრობის შემცირებაზე გადის, ხოლო სამუშაო ადგილების შექმნისათვის ყველაზე ეფექტიანი მექანიზმი კერძო სექტორია. სახელმწიფოს ძირითადი ხედვა კერძო სექტორის დაბალ

გადასახადებზე ორიენტირებული ფისკალური და ადექვატური მონეტარული პოლიტიკით გაძლიერებაში მდგომარეობს. შიდა და გარე ბაზრებზე მაღალი კონკურენტუნარიანობა სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველმყოფელია.

2014 წლიდან საქართველოს მთავრობის ინიციატივით ხორციელდება სახელმწიფო პროგრამა ,,აწარმოე საქართველოში". პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიზანია თითოეული მეწარმის მხარდაჭერა, არსებული საწარმოების გაფართოება და ახალი საწარმოების შექმნა. პროცესს მივყავართ დიდ მექანიზმთან, სადაც თითოეულ მეწარმეს ასობით ადამიანის დასაქმება შეუძლია, რაც ხელს უწყობს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდას ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე. პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს ინდუსტრიული მიმართულება წარმოადგენს. პროგრამის 2019 წლის წლიური ანგარიშის მიხედვით, ინდუსტრიული მიმართულებით 2014-2019 წლებში საქართველოში განხორციელდა 359 პროექტი და დასაქმდა 13 026 ადამიანი.[41]

შრომის ბაზრის მოთხოვნებზე არაორიენტირებულმა სამუშაო ძალამ და ადამიანური რესურსების არარაციონალურმა გამოყენებამ შრომაზე მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსი გამოიწვია. სახელმწიფოს ერთ-ერთი ამოცანაა სამუშაო ძალის განვითარება, რათა დასაქმებულთა უნარები დამსაქმებელთა მოთხოვნების ადექვატური იყოს. საქართველოში შრომის მიწოდებისა და შრომაზე მოთხოვნის კომპონენტების საფუძვლიანი ანალიზისათვის მთავრობა ხელს შეუწყობს შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარებას, გააგრძელებს ინფრასტრუქტურულ და კერძო სექტორის წამახალისებელ პროექტებს, იზრუნებს კვალიფიკაციის ამაღლების კომპლექსური სისტემის დანერგვაზე. საქართველოს მთავრობა მოწოდებულია იზრუნოს თითოეული მოქალაქის სიცოცხლეზე, ჯანმრთელობაზე. შესაბამისად, დაიცავს და ზედამხედველობას გაუწევს სამუშაო გარემოს ევროპულ სტანდარტებთან გათანაბრებული კანონმდებლობით. სახელმწიფო განსაზღვრავს მიგრანტთა შრომის უფლებებს.

[41] სსიპ ,,აწარმოე საქართველოში", წლიური ანგარიში 2019: http://www.enterprisegeorgia.gov.ge/uploads/files/publications/5e9ff7a844a85-Annual-Report-2019-small-pdf.pdf

2019 წლის 1-ლი დეკემბრიდან დამტკიცდა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს“ სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული დასაქმების ხელშეწყობის პროგრამების განმახროციელებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო. სააგენტოს მთავარი მიზანია საქართველოს მოსახლეობის დასაქმებისა და შრომის ხელშეწყობა. კომპეტენციის ფარგლებში სააგენტოს უფლებამოსილება და საქმიანობის პრინციპებია:

- ✓ სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, ანალიზი სამუშაო ძალის შესახებ; მოთხოვნა-მიწოდების მიმდინარე და პერსპექტიული ტენდენციების გამოვლენის მიზნით, კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა;
- ✓ სამუშაოს მაძიებელთათვის კონსულტაცია, პროფესიული მომზადება-გადამზადების ღონისძიებათა ორგანიზება, საშუამავლო მომსახურება ცალკეულ დამსაქმებელთან ან დამსაქმებელთა ჯგუფთან;
- ✓ შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის ღონისძიებების განხორციელება: დასაქმების ფორუმების ორგანიზება, სააგენტოს საქმიანობის შესახებ ანგარიშის მომზადება და სამინისტროსათვის წარდგენა.

2019 წლის 30 დეკემბერს საქართველოს მთავრობის N665 დადგენილებით დამტკიცდა ,,დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების 2020 წლის სახელმწიფო პროგრამა“. პროგრამის მიზანია ქვეყანაში დასაქმების ხელშეწყობის განვითარება და აქტიური პოლიტიკის განხორციელება. პროგრამის განმახორციელებელია სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო. ,,დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების 2020 წლის სახელმწიფო პროგრამით“ გათვალისწინებული ერთ-ერთი ღონისძიებაა შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის - worknet.gov.ge განვითარება. ეს არის სახელმწიფოს გადაწყვეტილებით შექმნილი ელექტრონული სივრცე, სადაც ხდება დარეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა ვაკანსიების ანალიზი. დამსაქმებლებს შეუძლიათ მოიძიონ სასურველი ადამიანიანური რესურსი ქვეყნის მასშტაბით, კონკრეტულ ვაკანსიასთან დაკავშირებით. ასევე, მიიღონ მონაწილეობა მათი მოთხოვნილებების შესაბამისი კომპეტენციებისა და უნარების ფორმირებაში [**www.worknet.gov.ge**].

შრომის ბაზარზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული შეუსაბამობა არ აღმოიფხვრება მხოლოდ და მხოლოდ კერძო სექტორის წახალისებითა და შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის ხელშეწყობით. ერის განვითარებისათვის ფუნდამენტურია და მდგრადი ეკონომიკური ზრდისათვის აუცილებელია ფუნქციონირებდეს ძლიერი და ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო მექანიზმი.

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი საზრუნავია ქვეყნაში სამუშაო ძალის მოთხოვნაზე ორიენტირებული, მაღალი ხარისხის, სოციალურად სამართლიანი განათლების სისტემის დანერგვა, რათა ზოგადი, უმაღლესი და პროფესიული განათლებისა და შრომის ბაზრის კავშირი მაქსიმალურად განმტკიცდეს, ჩამოყალიბდეს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა. სახელმწიფოსათვის განათლების ყველა საფეხური მნიშვნელოვანია.

მეცნიერულად დასაბუთებული ხედვის შესაბამისად, სკოლებში შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით დაინერგება პროფესიული ორიენტაციის კურსი. დიდი ყურადღება მიექცევა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას ევროპული სტანდარტების შესაბამისად. სამუშაო ძალის კომპეტენციაზე ზრუნვა საფუძველშივე დაიწყება და პრიორიტეტული იქნება საბუნებისმეტყველო საგნების, მათემატიკისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლება, რადგან დღესდღეობით ეს დარგები განსაკუთრებით ავსებენ შრომის ბაზრის საჭიროებებს.

სამთავრობო ხედვა ითვალისწინებს უმაღლესი განათლების მართვის გამჭვირვალე სისტემის ჩამოყალიბებას. სწავლება მეტად ორიენტირებული იქნება სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობისაკენ, შეიქმნება პირობები სწავლისა და კვლევის ეფექტიანი ინტეგრირებისათვის. ყურადღება მიექცევა საერთაშორისო პროგრამებში ჩართულობას, ინტერნაციონალიზაციას. *,,გარდა ამისა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები პრიორიტეტული პროგრამების განსაზღვრის პროცესში გაითვალისწინებენ შრომის ბაზრის მოთხოვნებს და წარმოადგენენ დასაბუთებას, თუ რამდენად თანხვედრაშია და პასუხობს მათი მოთხოვნა პროგრამის კრიტერიუმებსა და მიზნებს“* [**დადგენილება N662, 2019:21**].

აუცილებელია შრომის ბაზრის საჭიროებებს მოერგოს პროფესიული განათლება. სახელმწიფო დაიწყებს პროფესიული სასწავლებლების გაძლიერებას თანამედროვე

ეკონომიკის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროგრამების შემუშავებით. პროფესიული განათლების სფეროში დაგეგმილი ღონისძიებებია: პროფესიული სასწავლებლების ინფრასტრუქტურის განვითარება, სწავლების პროცესში საწარმოების ჩართვა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება; პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის ჩამოყალიბება; მასწავლებელთა მომზადება-გადამზადება ბაზარზე ორიენტირებული, მოქნილი, მრავალფეროვანი პროგრამებით, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ნებისმიერი იურიდიული პირი, შესაბამისი უფლების შემთხვევაში; ყურადღება მიექცევა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროგრამებს [**დადგენილება N662, 2019**].

,,უმაღლესი და პროფესიული განათლება დაეფუძნება არა ასიმეტრიულ მოთხოვნას, რომელიც რამდენიმე დომინირებული პროფესიით შემოიფარგლება, არამედ რეალურ საჭიროებებს, რომლის წინაშეც ქვეყანა დგას. შესაბამისად, უზრუნველყოფილი იქნება შრომის ბაზარზე არსებული დისბალანსის აღმოფხვრა.“ [42]

შრომისუნარიანი მოსახლეობის კონკურენტუნარიანობის ზრდა არა მხოლოდ ძლიერი საგანმანათლებლო ინსტიტუტების საქმიანობას, ასევე დახვეწილ სოციალური დაცვის მექანიზმს საჭიროებს. მთავრობის ხედვაა ეფექტიანი მიზნობრივი სოციალური დახმარებისა და საპენსიო სისტემის ჩამოყალიბება. საბოლოოდ, პროცესი ხელს შეუწყობს სოციალური პირობების გაუმჯობესებას, ხანდაზმულთათვის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნას, მოწყვლადი ჯგუფების გააქტიურებას, შრომით საქმიანობაში მონაწილეობის მიღებას. ასაკობრივი პენსია სოციალური დაცვის სისტემაში ყველაზე დიდ ნაწილს იკავებს - პენსიის მიმღებთა (ასაკით პენსიონერთა) რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება (2019 წელს 762 600 პენსიონერი [**geostat.ge**]). სოციალური ხარჯები მუდმივად მზარდი იქნება, ამიტომ 2019 წლიდან ეკონომიკურ დღის წესრიგში დადგა ხანდაზმულობის თანმხლები სოციალური რისკების შემცირებაზე ზრუნვა დაგროვებით საპენსიო სისტემაზე ეტაპობრივი გადასვლით. სქემის თითოეული მონაწილისათვის, საპენსიო ანგარიშზე არსებული თანხა ხელშეუხებელია, ექვემდებარება მემკვიდრეობით გადაცემას. სქემაში მონაწილეობით, პენსიაზე გასვლის

[42] სამთავრობო პროგრამა 2018-2020, (2017). ,,თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“, www.gov.ge

შემდგომ მათი სიბერე იქნება ფინანსურად უზრუნველყოფილი და ღირსეული [**pensions.ge**].

დახვეწილი სოციალური დაცვის სისტემა გულისხმობს არსებობდეს გარკვეული კავშირი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ მიმართულ ღონისძიებებსა და დასაქმების პოლიტიკას შორის. დამატებით, მთავრობის ამოცანაა ისეთი წესების შემოღება, რომ სოციალურად დაუცველი მოსახლეობა არ გადაიქცეს მიზნობრივ სახელმწიფო დახმარებაზე დამოკიდებულ, დემოტივირებულ სოციალურ ჯგუფად. ეს გულისხმობს მსოფლიოში აპრობირებული მეთოდის ,,სოციალური დახმარება დასაქმებისათვის" დანერგვას. 100 000-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახები, წევრების დასაქმების შემთხვევაში, მაინც მიიიღებენ საარსებო შემწეობას. *,,..მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამაში ჩართვისთვის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია მაძიებელი ოჯახის შრომისუნარიანი წევრ(ებ)ის შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო პორტალზე (www.worknet.gov.ge) დარეგისტრირების ვალდებულება"* [**დადგენილება N662, 2019:26**].

საბოლოოდ, ზემოაღნიშნული ღონისძიებების გატარებით, საქართველოს მთავრობას სურს აამაღლოს მოწყვლადი ჯგუფების, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა და უღარიბესი ფენის კეთილდღეობის ხარისხი, დაეხმაროს მათ ინდივიდუალური საჭიროების მაქსიმალურად დაკმაყოფილებაში, რათა თავი იგრძნონ საზოგადოების სრულფასოვან წევრებად. სამომავლო წარმატების შეფასებისათვის, მთავრობამ განსაზღვრა ქვეყნის ძირითადი სამიზნეები 2023 წლისათვის (**იხ. დანართი N5**).

3.2. დასაქმების აქტიური პოლიტიკა და მისი გატარების აუცილებლობა საქართველოში

რეგიონალური და საერთაშორისო პოზიციების გამყარებისათვის საქართველოში ბოლო პერიოდში ფუნდამენტური რეფორმები გატარდა. მთავრობის ძალისხმევა მიმართულია მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლებისა და სწრაფი ეკონომიკური ზრდის უზრუნველმყოფელი ღონისძიებებისაკენ. მიუხედავად ამისა, კვლავ მწვავე პრობლემად რჩება სიღარიბე, სოციალური უთანასწორობა. ეკონომიკაში თავს იჩენს სტრუქტურული პრობლემები. ხარვეზებია უმუშევრობისა და დასაქმების სტრუქტურაში. 2015 წელს მსოფლიო ბანკმა წარმოადგინა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინიციატივით განხორციელებული, ქართული შრომის ბაზრის მოთხოვნისა და სტრუტურული შეუსაბამობების კვლევის პირველადი ანალიზი. ეს უკანასკნელი გვიჩვენებს, რომ 2015 წელს შრომის ბაზარზე მთავარი პრობლემა იყო არა სამუშაო ძალის მიწოდების სიმწირე, ან დამსაქმებელთა მხრიდან მცირე მოთხოვნა, არამედ სტრუქტურული სხვაობა შრომაზე მოთხოვნასა და შრომის მიწოდებაში [**დადგენილება N167, 2016:4**].

დემოგრაფიული მდგომარეობის არასტაბილური ცვლილების გამო, ნეგატიური ტენდენციები შეინიშნება შრომითი რესურსების მიწოდების მიმართულებით. საქართველოში 2016-2018 წლებში წინა წელთან შედარებით მცირდება როგორც აქტიურობის, ასევე დასაქმების დონეები. თავის მხრივ, შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს ვერ აკმყოფილებს ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა. *,,დასაქმებისა და სამუშაო ძალაზე მოთხოვნის დაბალი დონე კავშირშია კვალიფიკაციაზე მოთხოვნასთან“* [43]. შეიძლება ითქვას, არ ხდება ადამიანისეული კაპიტალის თავმოყრა და ეკონომიკური განვითარების პროცესში მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენება. *,,მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2016-2017 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მიხედვით, ბიზნესის კეთების მხრივ,*

[43] საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი, მთავრობის მოსმენა: დასაქმების პრობლემები და სახელმწიფო პოლიტიკა დასაქმების სფეროში, დეპუტატის საინფორმაციო ბარათი, 2018 წელი.

უპირველესი პრობლემა კვლავ კვალიფიციური სამუშო ძალის ნაკლებობაა“ [44] . კვალიფიციური ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის სიმწირე ბიზნეს სექტორის ზრდის პოტენციური შესაძლებლობისაგან ჩამორჩენის ერთ-ერთ განმაპირობებელი ფაქტორია.

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ორიენტირია მოსახლეობის დასაქმება. არასათანადოდ განვითარე-ბული ინფრასტრუქტურის გამო, საქართველოში, როგორც ეკონომიკურად აქტიურ, ისე სამუშაო ძალის გარეთ მყოფ პირებს ჯერ კიდევ რთულად მიუწვდებათ ხელი შრომის ბაზრის სერვისებზე (მოსახლეობის გარკვეული ნაწილი სულაც არაინფორმირებულია).

საქართველოს შრომის ბაზრის 2018 და 2019 წლების ანალიზის მიხედვით, უკანასკნელ წლებში გამოიკვეთა რამდენიმე სწრაფად მზარდი დარგი, რაც მოითხოვს შესაბამისი პროფილის კონკურენტუნარიან კადრებს. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის თანამედროვე სტრუქტურისა და ქვეყნის სამომავლო ეკონომიკური ტენდენციების შეფასებით, მოსალოდნელია მოთხოვნის ზრდა მაღალკვალიფიციურ კადრებზე მომსახურების სფეროსა (საფინანსო მომსახურება, ტურიზმი) და რეალურ სექტორში (ენერგეტიკა, დამამუშავებელი მრეწველობა, სატრანსპორტო ქსელის მშენებლობა) [45] . კონკრეტულ სექტორში აქტიურ შრომით საქმიანობაში ჩართვამდე, აუცილებელია პოტენციური დასაქმებულების კვალიფიკაციის დონის ამაღლება, მომზადება-გადამზადების პროცესის ორგანიზება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოსათვის აქტუალურია სიღარიბის პრობლემა, უმუშევრობა, შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის სტრუქტურული შეუსაბამობა, კონკრეტული პროფილის ახალგაზრდა კადრების ადექვატური დასაქმება. ქვეყანაში არსებული ზემოხსენებული და სხვა მრავალი თანამედროვე ნეგატიური სოცალურ-ეკონომიკური ასპექტის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ აუცილებელია და განსაკუთრებული

[44] საქართველოს მთავრობა, ქვყნის ძირითადი მონაცმები და მიმართულებები 2018-2021 წლებისათვს, 2017, გვ.13

[45] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2018, http://www.lmis.gov.ge/.

ყურადღება უნდა მიექცეს მსოფლიოში აპრობირებული მეთოდის - შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის (ALMP) განხორციელებას.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) განმარტებით, *,,შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა არის ნებისმიერი სოციალური დანახარჯი (განათლების სფეროს გარდა), რომელიც მიმართულია იმაზე, რომ ბენეფიციარს გაეზარდოს დასაქმების ან შემოსავლის მიღების შესაძლებლობა"* [**დადგენილება N167, 2016:3**]. დასაქმების აქტიური პოლიტიკა გრძელვადიან პერიოდს საჭიროებს და, საბოლოოდ, მიზნად ისახავს ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის რაც შეიძლება მეტი წილი გახდეს ეკონომიკურად აქტიური, დაეხმაროს ბენეფიციარებს შესაბამისი, ღირსეული ანაზღაურების მქონე სამსახურის პოვნაში. ამისათვის, OECD-ის რეკომენდაციით, სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს: მოტივაციის გაღრმავებასა და სამუშაოს ძიების სტიმულირებას, სამუშაო მზაობის (job readiness) გაუმჯობესებასა და შესაფერისი დასაქმების სფეროს მოძიებაში დახმარებას, დასაქმების შესაძლელობების გაფართოებას.[46]

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისათვის აუცილებელია ქვეყნის პროდუქტიული პოტენციალის თავმოყრა და მენტალური უნარების რაციონალურად გამოყენება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია პროდუქტიული დასაქმების [47] შესაძლებლობები გაფართოვდეს, რათა ახალი სამუშაო ადგილები ეკონომიკურად მიზანშეწონილი იყოს. *,,..შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებიდან აუცილებელია სხვადასხვა მარეგულირებელი ღონისძიებების გატარება, რაც უზრუნველყოფს ქვეყანაში უმუშევრობისა და მისგან მიღებული დანაკარგების შემცირებას."* [**ნ. პაიჭაძე, 2016:11**] დასაქმების აქტიური პოლიტიკა ორიენტირებულია შეიქმნას კონკურენტუნარიანი ადამიანისეული კაპიტალი, ქვეყნის სამუშო ძალა განავითაროს შრომის ბაზრის თითოეული მონაწილის მოთხოვნის შესაბამისად და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: ბენეფიციარის კარიერის დაგეგმვი-სათვის ხარისხიანი ინდივიდუალური სამოქმედო

---

[46] Oecd.org, Active Labour Market Policies: Connecting People with Jobs, ხელმისაწვდომია: https://www.oecd.org/employment/activation.htm;

[47]შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) დასაქმებისა და სოციალური პოლიტიკის კომიტეტის 2004 წლის მარტის სხდომაზე პროდუქტიული დასაქმება მიჩნეულ იქნა, როგორც სიღარიბის დაძლევისა და განვითარების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. https://www.ilo.org/wcmsp5 /groups/public/ed_norm/relconf/ documents/meetingdocument/wcms_gb_289_esp_2_ru.pdf.

გეგმის შედგენა, ინფორმაციის მიწოდება, საჭიროების შემთხვევაში ჯგუფური კონსულტაცია, ადვოკატირება; კვალი-ფიკაციის ასამაღლებელი მომზადება/გადამზადების ღონისძიებები; სახელმწიფო სტაჟირების პროგრამები; უმუშევართა დახმარება დამსაქმებელთან საშუამავლო მომსა-ხურებით (სახელმწიფო შუამავლის როლში); მოსახლეობაში დასაქმების სერვისების ცნობადობის ხარისხის ზრდისა და პროგრამებში აქტიურად ჩართვის ხელშეწყობის მიზნით დასაქმების ფორუმების ორგანიზება; დაბალკონკურენტუნარიანი და მოწყვლადი ჯგუფების სამუშაო გარემოში სრულფასოვანი მონაწილეობა და სხვ.

ეკონომიკური ინკლუზიურობის პროცესში სრულფასოვნად ინტეგრირებისათვის მნიშვნელოვანია თითოეული დასაქმებულის კომპეტენცია მაქსიმალურად მიესადაგე-ბოდეს შრომის ბაზრის საჭიროებებს. შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის გაძლიერება, სისტემატიზება აფართოებს პროდუქტიული დასაქმების შესაძლებლობებს; იქმნება ახალი, უკეთესი, ბენეფიციართა ინტერესებზე მორგებული სამუშაო ადგილები, რაც აფერხებს არაფორმალურ ეკონომიკას. სამუშაო მზაობის მქონე, მოტივირებული ადამიანების მოდერნიზებული შრომის ბაზრის მოთხოვნების ადექვატური პროფო-რიენტაცია ხელს უწყობს სამუშაო ძალის სტრატეგიული მიმართულებით განვითარებას. არააქტიური მოსახლეობის გააქტიურების პროცესის ყოვლისმომცველობით (არა მხოლოდ ცალკეული ქალაქების, მთელი ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის ჩართუ-ლობით) იზრდება შემოსავლის გენერირების შესაძლებლობები; მეტი ადამიანისეული კაპიტალის გამოყენებით, მეტი გონებრივი შესაძლებლობის ათვისებით, სოციალურ-ეკონომიკური პროცესები ხდება მდგრადი, მარტივად მართვადი.

ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის ზოგჯერ გარდამტეხი ბარიერია არა სამუშაო მოტივაცია, არამედ სამუშაო მზადყოფნა. ასევე, შრომის ბაზრის თანამედროვე, მუდმივად განახლებადი მოთხოვნების შესაბამისად, დასაქმებულები იძულებულნი არიან ახალი, ხშირად სულაც სხვა პროფილის სამუშაოს უნარ-ჩვევები აითვისონ. მათ სურთ ხელშეწყობა, რათა სწრაფად განაახლონ და დაუახლოვონ საკუთარი შესაძლებლობები თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ამ მიმართულებით, შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის კომპონენტებია მომზადება-

გადამზადების პროგრამები, კარიერის მართვის უნარების ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი ტრენინგები, რაც აღმოფხვრის სხვაობას ბენეფიციართა არსებულ და მუშაობისათვის საჭირო უნარებს შორის; აამაღლებს შრომის ბაზრისათვის მზაობის ხარისხს. აქტიური პოლიტიკის მნიშვნელოვან საზრუნავს წარმოადგენს პროფესიული უნარების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შეუსაბამობის აღმოფხვრაც, რაც აამაღლებს პროფესიული განათლების იმიჯსა და საზოგადოებაში პოპულარიზაციას.

,,საქართველოში უმუშევრობა სტრუქტურული ხასიათისაა. სტრუქტურული უმუშევრობის გამომწვევი მთავარი მიზეზი კი შრომის ბაზარზე კვალიფიკაციის მოთხოვნის და მიწოდების შეუსაბამობაა“ [48] . საერთაშორისო გამოცდილებით, დასაქმების აქტიური პოლიტიკა საკმაოდ ეფექტურია სტრუქტურულ უმუშევრობასთან ბრძოლის წინააღმდეგ. მაგალითად, გასული საუკუნის 90-იან წლებში, 60-იანი წლების შემდეგ პირველად, OECD-ის რიგ ქვეყნებს მნიშვნელოვანი პროგრესი ჰქონდათ სტრუქტურული უმუშევრობის შემცირებაში. რაშიც, არა მხოლოდ ხელსაყრელმა მაკროეკონომიკურმა კლიმატმა, აგრეთვე შრომის ბაზრის აქტიურმა პოლიტიკამაც შეიტანა მნიშვნელოვანი წვლილი.[49]

თანამედროვე მსოფლიოში, მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდისათვის გარდაუვალი კომპლექსური პროცესების არასწორი სვლით განვითარება ვნებს ქვეყნის სოციალურ-კულტურულ ნორმებს, ცვლის პოლიტიკურ და სამართლებრივ ურთიერთობებს. საქართველოში ეფექტიანი დასაქმება [50] შესაძლებელია ზემოაღნიშნულ კომპლექსურ მაკროეკონომიკურ პროცესად განვიხილოთ, რადგან, ფაქტია, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან ოცდაათი წლის შემდეგაც კი ქვეყანაში არ შექმნილა დასაქმების ოპტიმალური მექანიზმი.

მწვავე სიღარიბე და სოციალური უთანასწორობა დასაქმების აქტიური პოლიტიკის მთავარი სამიზნეებია. ამიტომ, პოლიტიკის მთელი ძალისხმევა მიმართულია

---

[48] საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი, მთავრობის მოსმენა: დასაქმების პრობლემები და სახელმწიფო პოლიტიკა დასაქმების სფეროში, დეპუტატის საინფორმაციო ბარათი, თბილისი 2018 წელი.

[49]http://www.oecd.org/els/emp/labourmarketpoliciesthatwork.htm.

[50] საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეფექტიანი დასაქმება წარმოადგენს ისეთ დასაქმებას, რომელიც უზრუნველყოფს ღირსეულ შემოსავალს, საზოგადოების თითოეული წევრის ჯანმრთელობას, საგანმანათლებლო და პროფესიონალურ დონის ზრდას და იგი მიიღწევა საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის საყოველთაო ზრდის საფუძველზე.

სიღარიბისა და უთანასწორობის თანმიმდევრულად აღმოფხვრისაკენ შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარებით, მოსახლეობის პროდუქტიული დასაქმების შესაძლებლობების გაზრდით, კვალიფიცირებული ადამიანისეული კაპიტალის შექმნით, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსებით და სხვა ამოცანებით. თითოე-ული ამოცანა ეკონომიკური განვითარების პროცესთან თანხვედრაში უნდა იყოს და სტრუქტურულმა ცვლილებებმა ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკის გაჯანსაღებას. პროცე-სის დაწყებამდე აუცილებელია ორი მეტად მნიშვნელოვანი ასპექტის მოწესრიგება:

ა)ხარისხიანი ინფორმაცია ძირითადი სამუშაო ბარიერების, საფრთხეების შესახებ, რომლებიც ხელს უშლის უმუშევრებსა და ეკონომიკურად არააქტიურ მოსახლეობას შრომის ბაზარზე სრულფასოვნად ინტეგრირებაში. აღნიშნული გაამარტივებს სხვადასხვა სოციალური ჯგუფისათვის ადექვატური საგანმანათლებლო საჭიროებების დადგენას მათი სუსტი და ძლიერი მხარეების გათვალისწინებით;

ბ)შრომის ბაზარზე მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობების შექმნაზე ორიენტირებული დასაქმების პოლიტიკის მზა ჩარჩო შესაბამისი საკანონმდებლო და ინსტიტუციური გარემოთი.

საერთაშორისო გამოცდილებით, მოსახლეობის დასაქმების პოლიტიკა, ძირითადად, ორი მიმართლებით განისაზღვრება: აქტიური და პასიური პოლიტიკა. დასაქმების პასიური პოლიტიკა მოიცავს სოციალური დახმარების პროგრამებს, როგორც მოკლე-ვადიან ინტერვენციას კრიზისისა და სიღარიბის საპასუხოდ. რა თქმა უნდა, ეს ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ უმუშევართა დროებით შემწეობასა (უმუშევრობის დაზღვევის, ვადამდელი პენსიის, მიზნობრივი სოციალური დახმარების ინსტრუმენ-ტებით) და არა შრომისუნარიანი მოსახლეობის კომპეტენციის მოდერნიზებული შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად ამაღლებას. მეტიც, თუ პასიური პოლიტიკის ინსტრუმენტები არ ავალდებულებს პროგრამაში მონაწილეებს პარალელურად ეძებონ სამსახური, ან გაიუმჯობესონ სამუშაო მზაობა, პოტენციური დასაქმებულები გახდებიან სახელმწიფოზე დამოკიდებულნი, დემოტივირებულნი, შემცირდება სამუშაო სტიმულები. აქედან გამომდინარე, არ იქმნება მტკიცე საფუძველი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისათვის. სწორედ ეს არის პრინციპული განსხვავება

შრომის ბაზრის აქტიურ და პასიურ ღონისძიებებს შორის. მსჯელობას ადასტურებს გასული საუკუნის ბოლოს დაფიქსირებული საერთაშორისო ეკონომიკური მოვლენები: *,,სიღარიბის ზრდამ და პროდუქტიულმა სტაგნაციამ 1980-იანი წლების ,,დაკარგული ათწლეულის" შემდეგ ლათინოამერიკაში, 1990-იან წლებში აზიის ფინანსურმა კრიზისმა და გარდამავალი ეკონომიკების სწრაფმა ეკონომიკურმა ტრანსფორმაციამ ცხადყო, რომ საჭიროა ძლიერი და სტაბილური შრომის ბაზრის ინსტიტუტები, რომლებიც სიღარიბის შემცირებასა და დასაქმების ხელშეწყობას გულისხმობენ"*[51]. თუმცა, სამართლიანობა და მრავალფეროვანი მსოფლიო გამოცდილება მოითხოვს აღინიშნოს, რომ არ არსებობს დასაქმების მექანიზმის სტანდარტული ოპტიმალური ვარიანტი. დასაქმების აქტიური პოლიტიკა მნიშვნელოვნად ასტიმულირებს შრომისუნარიანი მოსახლეობის შრომით პროცესში ჩართვას, შესაბამისად უმუშევრობისა და სიღარიბის აღმოფხვრას. მიუხედავად ამისა, არ გვაქვს შრომის ბაზრის სისტემის სრულყოფილად ფუნქციონირების გარანტია.

სტაბილური შრომის ბაზრის ინსტიტუტებისა და ზოგადად, მოდერნიზებული, ტექნოლოგიურად მოწინავე, სხვადასხვა სოციალურ ჯგუფზე მორგებული, კოორდინირებული შრომის ბაზრის ჩამოყალიბება საჭიროებს ეფექტურ მენეჯმენტს, უზარმაზარ ფინანსურ და, რაც მთავარია, დროით დანახარჯებს. შესაბამისად, დასაქმების აქტიური პოლიტიკის ფორმირებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ დარგის პროფესიონალმა ექსპერტებმა, სამთავრობო უწყებებმა, სხვადასხვა სამინისტროებმა და სააგენტოებმა; პოლიტიკის წარმატებით განხორციელების პროცესს ხელი უნდა შეუწყოს მთელმა სამოქალაქო საზოგადოებამ. გარდა ამისა, აუცილებელია პროგრამების მუდმივი მონიტორინგი (ეფექტიანობისა და ეფექტურობის შეფასება, თუ რამდენად მიესადაგება ფაქტობრივი შედეგები დასახულ მიზნებს), რათა საჭიროების შემთხვევაში გაძლიერდეს ზეწოლა პოლიტიკის გამტარებლების მხრიდან.

საგულისხმოა, რომ მიმდინარე პერიოდში დასაქმების აქტიური პოლიტიკა სამთავრობო ორგანოების მხრიდან სერიოზული განხილვის საგანი გახდა და ყურადღების ცენტრში მოექცა. საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-

[51] **C. Pignatti, E. V. Belle,** Better together: Active and passive labour market policies in developed and developing economies, Ilo.org, Research Department Working Paper No. 37, Page 1

2023 წლების ეროვნული სტრატეგიის[52] მიხედვით, 2019-2023 წლებში ერთ-ერთი სექტორული პრიორიტეტია დასაქმების ხელშეწყობა აქტიური პოლიტიკის (ALMP) გაძლიერებით. სამუშაო ადგილების მოძიებასა და მოქალაქეთათვის შეთავაზებაზე პასუხისმგებელია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო[53]. სააგენტო სხვადასხვა სერვისს შესთავაზებს ელექტრონული პორტალის - worknet.gov.ge ბაზაში რეგისტრირებულ პირებს. სახელმწიფო ორიენტირებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაძლიერებაზე და სურს დასაქმების მსურველთა მომზადება-გადამზადების ღონისძიებებმა დააკმაყოფილოს შრომის ბაზრის საჭიროებები. პრიორიტეტული იქნება არა ცენტრალიზებული, არამედ რეგიონული მიდგომა, რათა დასაქმების აქტიური პოლიტიკის პროცესი იყოს ინკლუზიური, მოხდეს მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობის მობილიზება მთელი ქვეყნის მასშტაბით. [**დადგენილება N662, 2019**]

[52] იხ. საქართველოს მთავრობის დადგენილება N662 „საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე“, ქ. თბილისი 2019 წლის 30 დეკემბერი;

[53] იხ. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-14/ნ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის- სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 3 ქტომბერი ქ.თბილისი.

3.3. უმუშევრობის დაძლევისა და მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფის მიმართულებები საქართველოში

21-ე საუკუნეში ისე, როგორც არასდროს, წარმატება დამოკიდებულია პროფესიონალიზმზე. სოციალური უთანასწორობა, სიღარიბე და მრავალი სხვა ნეგატიური გარემოება დაძლევადია ეკონომიკის სწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში. ეკონომიკა კი სწორი გეზით წარიმართება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ შრომით პოტენციალს ეფექტიანად გამოვიყენებთ. ამისათვის საჭიროა მუშაობა, დრო, აუცილებელია მყარი პოლიტიკური ნება და ნდობაზე დაფუძნებული სოციალური კოოპერაცია მოსახლეობასა და მთავრობას შორის. ჩვენი აზრით, სწორედ აქედან იწყება ეფექტიანი დასაქმების პროცესი - მოქალაქეთა მხრიდან მეტი დაინტერესებით, მაქსიმალური ჩართულობით, მთავრობის მხარდაჭერით, მაგრამ, ამავდროულად, ხელისუფლების საქმიანობის მონიტორინგით.

ეკონომიკური ინკლუზიურობა თავისი არსით გულისხმობს შრომითი რესურსების ფართო მასის უშუალოდ დასაქმების პროცესში ჩართვას და არა ღარიბი ფენებისათვის შემოსავლების გადანაწილებას ან გაზრდილ სოციალურ დახმარებას. აქედან გამომდინარე, შრომისუნარიანი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ეკონომიკური განვითარების პროცესში ჩართვამდე, აუცილებელია, კრიტიკული პრობლემების იდენტიფიცირება, სოციალურ-ეკონომიკური მექანიზმის მოწესრიგება და დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის სრულყოფა, რათა სამომავლო ღონისძიებები გეგმაზომიერად წარიმართოს. პრობლემათა იდენტიფიცირება დამოკიდებულია შრომის ბაზრის სრულყოფილ ანალიზზე, სამუშაო ძალის შესახებ ობიექტური რაოდენობრივი მონაცემების მოპოვებაზე. რეალური მონაცემების შეგროვება კი საჭიროებს ინფორმაციის მოძიების სისტემის დახვეწას, მოსახლეობის პერიოდულად

გამოკითხვასა და აღრიცხვას. აუცილებელია დასაქმებულის სტატუსის მინიჭების მეთოდოლოგიის გამკაცრება. დამატებით, სასურველია, კომპეტენტური ორგანიზაციების მხრიდან ჩატარდეს სოციალური კვლევებიც. შრომის ბაზრის შესახებ ინფორმაციის პერიოდული განახლება სიღრმისეულად შეაფასებს დასაქმების დინამიკასა და ყველაზე მწვავე პრობლემებს, ასევე ხელს შეუწყობს უმუშევრობის ახალი კერების გამოვლენას.

საქართველოში რეგიონული განვითარება არაერთგვაროვან სურათს გვაძლევს. 2019 წლის მშპ-ის 51.7% მხოლოდ და მხოლოდ დედაქალაქზე მოდის [**geostat.ge**] (რეგიონებში არათანაბრადაა განაწილებული საშუალო თვიური ნომინალური ხელფასებიც). ეროვნული წარმატების მისაღწევად და სოციალური უთანასწორობის შესამცირებლად უკიდურესად მნიშვნელოვანია რეგიონული პოტენციალის რაციონალურად გამოყენება. რეგიონული განვითარების პოლიტიკის განხორციელება საგრძნობლად აამაღლებს ინკლუზიური განვითარების ხარისხს.

დასაქმება მრავალმხრივი მოვლენაა და დაუშვებელია პროცესში პრიორიტეტების ხშირი ცვლილება, რეფორმათა არათანმიმდევრული ხასიათი. ეს მიგვიყვანს არაპროგრესულ, არამდგრად მექანიზმთან. შესაბამისად, უმუშევრობის აღმოფხვრის რეფორმების გატარებამდე, გარდამტეხი მნიშვნელობა აქვს უშუალოდ დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის სრულყოფას [**ნ. პაიჭაძე, 2016:24**], რადგან ყოველი წარმატების საიდუმლო საკითხისადმი პასუხისმგებლობით მიდგომასა და მომზადებაშია. ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს შრომითი საქმიანობის პროცესში მონაწილე პირების უფლებათა დაცვის საკითხიც. შრომის ბაზრის განვითარების თვისებრივად მაღალ ხარისხზე თავისდათავად არ მიანიშნებს გარემოება, როდესაც დასაქმებულები უზრუნველყოფილნი არიან ეკონომიკურად მიზანშეწონილი სამუშაო ადგილებით. საქმიანი გარემო უნდა მოაწესრიგოს იურიდიულმა ბაზამ, სოციალურ-შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელმა სტანდარტებმა და ნორმებმა.

მცირე და საშუალო საწარმოებში სამუშაო ძალის ეფექტიანად გამოყენების საკითხი მეტად საყურადღებოა. საქართველოში კერძო სექტორი მეტ პოტენციალს შეიცავს[54]. სახელმწიფომ, უპირველეს ყოვლისა, სამართლებრივად უნდა დაიცვას ბიზნესგარემო, პარალელურად კი იზრუნოს მცირე და საშუალო ბიზნესკომპანიებისათვის მათი მოთხოვნების ადექვატური ადამიანისეული კაპიტალის მიწოდებაზე. გარდა ამისა, აუცილებელია თანამედროვე ტექნოლოგიათა დანერგვის წახალისება, სწრაფად მზარდი დარგებისათვის იაფი კრედიტის გაცემა, მოწყვლადი კატეგორიის ჯგუფებისათვის სახელმწიფოსაგან შრომის ანაზღაურების სუბსიდირება, რაც დამატებით ახალი სამუშაო ადგილების შექმნის საწინდარია. საქართველო მსოფლიოში მე-7 ადგილზეა ,,Ease od Doing Business"-ის [55] თვალსაზრისით. ბიზნესის კეთების სიმარტივისა და თავისუფლების მაღალი მაჩვენებელი არის შესაძლებლობა, რათა ქვეყანა მულტინაციონალური კომპანიებისათვის იქცეს ერთ-ერთ საუკეთესო პლატფორმად, დამატებით მოიზიდოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და გარდაქმნას ისინი სამუშაო ადგილებად.

აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას შეხედულებით, ამჟამად ყველაზე დიდი პრობლემა საქართველოს ეკონომიკაში არის ის, რომ ქვეყანა იმპორტზე ზედამოკიდებულია, მოიხმარს იმას, რაც არ შეუქმნია და ჩამოყალიბდა როგორც მომხმარებელი, ამავდროულად ღარიბი ქვეყნის ეკონომიკა. [56] მართლაც, წინასწარი მონაცემების მიხედვით, 2019 წელს საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (9 151.2 მლნ აშშ დოლარი) დაახლოებით 2.42-ჯერ აღემატება რეგისტრირებულ ექსპორტს (3769.4 მილიონი აშშ დოლარი) [57] . ე.ი. საქართველოში წარმოებული პროდუქცია ან არასაკმარისია, ანდა არ არის საკმარისად მაღალი მოთხოვნა გარე ბაზრების მხრიდან იმდენად, რამდენადაც, მონაცემების მიხედვით, ექსპორტიდან გამომუშავებულ თითო

[54] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, შრომის ბაზრის ანალიზი 2019, იხილეთ: http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=UserReport&ID=30ad9f6d-7c9e-48f2-b90c-d56bc719d0bd.

[55] https://tradingeconomics.com/country-list/ease-of-doing-business;

[56] იხილეთ: https://1tv.ge/news/vladimer-papava-saqartvelos-ekonomikis-yvelaze-seriozuli-problema-aris-rom-chamoyalibda-rogorc-momkhmarebeli-da-tanac-gharibi-qveynis-ekonomika/?fbclid=IwAR2QtInE-TE7A3h7SD0u83U2dFgTWf3lmfW3ilR2j0Xvk9E2NQwxAGqtbD4;

[57] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საგარეო ვაჭრობა. ხელმისაწვდომია: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba.

დოლარზე იმპორტის ხარჯებზე იკარგება 2.42 დოლარი. როდესაც საერთაშორისო ბაზრები ადგილობრივი პროდუქციით არ ინტერესდებიან და სამომხმარებლო კალათაში 80% იმპორტირებული საქონელია, ეს განაპირობებს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას არა საქართველოში, არამედ უფრო მეტად საზღვარგარეთის სახელმწიფოებში, საიდანაც ქვეყანა იმპორტირებას ახორციელებს. მოყვანილი რაოდენობრივი ანალიზის მიხედვით, ცხადზე უცხადესია, რომ ქვეყანაში არაეფექტიანად გამოიყენება სამუშაო ძალა, შრომითი რესურსები ძირითადად თავმოყრილია ისეთ სექტორებში, სადაც დაბალია შრომის მწარმოებლურობა. ჩვენი აზრით, სახელმწიფომ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს დარგების მიხედვით კადრების არარაციონალურად გადანაწილების პრობლემას და ხელი შეუწყოს პროდუქტიულობის გამოთანაბრებას.

2019 წელს მრეწველობის სექტორში დასაქმებული იყო 139.0 ათასი ადამიანი, რაც დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის მხოლოდ და მხოლოდ 8.22%-ია [geostat.ge]. მიუხედავად ამისა, წინასწარი მონაცემებით, 2019 წელს რეექსპორტის გარეშე ქვეყნის უმსხვილესი საექსპორტო საქონლის რეიტინგში ლიდერობს სპილენძის მადნები და კონცენტრატები (651.6 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების), ასევე ფეროშენადნობები (303 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების). წინასწარი ინფორმაციით, 2018-2019 წლებში დამამუშავებელ მრეწველობაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების საბაზრო ფასები შესაბამისად 13 037.5 და 14 547.5 მილიონი ლარია (მთლიან გამოშვებაში წილები შესაბამისად 16.99 და 16.9%). განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ მრეწველობის სექტორში 2018-2019 წლებში დასაქმებულთა რაოდენობა, დაახლოებით, 500 000 დასაქმებულით ნაკლებია, ვიდრე სოფლის მეურნეობის დარგში [geostat.ge]. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ პერიოდში დარგმა შექმნა ქვეყნის მთლიანი გამოშვების თითქმის მეხუთედი და მშპ-ის თითქმის 10%. ცხადზე უცხადესია დამამუშავებელი მრეწველობის სფეროს მაღალი პროდუქტიულობა. რეალური სექტორის აღორძინება და განსაკუთრებით დამამუშავებელი მრეწველობის დარგში სამუშაო ძალის გადანაწილება საგანგებო ყურადღებას საჭიროებს. აუცილებელია ენერგეტიკისა და დამამუშავებელი მრეწველობის სექტორშიც განხორციელდეს მინიმუმ იმდენივე ინვესტიცია, რაც ბოლო

წლებში სოფლის მეურნეობას მოხმარდა. ეს გამოიწვევს ამ მიმართულებით კონკრეტული პროფილის სპეციალობებით დაინტერესებას და საქართველოში რეალურ სექტორში აღარ იქნება მაღალკვალიფიციურ კადრთა დეფიციტი. დამატებით, სასურველია, სახელმწიფომ იზრუნოს იმ სამრეწველო დარგებისა და მაღალი წარმადობის საწარმოების აღდგენაზე, რაც 90-იან წლებში ქვეყანაში განადგურდა (მანქანათმშენებლობა, ჩარხთმშენებელი მრეწველობა, საავტომობილო მრეწველობა, ხელსაწყოთმშენებლობა და ა.შ. [**ნ. პაიჭაძე, 2016:21**]).

ცოდნის ეკონომიკის ეპოქაში წინა პლანზე წამოწეულია ინტელექტუალური შესაძლებლობები. შესაბამისად, შრომითი საქმიანობის რაციონალური ორგანიზება დაფუძნებულია მშრომელთა ერთობლივ გონებრივ ძალისხმევაზე, ხოლო პროცესი მით უფრო ეფექტიანია, რამდენადაც განვითარებულია ქვეყანაში ადამიანისეული კაპიტალი. ადამიანისეული კაპიტალის განვითარებისათვის კი აუცილებელი წინაპირობაა ქვეყანაში ფუნქციონირებდეს ეფექტიანი, ყველასათვის ხელმისაწვდომი, დასავლური სტანდარტის საგანმანათლებლო მექანიზმი. ჩვენი აზრით, გაჭირვებისა და სიღარიბისგან თავის დაღწევის გზა 100%-ით გადის უწყვეტ განათლებაზე.

მოსალოდნელი სოციალური და კულტურული გამოწვევების გადაჭრა იწყება ზოგადი განათლებიდან. საზოგადოების წევრებს ბავშვობიდანვე სჭირდებათ ხარისხიანი სასწავლო პლატფორმა, რათა გააცნობიერონ, რომ ისინი შრომის ბაზარზე შესასვლელად ემზადებიან. პროფესიის არასწორად არჩევა პირველ რიგში მორალურად ანადგურებს პიროვნებას, შემდგომ კი ვნებს მთელ საზოგადოებას, - თავს იჩენს *„ეკონომიკის ახალი საწარმოო სიმძლავრეების სათანადო სამუშაო ძალით უზრუნველყოფის პრობლემა“* [**მ. კვირკვაია.., 2018:52**]. საქართველოში სასკოლო განათლებიდან მიღებული ცოდნა იმდენად არასაკმარისია, რომ აბიტურიენტთა აბსოლუტური უმრავლესობა უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებისათვის კერძო რეპეტიტორთან ემზადება. თავის მხრივ, უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულებიც დამატებით მომზადება-გადამზადების პროგრამებს საჭიროებენ, რადგან მათი კომპეტენცია არ შეესაბამება თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ე.ი. განათლების პროცესი ძირშივე არაპროგრესულად ვითარდება. მიგვაჩნია, რომ მასწავლებელთა მოვალეობა არ შემოიფარგლება მხოლოდ თეორიული მასალისა და საშინაო დავალებების გაცემა-

ჩაბარების რუტინით. საგაკვეთილო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს სხვადასხვა ქმედითი ღონისძიების გატარებას, რათა გამოვავლინოთ მოსწავლეთა სიძლიერეები და თავად დაინახონ საკუთარი სისუსტეები. სასურველია, დამამთავრებელ კლასებში მოსწავლეები პოტენციურ დამსაქმებლებს დაუახლოვდნენ და შეძლებისდაგვარად პრაქტიკულ საქმიანობაშიც ჩაერთონ როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში, რათა შეაფასონ რამდენად მიმზიდველი და საინტერესოა ესა თუ ის პროფესია [**მ. კვირკვაია.., 2018:54**].

ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია ადამიანებმა გაიღრმავონ სკოლაში მიღებული განათლება და იზრუნონ გარკვეული სოციალურ-კულტურული სტატუსის მოპოვებაზე, რაც უმაღლესი სასწავლებლების ღირსებაა. აკადემიური განათლება მაქსიმალურად უნდა მოერგოს თითოეული სტუდენტის ინდივიდუალურ შესაძლებლობას, რაც სამწუხაროდ, საქართველოში სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთათვის კვლავ გადაუჭრელი ამოცანაა. თანაც, იმ ფონზე, როცა უახლოეს წლებში ამ მიმართულებით მთავრობამ რამდენიმე მნიშვნელოვანი რეფორმა გაატარა (სახელმწიფო სასწავლო გრანტები, უფასო ფაკულტეტები, საგრანტო კონკურსები). ჯერ ერთი, თუ აკადემიურ განათლებაზე წვდომის ფინანსური ბარიერები არ აღმოიფხვრა, ეს პოტენციურად ნიშნავს სამომავლოდ სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს შორის დასაქმების შესაძლებლობებსა და შემოსავალთან დაკავშირებული უთანასწორობის ზრდას [**თ. ბრეგვაძე, 2013:16**]. მეორე მხრივ, მოწყვლადი სოციალური ჯგუფებისათვის დაფინანსების ზრდა ინკლუზიური განვითარების ხარისხს აუმჯობესებს. 2018 წელს ყველაზე მცირე საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი სწორედ განათლების სექტორში დაფიქსირდა - 596.4 ლარი [**geostat.ge**]. მიგვაჩნია, რომ ნიშნული უნდა გაიზარდოს. დაფინანსების მაღალი დონე, თავისთავად აამაღლებს მასწავლებელთა მოტივაციასაც, რაც დადებითად აისახება შრომითი ურთიერთობების რეპროდუქციის გრძელვადიან პროცესზე.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს - უმაღლესი განათლების შექმნილი ადამიანისეული კაპიტალის თანამედროვე შრომის ბაზრის სტანდარტებთან შეთანაწყობის ხარისხს. ქვეყანაში კანონზომიერებას კვლავ ექვემდებარება ე.წ. ,,დიპლომიანი უმუშევრობის“ ტენდენცია. ჩვენი აზრით, აღნიშნული

მდგომარეობა ცალსახად მიუთითებს აკადემიური განათლების, როგორც სისტემური მექანიზმის არაეფექტიანობაზე. აშკარაა, რომ დაბალია განათლებიდან მიღებული საზოგადოებრივი უკუგების მაჩვენებელი, რადგან რაოდენობრივი მონაცემებიდან გამომდინარე, ადამიანისეული კაპიტალის კომპეტენცია კვლავ არათავსებადია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. ე.ი. წლების წინ ფორმირებული განათლების სისტემა საბოლოოდ არაპროგრესული და სწრაფად ცვალებად გარემოზე არაორიენტირებული აღმოჩნდა [**გ. მაჩაბელი, 2019**]. განათლების სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მხოლოდ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე პირებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა. თითოეული პროგრამა უნდა მიესადაგებოდეს ეროვნულ სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ გარემოს, თუმცა კარგი იქნება საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებაც. სასურველია, წარმატებული ევროპული ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემის წარმომადგენლებთან კომუნიკაცია, მათი მოწვევა, რჩევების გათვალისწინება.

აუცილებელია საქართველოში ჩამოყალიბდეს უმაღლესი განათლების შედეგების მონიტორინგზე პასუხისმგებელი რამდენიმე ქმედითუნარიანი უწყება. ეს, პირველ რიგში, საზოგადოებისათვის განათლების სფეროში გატარებული რეფორმების მეტი საჯაროობისა და გამჭვირვალობის გარანტია. მეორე მხრივ, პოლიტიკის გამტარებლები ანგარიშვალდებულნი იქნებიან დამატებით რამდენიმე სააგენტოს წინაშე. საუნივერსიტეტო განათლების ხარისხის გამკაცრებული მონიტორინგის ფარგლებში სამინისტროს მუშაობა უფრო ეფექტიანი იქნება.

მისასალმებელია, თუ უნივერსიტეტები სამთავრობო უწყებებს ყოველწლიურად დაუსაბუთებენ, რამდენად ერგება მათი სასწავლო პროგრამა მოდერნიზებული შრომის ბაზრის საჭიროებებს [**დადგენილება N662, 2019:21**]. სასურველია შემუშავდეს ქართული უმაღლესი სასწავლებლების მუშაობის შეფასების სისტემაც და ერთ-ერთ კრიტერიუმად განისაზღვროს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი თითოეული ფაკულტეტის მიხედვით [**თ. ბრეგვაძე, 2013:15**]. აბსოლუტურად ყველა სასწავლებელში უნდა ჩამოყალიბდეს სტუდენტთა კარიერული განვითარების ქმედითუნარიანი ცენტრი, ჩატარდეს პერიოდული შიდასისტემური გამოკითხვები, მოხდეს სტუდენტებისათვის შესაფერისი ვაკანსიების მოძიება და შეთავაზება. უმაღლესი განათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს კურსდამთავრებულთა სწრაფი

კარიერული პროგრესი, ხელი შეუწყოს მათ კონკურენტუნარიანობას როგორც ეროვნულ, ასევე უცხოურ შრომის ბაზრებზე.

ნაკლები დაინტერესების გამო, პროფესიული განათლების სისტემა ჯერ კიდევ არამდგრადია, გატარებული ღონისძიებები კი არათანმიმდევრული. პირველ რიგში, აუცილებელია პროფესიული განათლების პრესტიჟი. საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს, რომ ამ უკანასკნელს უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს. პრესტიჟის ამაღლებაში კატალიზატორის ეფექტი ექნება პროფესიული ორიენტაციის არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ კერძო ცენტრებსაც. მიზანშეწონილად მივიჩნევთ სკოლისა და უნივერსიტეტის სასწავლო გეგმაში პროფესიული ორიენტაციის კურსის შეტანას. თითოეულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აქტიურად უნდა ითანამშრომლოს პროფესიული დასაქმების სახელმწიფო და კერძო სააგენტოებმა. [**მ. კვირკვაია.., 2018**]

ერმა უნდა გაიაზროს განათლების რეალური ძალა, ძალა რომელიც სიცოცხლის დაფასებისა და საქვეყნო საქმის გაკეთების საშუალებას გვაძლევს.[58] თანაბარმნიშვნელოვანია როგორც უმაღლესი, ისე პროფესიული განათლების ხელშეწყობა. მთავარია თითოეული მიმართულება იყოს თანამედროვე სწრაფად მზარდ დარგებთან და დამსაქმებელთა მოთხოვნებთან თავსებადი.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთა მომზადება-გადამზადების კურსებს. გადამზადების პროგრამა ინკლუზიურ ზრდას ხელს შეუწყობს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ აქცენტი გაკეთდება რეგიონულ მიდგომაზე. რა თქმა უნდა, გადამზადება უნდა წარიმართოს დამსაქმებელთა მოთხოვნების შესაბამისად, თუმცა, გასათვალისწინებელია მშრომელთა შესაძლებლობები და ინტერესის სფეროც. განსაკუთრებით საყურადღებოა უმუშევართა კატეგორია, რომელთაც არ აქვს სამუშაო მზაობა და ვერ გადაწყვიტა რა მიმართულებით აიმაღლოს კომპეტენცია [**მ. ტუხაშვილი.., 2012**]. *,,სანდო კვლევების თანახმად, დასაქმებულთა წლიური ხარჯები პროფესიონალურ მომზადებაზე არასაკმარისია და საშუალოდ 4-5 ლარის ფარგლებშია“* [**M.Tsartsidze, 2018:5**]. ეს კი, ცხადია, კატასტროფულად დაბალი ნიშნულია. მიზანშეწონილად

[58] ,,განათლება ნათლად აზროვნების ძალაა, ძალა რომელიც საქვეყნო საქმეს გაგაკეთებინებს და ძალა, რომელიც სიცოცხლის დაფასაების საშუალებას გაძლევს“ - ბრიგემ იანგი, 1801-1877, ამერიკელი რელიგიური ლიდერი, http://mastsavlebeli.ge/?p=23419.

მივიჩნევთ საწარმოში გამოიყოს სპეციალური ფონდი, რაც მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლებას მოხმარდება. აქტიური გადამზადება ხელს შეუწყობს მშრომელთა გადადინებას მაღალპროდუქტიულ დარგებში და შრომის საერთო საზოგადოებრივი მწარმოებლურობის ზრდას.

საქართველოში მოსახლეობის უმეტესობას არასრულყოფილი ინფორმაცია აქვს შრომის ბაზრის სერვისების, ვაკანსიებისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. ბუნებრივია, ეს ზრდის ფრიქციული უმუშევრობის რისკებს. მივესალმებით სამთავრობო ინიციატივას შრომის ბაზრის სტატისტიკური მონაცემების ელექტრონული სივრცის - worknet.gov.ge-ს განვითარების თაობაზე, მაგრამ, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული არ არის საკმარისი. საქართველოში დამსაქმებლებისთვისაც უცნობია პოტენციური დასაქმებულების შესაძლებლობები და სურვილები. აუცილებელია, მოეწყოს დასაქმების ფორუმები. ოფიციალური უწყებების გარდა, სხვადასხვა საჭიროების მქონე მოწყვლადი ჯგუფების სტრუქტურის შესახებ მონაცემები დამოუკიდებლად უნდა შეაგროვოს არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა, ცხადია, თავად საწარმოებმაც.

გასათვალისწინებელია სოციალურ-შრომითი ურთიერთობების პროცესში აღმოცენებული გენდერული უთანასწორობის პრობლემაც. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს შრომის ბაზარზე ქალების მეტ აქტიურობასა და ჩართულობას. იჩაგრებიან როგორც დასაქმებული, ასევე უმუშევარი ქალებიც. როგორც აღვნიშნეთ, ფაქტობრივად ,,შეუძლებელი ტრილემაა“ ქალთა სრულფასოვანი დასაქმება, მომზადება-გადამზადების პროგრამებით კვალიფიკაციის ამაღლება და საოჯახო ვალდებულებების შესრულება. ცივილიზებულ ქვეყანაში საზოგადოების თითოეულ წევრს აქვს არჩევანისა და ცხოვრების საკუთარი სურვილით წარმართვის საშუალება. მივიჩნევთ, რომ სასწრაფოდ უნდა შეიქმნას ქმედითი მექანიზმი, რომელიც იზრუნებს ქალთა საოჯახო საქმიანობის, შრომით პროცესში სრულფასოვანი ჩართულობისა და კომპეტენციის გაღრმავების შეთანაწყობაზე. მკაცრი სამართლებრივი ჩარჩოთი უნდა დარეგულირდეს მამაკაცთა ზეგანაკვეთური მუშაობა, რათა საოჯახო ვალდებულების გარკვეული ნაწილი საკუთარ თავზე აიღონ. საოჯახო შრომის მთელი სიმძიმის ქალებისათვის დაკისრება, ჩვენი აზრით, სერიოზული დისკრიმინაციული ხასიათის

მატარებელია. დაუშვებელია ეკონომიკური განვითარების პროცესიდან ქალთა გამოდევნა და მათ ინტელექტუალური შესაძლებლობებზე შეგნებულად უარის თქმა ეწინააღმდეგება საღ აზრს.

მივესალმებით სამთავრობო სტრატეგიებში გამოთქმულ მოსაზრებას დასაქმების აქტიური პოლიტიკის (ALMP) განხორციელების აუცილებლობის შესახებ. ვიმედოვნებთ, თითოეული დასახული ამოცანა აბსოლუტური სიზუსტით შესრულდება და არ შემოინახება ოფიციალურ დოკუმენტებში შავით თეთრზე დაწერილ სიტყვებად. მნიშვნელოვანია, რომ სოციალურად დაუცველმა ადამიანებმა შეინარჩუნონ თვითრწმენა და არ იგრძნონ თავი საზოგადოებისგან გარიყულად, მაგრამ მოსახლეობა არ უნდა გახდეს სოციალურ დახმარებაზე ზედამოკიდებული. მთავრობის ხედვით, თითოეული ოჯახი, რომელიც სარგებლობს სოციალური პაკეტით, პარალელურად უნდა დარეგისტრირდეს worknet.gov.ge-ის საინფორმაციო ქსელში. ჩვენი აზრით, აღნიშნული მიდგომა შექების ღირსია, რადგან თავისი არსით ხელს უწყობს ღარიბი მოსახლეობის შრომით საქმიანობაში რეაქტივაციას, შესაბამისად, ეკონომიკური ინკლუზიურობის ხარისხის ზრდას.

ეფექტიანი დასაქმების ღირსება არ შემოიფარგლება მხოლოდ ქვეყნის ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებით. როდესაც ადამიანი იპოვის ეკონომიკურად მიზანშეწონილ სამუშაო ადგილს, უყვარს თავისი საქმის კეთება და სრულყოფილად გადმოსცემს საკუთარ ნიჭს, ამ შემთხვევაში ის არა უბრალოდ დასაქმებული, არამედ ხელოვანია. დამატებით, იმისათვის, რათა ჩამოყალიბდე ,,ხელოვნად“ და არ დარჩე დასაქმებულად, რომელიც საქმეს ვალდებულებად აღიქვამს, მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამუშაო გარემო, კოლექტივი, ხელმძღვანელი. საქმიანი პროცესი უნდა მოექცეს სასიამოვნო მორალურ-ეთიკური ღირებულებების ჩარჩოში. მხოლოდ ამის შემდეგ მოახერხებენ ადამიანები საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზებას და აშენდება მშვიდობიანი, ერთიანი სახელმწიფო.

დასკვნა

შემთხვევითი როდია, რომ საქართველოში დასაქმების თავისებურებებისა და პრობლემების გამომწვევი ძირითადი მიზეზების ანალიზისას საბჭოთა კავშირის ცენტრალიზებული გეგმიური ეკონომიკის სისტემა და პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია გავიხსენეთ. ამ უკანასკნელს ჩვენი ქვეყანა პროგრესისა და სწრაფი ეკონომიკური განვითარების გზაზე უნდა დაეყენებინა, თუმცა, გაუარესებული პოლიტიკური და კრიმინოგენული სიტუაციის ფონზე, პროცესი აბსოლუტურად სხვა მიმართულებით წარიმართა.

დასავლური ღირებულებების მატარებელმა ქართულმა საზოგადოებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საერთო ევროპული ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში. საამაყო და მდიდარი ისტორიიდან გამომდინარე, სამწუხაროა, რომ ამჟამინდელი საქართველო ღარიბ სახელმწიფოთა რიცხვს მიეკუთვნება და შრომითი საქმიანობის თითქმის ყველა დარგი სრულყოფას საჭიროებს. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში განუვითარებელმა შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურამ, დღეს პირისპირ დაგვაყენა ცვალებადი კონიუნქტურისა და მოთხოვნა-მიწოდების სტრუქტურული შეუსაბამობის საფრთხის წინაშე. საქართველოს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის კვალიფიკაცია

და უნარები არ შეესაბამება დამსაქმებელთა თანამედროვე საჭიროებებს, მაშინ როცა კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალა და დასაქმება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარების პროცესში.

საგანმანათლებლო მექანიზმი არასაკმარისად განვითარებული და შრომის ბაზარზე არაორიენტირებულია. საზოგადოებაში კანონზომიერი გახდა უმაღლესი განათლების მქონე პირთა უმუშევრობა და კვლავ არამიმზიდველია პროფესიული განათლება. არ არსებობს კურსდამთავრებულთა გადამზადებისა და მუშაობაზე დაფუძნებული სწავლების ქმედითი ღონისძიებები. არ არის გასაკვირი, რომ საქართველოში დასაქმება პრობლემატურია კვალიფიკაციისა და პროფესიის არმქონე სოციალური ჯგუფებისა-თვისაც. განუვითარებელია შრომის ბაზრის ერთიანი საინფორმაციო სისტემა. პოტენციურ დასაქმებულებს ხშირ შემთხვევაში ინფორმაცია არა აქვთ ვაკანსიებისა და შრომის ბაზრის ღონისძიებების შესახებ. კვლავ აქტუალურია ე.წ. ,,ღარიბი დასაქმებულების“ პრობლემა, რომელთა შემოსავალი საარსებო მინიმუმზე ნაკლებია. მათთვის დაუცველია შრომის კოდექსით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურებისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპები. შრომის უსაფრთხოებისა და მომუშავეთა სიცოცხლის დაცვისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაზე მეტყველებს ბოლო წლებში საქართველოში შრომითი საქმიანობისას დაშავებულთა და გარდაცვლილთა საგანგაშო რაოდენობა.

საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი არათანაბრადაა გადანაწილებული რეგიონებისა და საქმიანობის სახეების მიხედვით. გენდერული სახელფასო სხვაობა კლებადობით ხასიათდება, მაგრამ კვლავ მაღალია (მამაკაცების სასარგებლოდ). სრულყოფილად არ ხდება ქალების ინტელექტუალური პოტენციალის ათვისება. ქვეყანაში არ არის ჩამოყალიბებული მექანიზმი, რომელიც დააბალანსებს ქალების მუშაობის, კვალიფიკაციის ამაღლებისა და აუნაზღაურებელი შრომის პროცესებს.

ოჯახებში გენერირებული მცირე შემოსავლებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, და წლების განმავლობაში გადაუჭრელია თვითდასაქმების პრობლემა. დასაქმებულთა 50%-ზე მეტი თვითდასაქმებულია და ამ უკანასკნელთა უმეტესობა სოფლის მეურნეობის სექტორში მუშაობს. 2017-2019 წლებში სოფლის მეურნეობაში თავმოყრილი იყო დასაქმებულთა დაახლოებით 40%, მაგრამ იქმნება მშპ-ის 8-9%. ე.ი.

დასაქმებულთა დანარჩენ წილზე მოდის 90%. ანუ თვითდასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა თავმოყრილია დარგში, სადაც მწარმოებლურობა კატასტროფულად დაბალია. ეს დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობების შედეგია და ეკონომიკის განვითარების დაბალ დონეზე მეტყველებს.

კვლავ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ აუცილებელია დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგიის დახვეწა, რადგან იგი ხელოვნურად ამცირებს უმუშევრობის დონეს და ზრდის დასაქმების მაჩვენებელს. არ აქვს მნიშვნელობა შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია იგივე პრინციპით ხელმძღვანელობს თუ არა. ვეთანხმებით, XIX-XX საუკუნეების ბრიტანელი მოაზროვნის - ქარვეთ რიდის მოსაზრებას და მივიჩნევთ, რომ უკეთესია უხეშად ნათქვამი სიმართლე, ვიდრე აბსოლუტური სიცრუით თავის მოტყუება [**C. Read, 2006:351**] [59].

მცირე ღია ეკონომიკის პირობებში, ეკონომიკური განვითარების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის ჩართულობის გარეშე, საქართველოში ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია. დღევანდელი მდგომარეობის ანალიზი მიანიშნებს, რომ საჭიროა მოდერნიზებული, კოორდინირე-ბული, გლობალურ გამოწვევებზე მეტად მორგებული, თვისებრივად უკეთესი სოციალურ-ეკონომიკური მექანიზმი, რათა გაფართოვდეს დასაქმების შესაძლებლო-ბები, გაიზარდოს ეკონომიკური ინკლუზიურობა, აღმოიფხვრას ქვეყანაში მწვავე სიღარიბე. სასურველი შედეგის მიღების გზა მიზანმიმართულ მუშაობაზე გადის. პრიორიტეტი კარგი საქმის კარგად კეთება უნდა გახდეს.

მიგვაჩნია, რომ ნელი პროგრესი მაინც პროგრესია და გაუაზრებული თუ გააზრებული გადაწყვეტილებებით ეკონომიკისათვის წარსულში მიყენებული დიდი დარტყმები ქვეყანამ გადალახა. მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვა და სიცოცხლის დაცვა, უპირველესად, საზოგადოებრივი სამსახურის მთავარი ინსტიტუტის - სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა, თუმცა, თავის მხრივ, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ

---

[59] **Read C.,** Logic Deductive and Inductive, 2006, pg. 351, http://www.gutenberg.org/files/18440/18440-h/18440-h.htm

თითოეული ქართველის მოვალეობაა მოიხადოს მოქალაქეობრივი ვალი და წინ აღუდგეს საუკუნეთა განმავლობაში აღმოცენებული ერთობის გაქრობის საშიშროებას. მოსახლეობამ, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებმა უნდა გაითავისონ ზემოაღნიშნული მწვავე ისტორიული გამოცდილების რაობა. საკმაოდ მტკივნეულ უახლოეს წარსულსა და აწმყოს ქართველი ერი კვლავ არაპროფესიონალიზმით თუ დაუპირისპირდა, მომავალიც არანაკლებ სავალალო შედეგებს მოგვიტანს.

დანართები

დანართი N1

15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით, საქართველო, 2000-2019[60] წ. (ათასი კაცი)

მაჩვენებლები	2000	2004	2008	2012	2016	2018	2019
სულ 15+ მოსახლეობა	3141,6	3159,4	3157,1	3057,3	3009,4	3034,3	3037,1
სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)	2049,2	2009,4	1944,7	2004,5	1996,2	1939,9	1911,2
დასაქმებული	1837,2	1730,8	1597,3	1659,4	1717,3	1694,2	1690,2
დაქირავებული	683,9	636,2	621,8	716,2	801,5	860,2	849,3
თვითდასაქმებული	1041,2	1093,0	974,4	935,7	909,5	833,4	840,4
გაურკვეველი	112,1	1,6	1,1	7,6	6,3	0,6	0,5
უმუშევარი	212,0	278,6	347,4	345,1	278,9	245,7	221,0
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ	1092,3	1150,0	1212,4	1052,8	1013,2	1094,3	1125,9
უმუშევრობის დონე (პროცენტებში)	10,3	13,9	17,9	17,2	14,0	12,7	11,6

[60] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, www.geostat.ge

აქტიურობის დონე (პროცენტებში)	65,2	63,6	61,6	65,6	66,3	63,9	62,9
დასაქმების დონე (პროცენტებში)	58,5	54,8	50,6	54,3	57,1	55,8	55,7

დანართი N2

აქტიურობისა და დასაქმების დონე საქართველოში[61], 2008-2019 წ. (%)



[61] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, www.geostat.ge

დანართი N3

დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობების სახეების (Nace rev.2) მიხედვით[62], 2017-2019, ათასი კაცი

წელი	**2017**	**2018**	**2019**
სულ დასაქმებულთა რაოდენობა	**1 706.6**	**1 694.2**	**1 690.2**
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	735.9	659.0	644.6
მრეწველობა	142.0	144.9	139.0
მშენებლობა	82.8	99.0	102.0
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტი	171.6	185.4	197.0
ტრანსპორტი და დასაწყოება	68.8	78.3	82.4
განთავსების საშუალებით უზრუნველყოფს და საკვების მიწოდბის სქმიანობები	37.3	44.4	49.1
ინფორმაცია და კომუნიკაცია	21.3	20.9	19.1
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	30.7	33.8	30.9
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	3.0	4.4	3.9
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური სამუშაოები	21.6	21.3	19.1
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	18.2	21.4	22.5
საელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებლო სოციალური უსაფრთხოება	88.3	91.5	93.7
განათლება	156.4	155.4	154.2
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების	66.8	65.4	60.6

[62] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სამუშაო ძალის კვლევა

საქმიანობები			
ხელოვნება, გართობა და დასვენება	26.4	28.5	30.1
სხვა სახის მომსახურება	20.7	20.1	22.2
შინამეურნეობის, როგორც დამქირავებლის საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის	14.2	19.4	18.0
ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები	0.5	1.1	1.4
არაიდენტიფიცირებული	0.2	-	0.4

დანართი N4

სამუშაო ადგილზე დაღუპულთა და დაშავებულთა რაოდენობა, საქართველო, 2010-2018 წლები[63]

წელი	**დაშავებულთა რაოდენობა**	**გარდაცვლილთა რაოდენობა**
2010	102	42
2011	137	54
2012	289	48
2013	111	23
2014	72	45
2015	82	42
2016	85	58
2017	106	47

[63] საქართველოს მთავრობის დადგენილება N662 საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე, გვ. 7. ცხრილი აგებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემების საფუძველზე

2018	199	59

დანართი N5

ძირითადი სამიზნეები 2023 წლისათვის[64]

ინდიკატორი	**2014**	**2015**	**2016**	**2017**	**2018**	**სამიზნეები 2023 წლისთვის**
უმუშევრობის დონე (%)	14.6	14.1	14.0	13.9	12.7	<12
დასაქმების მაჩვენებელი ქალებში (%)	49.0	50.7	50.6	50.8	49.3	>53
შრომის ბაზარზე მონაწილეობის მაჩვენებელი ქალებში (%)	55.9	57.9	56.7	58.2	55.6	>63.2
NEET ახალგაზრდების (15-24 წლის) მაჩვენებელი (%)	27.9	26.6	25.9	24.8	26.9	<22.8
აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი (%)	23.5	21.6	22.0	21.9	20.1	<18

[64] საქართველოს მთავრობის დადგენილება N662 საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე, გვ. 11-12

ჯინის კოეფიციენტი (მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით)	0.39	0.38	0.39	0.40	0.37	<0.35
გენდერული სახელფასო სხვაობა	37%	36%	35%	36%	36%	<30%

დანართი N6

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

FACULTY OF ECONOMICS AND BUSINESS

Temuri Abesadze

Problems of employment and ways to overcome it in Georgia

Master's program - Economics

The work is done to obtain the academic degree of Master of Economics

Head: Murman Tsartsidze

Doctor of Economics,

Associate Professor

Tbilisi 2020

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **აბესაძე რ.,** ეკონომიკური განვითარება და უმუშევრობა. თბილისი, 2010.
2. **აბესაძე რ.,** ეკონომიკური განვითარების თეორია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბილისი 2016წ.
3. **აბესაძე რ.,** (2009). საქართველოს ეკონომიკა XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე, ჟურნალი ,,ეკონომისტი", ,,Ekonomisti" №1, თბილისი
4. **აბესაძე რ.,** (2009). უმუშევრობა და მისი მიზეზები საქართველოში, ჟურნალი „ეკონომისტი", "Ekonomisti" №5, თბილისი
5. **აბესაძე რ.,** (2016). საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის ეტაპები და განვითარების ზოგადი მიმართულებები, ჟურნალი „ეკონომისტი", "Ekonomisti" №4, თბილისი
6. **ანანიაშვილი ი.,** „ეკონომეტრიკა". სახელმძღვანელო. მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა. თბილისი, მერიდიანი, 2012. 412 გვ.
7. **ანანიაშვილი ი.,** (2010). საქართველოს ეკონომიკის პოტენციური მთლიანი შიგა პროდუქტისა და უმუშევრობის ბუნებრივი დონის ეკონომეტრიკული შეფასება. ჟურნალი "ეკონომიკა და ბიზნესი" N5, სექტემბერი-ოქტომბერი;
8. **ანანიაშვილი ი.,** „არადაკვირვებადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შეფასებისა და ანალიზის მოდელები"., ეკონომიკა და ბიზნესი. 2014, # 5, გვ. 13-54.
9. **ანთაძე ც.,** საქართველოს შრომის ბაზრის ფუნქციონირების თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე. უნივერსალი, თბილისი, 2009.
10. **ასათიანი რ.,** საქართველოს ეკონომიკა არასაბაზრო კაპიტალიზმის ჩიხში, ჟურნალი „ეკონომისტი", "Ekonomisti" №1, 2009 წ.

11. **ბერიძე თ.,** „ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური განვითარება: რაოდენობრივი და თვისებრივი განსაზღვრულობა“. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. შრომები. ტ.10 გამომცემლობა „სიახლე“. გვ.115–122;
12. **ბედიანაშვილი გ.,** კულტურა როგორც ცოდნის ეკონომიკის ფორმირების ფაქტორი პარადიგმული ცვლილებების სისტემურინსტიტუციური კონტექსტით. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“, N6, ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი 2018წ. გვ. 58. ISSN 2449-2396. http://www.eugb.ge/uploads/content/N6/Givi-Bedianashvili.pdf;
13. **ბლანშარი ო.,** - მაკროეკონომიკა მე - 5 გამოცემა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2010 წ.
14. **გველესიანი რ.,** შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკის წინააღმდეგობები და წარმატების სტრატეგია. *ეკონომიკა და ბიზნესი,* №4 2010.
15. **გველესიანი რ.,** „ძირითად საზოგადოებრივ ფასეულობებს შორის არსებული წინააღმდეგობები და მათი დაძლევის გზები“, ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი, ტ.X., #1, 2017
16. **გველესიანი რ., გოგორიშვილი ი.,** "ეკონომიკური პოლიტიკა", გამომცემლობა "უნივერსალი", თბილისი, 2009
17. **გელაშვილი ს**., „ეკონომიკური პროცესების სტატისტიკური პროგნოზირება“. სახელმძღვანელო. გამომც. ,,მერიდიანი“, თბ., 2012.
18. **კვირკვაია მ., კიკუტაძე ვ., სიხარულიძე დ., შაბურიშვილი შ., ჭარაია ვ., (2018).** ახალგაზრდების პროფესიული ორიენტაცია: საერთაშორისო გამოცდილება და საქართველო. “ეკონომისტი”, „Ekonomisti” N2, http://pgie.tsu.ge/contentimage/ sxvadasxva/jurnali_ ekonomisti/ _ 2-2018_bolo.pdf
19. **მარგველაშვილი ქ.,** (2017). ,,ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საქართველოში არსებული პოლიტიკის და ინიციატივების ანალიზი“, კვლევა გამოცემულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შვედეთის მთავრობის ხელშეწყობით, გაეროს ერთობლივი პროგრამის გენდერული თანასწორობისათვის ფარგლებში, თბილისი. http://www.parliament.ge/uploads/other/86/86671.pdf
20. **მაჩაბელი გ.,** (2019). პოლიტიკის მიმოხილვა. განათლების სახელმწიფო პოლიტიკა და რეფორმების სტრატეგიული დაგეგმვა. განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, http://eppm.org.ge/wp-content/uploads/2019/03 /Policy_brief_strategic_planning.pdf, 28 თებერვალი
21. **მექვაბიშვილი ე.,** (2019). სახელმწიფოს ეკონომიკური როლი გლობალიზაციის პირობებში. ***გლობალიზაცია და ბიზნესი,*** N8. https://www.eugb.ge/ view_content.php?content=content&id=228&THE%20ECONOMIC%20ROLE%20OF%20THE%20STATE%20IN%20CONDITIONS%20OF%20GLOBALIZATION;
22. **მექვაბიშვილი ე., (2018)** „გლობალური ფინანსური კრიზისის ანტროპოცენტრული კვლევა: „ეკონომიკური ადამიანის“ ტრანსფორმირება „ფინანსურ ადამიანად“. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, N3. თბილისი;
23. **მექვაბიშვილი ე.,** „გლობალიზაციის ეპოქის ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების პოლიტეკონომიური ანატომია“, ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი, ტ.VIII, #2, 2015;
24. **მურღულია თ.,** (2009). ,,ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების როლი ბაზრის სახელმწიფო რეგულირების დროს,” რეცენზირებადი, ბეჭდურ-

ელექტრონული, საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, “Ekonomisti” N2, თბილისი

25. **პაპავა ვ., ჭარაია ვ., (2020)** კორონომიკური კრიზისი და დაქართველოს ეკონომიკის ზოგიერთი გამოწვევა. ექსპერტის აზრი. N136. საქართველოს სტატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. თბილისი. HTTPS://WWW.GFSIS.ORG/FILES/LIBRARY/ OPINION- PAPERS/136-EXPERT-OPINION-GEO.PDF;
26. **პაპავა ვ., (2015)** საქართველოს ეკონომიკა. რეფორმები და ფსევდორეფორმები. გამომცემლობა ინტელექტი. თბილისი;
27. **პაპავა ვ.,** “არატრადიციული ეკონომიკსი“, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2011
28. **პაპავა ვ., ჭარაია ვ.,** კორონომიკური კრიზისი და დაქართველოს ეკონომიკის ზოგიერთი გამოწვევა. ექსპერტის აზრი. N136. საქართველოს სტატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2020 წელი. გვ. 4. HTTPS://WWW.GFSIS.ORG/FILES/LIBRARY/ OPINION- PAPERS/136-EXPERT-OPINION-GEO.PDF;
29. **პაიჭაძე ნ.,** უმუშევრობის პრობლემები საქართველოში და მისი დაძლევის გზები. რეფერირებადი და რეცენზირებადი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, “Ekonomics and Business” N1, 2016წ. გვ. 26. ISSN 1987-5789. http://eb.tsu.ge/doc/jurnali1_jan_fab_2016.pdf.
30. **პაიჭაძე ნ.,** ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა და ორგანიზაციული სწავლება. რეცენზირებადი, ბეჭდურ-ელექტრონული, საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, “Ekonomisti” N2, 2019წ. გვ. 53. ელ. ვერსია. EISSN 2346-8432. http://ekonomisti.tsu.ge/doc/2-2019.pdf
31. **სილაგაძე ა., (2019).** სამხრეთ კავკასიის პოსტსაბჭოური ქვეყნების ზოგიერთი ეკონომიკური მაჩვენებლის შედარებითი ანალიზი. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი XI, N1.
32. **სილაგაძე ა., ათანელიშვილი თ., სილაგაძე ნ.,** პოსტსაბჭოური მიგრაციისა და უმუშევრობის ზოგიერთი ტენდენცია. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. ტომი 14. N1. 2020 წ. გვ.175-176;
33. **სილაგაძე ა.,** - ეკონომიკური დოქტრინები, საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბილისი 2010 .
34. **ტუღუში მ.,** (2013). დასაქმების ეფექტიანი სახელმწიფოებრივი რეგულირების უზრუნველყოფისათვის, რეფერირებადი და რეცენზირებადი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, “Ekonomics and Business”, N2, ISSN 1987-5789, მარტი-აპრილი
35. **ტუხაშვილი მ., ანანიაშვილი ი., ცარციძე მ., ლაცაბიძე ნ., შელია მ., ჭელიძე ნ., (2012)** შრომის ბაზარი და დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია საქართველოში. პუბლიკაცია მომზადებულია ლტოლვილთა დანიის საბჭოს პროექტის „სარეინტეგრაციო საქმიანობა საქართველოში“ მხარდაჭერით. გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი;
36. **ტუხაშვილი მ.,** საქართველოს შრომითი პოტენციალი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 1998წ.;

37. **ღაღანიძე გ.,** ქვეყნის კოკნკურენტუნარიანობის შეფასების საექსპერტო ასპექტები. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“, N6, ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი 2018წ. გვ. 36-42. ISSN 2449-2396. http://www.eugb.ge/uploads/content/N6/Giorgi-Gaganidze.pdf;
38. **ღაღანიძე გ.,** საქართველოს საექსპორტო პოტენციალის მენეჯმენტის აქტუალური საკითხები. ივანე ჯავახიშვილის სახების თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მონოგრაფია. თსუ-ის გამომცემლობა. თბილისი 2018წ. გვ. 35. http://press.tsu.ge/data/image_db_innova/gaganidze-2-dasakabadonebeli1.pdf;
39. **შელია მ.,** ხანდაზმული მოსახლეობა საქართველოში (სოციალური და ეკონომიკური პრობლემები). გამომცემლობა ,,უნივერსალი“. თბილისი 2013 წელი. გვ. 132
40. **შრომის ეკონომიკა. (2016).** სახელმძღვანელო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის, თსუ-ის მაკროეკონომიკის კათედრა, 2016, https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/shromis%20ec..pdf
41. **ჩიქობავა მ.,** (2018). კეინზიანური და მონეტარისტული თეორიების შედარებითი ანალიზი. ჟურნალი ,,ეკონომისტი“, ,,Ekonomisti” N4 ქ. თბილისი
42. **ჩიქობავა მ., კაკულია ნ.,** მაკროეკონომიკა, საგამომცემლო სახლი "ინოვაცია”, თბილისი 2009წ. გვ.118; გვ.143.
43. **ცარციძე მ., (2019).** ეფექტიანი დასაქმება-ადამიანის კეთილდღეობისა და ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი საქართველოში. რეცენზირებადი, ბეჭდურ-ელექტრონული, საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, “Ekonomisti”N2, ელ. ვერსია. EISSN 2346-8432Print ISSN 1987-6890. http://ekonomisti.tsu.ge/?cat=nomer&leng=ge;
44. **ცარციძე მ., (2019).** შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა და ახალგაზრდების დასაქმების თავისებურებები საქართველოში. რეფერირებადი და რეცენზირებადი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, “Ekonomics and Business”ტომიXI, N2. ISSN 1987-5789. გვ. 16-37. http://eb.tsu.ge/?leng=ge;
45. **ცარციძე მ.,** შრომის ბაზრის ეკონომიკა, ლექციებისკურსი. რიდერი. 2018წ.
46. **ხადური ნ., (2018).** ინკლუზიური ზრდის ფაქტორები და საქართველოს ეკონომიკის წინაშე არსებული გამოწვევები. ჟურნალი ,,ეკონომისტი“, ,,Ekonomisti“ N1. ქ. თბილისი;
47. **ხადური ნ.,** (2018). საქართველოს ეკონომიკური განვითარების მოდელი და გლობალური ეკონომიკა პოსტკრიზისულ პერიოდში. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი ,,გლობალიზაცია და ბიზნესი“, N6, ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი 2018 წ. გვ. 48-53. ISSN 2449-2396. http://www.eugb.ge/uploads/content/N6/Nodar-Khaduri.pdf;
48. **ხადური ნ., კაკულია ნ., ჩიქობავა მ.,** „მაკროეკონომიკა“, ლექციების კურსი. თბილისი, 2011
49. **ხადური ნ.,** „ეკონომიკური ზრდა - რეალობა და პერსპექტივები“., პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე“. მასალების კრებული, თბილისი, 2010

50. **ხარაიშვილი ე., გაგნიძე ი., ჩავლეიშვილი მ., ნაცვლიშვილი ი., ნაცვალაძე ი.** „მიკროეკონომიკა“, სახელმძღვანელო, მე-3 შევსებული და გადამუშავებული გამოცემა. ავტორები: გამომცემლობა ,,უნივერსალი”, თბილისი, 2014.
51. **ხარაიშვილი ე.**, მწვანე ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევები და მათი დაძლევის ზოგიერთი გზა საკუთრების უფლების რეგულირების მექანიზმებით, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,მწვანე ეკონომიკის“ ფორმირების თანამედროვე პრობლემები, თბილისი, 21-22 ივნისი, 2019.
52. **ხარაიშვილი ე., ნაცვლიშვილი ი., ზვიადაძე ე.,** ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ბაზრები და ექსპორტის მასტიმულიტებელი პოლიტიკა, ბათუმი, 2019.
53. Active Labour Market Policies: Connecting People with Jobs, https://www.oecd.org/employment/activation.htm;
54. **Capozzi C.** (2019), The Importance of Employment & Workplace in the Society, https://bizfluent.com/info-8296076-importance-employment-workplace-society.html, January 25;
55. **Chumburidze M.,Ghvinadze N., Gvazava S., Hosner R., Wagner V., Zurabishvili T.,** (2015). The State of Migration In Georgia. Report developed in the framework of the EU-funded Enhancing Georgia's Migration Management (ENIGMMA) project, International Centre for Migration Policy Development, Vienna, June 2015. http://migration. commission.ge/files/enigmma-state-of-migration_e_version.pdf;
56. Connecting People with Good Jobs (Oct 2018) © OECD 2018, https://www.oecd.org/els/emp/Flyer-Connecting-People-With-Good-Jobs_October%202018.pdf;
57. **Ehrenberg, Ronald G. and Robert S. Smith.** Modern Labor Economics. Theory and Public Policy (12th Edition) Hardcover-February 2, 2014;
58. **Feldstein M. (2015).** What is Full Employment? https://www.project-syndicate.org/commentary/what-is-full-employment-by-martin-feldstein-2015-06?barrier=accesspaylog, Jun 29.
59. **Fields. G. S. (2019)**. Self-employment and poverty in developing countries, https://wol.iza.org/uploads/articles/479/pdfs/self-employment-and-poverty-in-developing-countries.pdf?v=1, March 2019;
60. International Institute for Education Policy, Planning and Management (EPPM). The state education policy and strategic planning of the reforms. 28.02.2019. http://eppm.org.ge/wpcontent/uploads/2019/03/Policy_brief_strategic_planning.pdf;
61. International Labour Office. – Geneva: ILO. (2015). ,,How do macroeconomic and sectoral policies affect employment?”. National employment policies: A guide for workers' organisations. Copyright © International Labour Organization 2015. https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/@ed_emp/@emp_policy/documents/publication/wcms_334918.pdf
62. International labour standards A global approach. Copyright ©International Labour Organization 2001. ISBN 92-2-112668-4. https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/087692.pdf;

63. **Kharaishvili E., Natsvlishvili I.** (2019) Impact of International Educational Migration In The Contexst Of Globalization Of Higner Education (Case Of Georgia). https://iated.org/concrete3/paper_detail.php? paper_id=73405. **ISBN**: 978-84-09-12031-4;
64. Labour Market Policies That Work, © OECD July 2001, http://www.oecd.org/els/emp/labourmarketpoliciesthatwork.htm
65. **O'higgins N.** (1997). ,,The challenge of youth unemployment",Employment and training papers, Employment and Training Department International Labour Office Geneva, https://www.ilo.org/global/lang--en/index.htm
66. **Pettinger T.** (2011). ,,Inflation v Unemployment", https://econ.economicshelp.org/ 2011/10/inflation-v-unemployment.html, october 19
67. **Pettinger T.** (2019). ,,Policies for reducing unemployment", https://www.economicshelp. org/blog/3881/economics/policies-for-reducing-unemployment/, 14 june
68. **Pettinger T**. (2017). ,,Should full employment be the primary macroeconomic objective?", https://www.economicshelp.org/macroeconomics/macroessays/should-aim-govtbe-full-employment/, October 28
69. **Pignatti. C., Belle E. V.,** (2018) Better together: Active and passive labour market policies in developed and developing economies, International Labour Office, Research Department, Working Paper NO. 37, december, https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---dgreports/---inst/documents/publication/wcms_660003.pdf
70. **Read C.** (2006). Logic Deductive and Inductive, The Project Gutenberg EBook of Logic, by Carveth Read, pg. 351, http://www.gutenberg.org/files/18440/18440-h/18440-h.htm
71. **Sanghi A.** (2012). Do small countries do it better?, https://blogs.worldbank.org/africacan/do-small-countries-do-it-better, June 7
72. **Silagadze Avtandil, Atanelishvili Tamar, Silagadze Nodar.**, Some Tendencies of Post-Soviet Migration and Unemployment. BULLETIN OF THE GEIRGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES, vol. 14, no. 1, 2020. P. 175-176. http://science.org.ge/bnas/t14-n1/27_Silagadze_Economis.pdf;
73. **Shelia M. (2014).** Employers Demand on Labour Force in Georgia s Big Cities. Interdisciplinary Perspectives on Social Sciences. Cambridge Scholars Publishing, UK.pp.113-118;
74. **Shelia M. (2018).** Reproductive Behavior of Students in Georgia. Демографія та соціальна економіка, № 2(33).P. 94-102;
75. **Tsartsidze M. (2018).** Unemployment and the effective employment problems in Georgia under the modern globalization terms. Institute of Researches and International Symposiums IRIS–ALKONA. Latvia. Journal of International Economic Research. ISSN 2500-9656. Volume 4. No.1.http://irissymposium.wixsite.com/website;
76. **Tukhashvili M (2012).** Georgian Labour Market in the condition of Political and Economic Crisis.In the book:Youth Employment: Challenges and Opportunites. Timisoara.Eurostampa, p. 294-300;
77. **Tukhashvili M., Shelia M. (2012).** The impact of labor emigration on the demographic and economic development of Georgia in the post-Soviet period. http://www.carim-east.eu/media/CARIM-East-2012-RR-29.pdf;

78. **Tukhasvhili M., Tsartsidze M., Latsabidze N., Lobzhanidze M., Shelia M**. Emigration Intentions Of Students Of Higner Education Institutions Of Georgia (Examples From Ivane Javakhishvili Tbilisi State University). European Journal of Humanities and Social Sciences. Scientific journal. Vienna. Premier Pubishing. №3 2018. P.132-140. **ISSN 2414-2344.** https://ppublishing.org/journals/769/. http://eprints.tsu.ge/1045/1/;
79. **Москалева М. В. (2019).** дистанционная занятость в мире. Легальная дистанционная занятость: преимущества для государства, компания Workle. Moscov State University of Economics, Statistics and Informatics. https://www.slideshare.net/OKorotkova/16052014-workle;
80. **Разумов А., Цыганкова И., Антонова Г. Никишина О. (2019).** Нестандартная занятость как форма использования рабочего времени (российский и зарубежный опыт). Москва. Издательство «Дашков и К».

კანონები და ნორმატიული აქტები:

- ✓ საქართველოს ორგანული კანონი N4113 „საქართველოს შრომის კოდექსი“, თბილისი, 2010 წლის 17 დეკემბერი.
- ✓ საქართველოს პარლამენტის დადგენილება N235, ”დასაქმების პოლიტიკის შესახებ” შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ჟენევის 1964 წლის წლის კონვენციასთან შეერთების თაობაზე. ქ. თბილისი, 16 მაისი 1996წ.
- ✓ საქართველოს პარლამენტის დადგენილება N1488, ”დასაქმების სამსახურის ორგანიზების შესახებ” კონვენციის რატიფიცირების თაობაზე. თბილისი 7 ივნისი, 2002წ.
- ✓ საქართველოს პარლამენტის დადგენილება N1489, ”დასაქმების კერძო სააგენტოების შესახებ” ” კონვენციის რატიფიცირების თაობაზე. თბილისი 7 ივნისი, 2002წ.
- ✓ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია N142 “ადამიანური რესურსების განვითარების შესახებ”, 1975 წ.
- ✓ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია N159 “პროფესიული მომზადებისა და ინვალიდთა შრომითი დასაქმების შესახებ”, 1983 წ.
- ✓ საქართველოს მთავრობის დადგენილება №199, 2013 წლის 2 აგვისტო, ქ. თბილისი, საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;
- ✓ საქართველოს მთავრობის დადგენილება №167 „შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის სტრატეგიისა და მისი განხორციელების 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ 2016 წლის 4 აპრილი;
- ✓ საქართველოს მთავრობის დადგენილება N400 “საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე. ქ. თბილისი, 2014 წლის 17 ივნისი;
- ✓ საქართველოს მთავრობის დადგენილება N662 „საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე“, ქ. თბილისი 2019 წლის 30 დეკემბერი;

- ✓ საქართველოს მთავრობის დადგენილება №665 „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“, ქ. თბილისი, 2018 წლის 28 დეკემბერი;
- ✓ საქართველოს მთავრობის განკარგულება N2181 „საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის „დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების” საფინანსო შეთანხმების ხელმოწერის თაობაზე 2013 წლის 26 დეკემბერი;
- ✓ კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ N688, 21 დეკემბერი 2004 წელი;
- ✓ კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, N3531, 21 ივლისი 2010 წელი;
- ✓ საქართველოს კანონი N3442-Iს. „პროფესიული განათლების შესახებ“. ქუთაისი, 20 სექტემბერი 2018წ;
- ✓ საქართველოს მთავრობის დადგენილება №533 „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017–2021-ის“ დამტკიცების შესახებ. 2017 წლის 7 დეკემბერი ქ. თბილისი.
- ✓ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge;
- ✓ სოციალური მომსახურების სააგენტო http://ssa.gov.ge/;
- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. www.moh.gov.ge*;*
- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. http://mof.ge/.
- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. http://www.economy.ge/

დამატებითი ლიტერატურისათვის ელექტრონული ვერსიები:

1. http://www.demoscope.ru-ყოველკვირეული ელექტრონული ჟურნალი "Demoscop Weekly";
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სამუშაო ძალის გამოკვლევა. https://www.geostat.ge/media/20612/samushao-dzalis-gamokvleva-%28geo%29.pdf
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2019). ,,დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში 2018 წელი“, 17 მაისი, https://www.geostat.ge/media/23681/dasaqmeba-da-umushevroba-cliuri-2018-%28geo%29.pdf
4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2019, http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=UserReport&ID=30ad9f6d-7c9e-48f2-b90c-d56bc719d0bd;
5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2018, http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=UserReport&ID=60cd9ef8-0b17-444d-b227-507136d3d4a2
6. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2017, http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=UserReport&ID=3f4d3d8f-e53a-4292-923e-ee2527bcb2f3

7. http://www.odci.gov/cia/publications/pubs.html-მსოფლიო წიგნი. შეიცავს სოციალურ-ეკონომიკურ ინფორმაციას ყველა ქვეყნის შესახებ;
8. რეცენზირებადი, ბეჭდურ-ელექტრონული, საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, “Ekonomisti”. https://ekonomisti.tsu.ge/?leng=ge&cat=nomer
9. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი ,,ეკონომიკა და ბიზნესი“. http://eb.tsu.ge/?leng=ge
10. http://www.sosig.ac.uc/roads/subjectlisting/uk/html-ბრიტანეთის სოციალურ მეცნიერებათა პორტალი;
11. http://www.chelt.ru-ყოველთვიური ჟურნალი «Человек и труд»;
12. http://www.ilo.org/public.index.htm-შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტატისტიკის ბიურო;
13. http://www.nplg.gov.ge/ - საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.
14. http://www.geostat.ge-საქართველო სტატისტიკის დეპარტამენტი;
15. http://www.lmis.gov.ge/ - საქართველოს შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა.
16. http:// www.ilo.org-შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია.
17. https://www.pensions.ge/ - საპენსიო სააგენტო